

შ რ ო მ ი თ ი

დ ა ვ ე ბ ი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე
2016, №5

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)
2016, №5

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)
2016, №5

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)
2016, №5

გადაწყვეტილებების შერჩევასა
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების
ქ. №32, ტელ: 298-21-03; www.supremecourt.ge

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

1. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები

სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურიპრივი მოვალეობის უხეში დარღვევის გამო

№ბს-664-649(კ-14)

7 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე; მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება.

აღწერილობითი ნაწილი:

დ. გ-ემ 2013 წლის 25 ოქტომბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წინააღმდეგ, რომლითაც შ.ს.ს გენერალური ინსპექციის 2013 წლის 13 სექტემბრის №1811884 დასკვნისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 17 სექტემბრის №1833376 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1997 წლიდან 2013 წლის 17 სექტემბრამდე მუშაობდა შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სხვადასხვა დანაყოფებში. უკანასკნელი 7 წელი იყო შსს თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ... მას პირად საქმეში არ აქვს გადაცდომები. ამასთან, მიღებული აქვს არაერთი მაღლობა და ფულადი პრემია. 2013 წლის 13 სექტემბერს გენინსპექციის შინაგან საქმეთა №1811884 დასკვნის საფუძველზე 2013 წლის 17 სექტემბერს გამოცემული №1833376 ბრძანებით დ. გ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შსს ორგანოებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით დ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. გ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2013 წლის 13 სექტემბრის №1811884 დასკვნის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყდა სარჩელის დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შსს გენერალურმა ინსპექციამ დ. გ-ის მიმართ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება, რის შედეგადაც შედგა 2013 წლის 13 სექტემბრის №1811884 დასკვნა, რომლის საფუძველზეც შსს მინისტრის 2013 წლის 17 სექტემბრის №11833376 ბრძანებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს I განყოფილების ..., პოლიციის მაიორი – დ. გ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის ფარგლებში დავის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (როგორც ინდივიდუალური, ისე ნორმატიული) შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული წერილობითი დოკუმენტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2013 წლის 13 სექტემბრის №1811884 დასკვნა არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტიდან გამომდინარე. დასკვნა არ არის მიმართული მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი შედეგისაკენ, ანუ უშუალოდ დასკვნა არ აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნულ დასაბუთებას ადასტურებს საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების“ მე-4 თავის 21-ე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, ასევე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი. ზემოაღნიშნული აქტების საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დასკვნა წარმოადგენს ე.წ. შუალედურ აქტს, რომლის გასაჩივრება მისი სამართლებრივი ბუნების გამო არ ხდება. იგი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მატარებელია, ხოლო სამსახურებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებს საბოლოოდ წყვეტს

და არეგულირებს შსს მინისტრი თავისი სამართლებრივი აქტით – ბრძანებით, რომელიც არის კიდევ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით დ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; დ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (მინისტრის) 2013 წლის 17 სექტემბრის №11833376 ბრძანება; მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; დ. გ-ეს უარი ეთქვა სამსახურში აღდგენაზე და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე, მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა გადაწყვიტოს მოსარჩელისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საკითხი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლით, ასევე 127-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი ნესების დაცვით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე დ. გ-ე 1997 წლიდან 2013 წლის სექტემბრამდე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში სხვადასხვა თანამდებობებზე ... ; დ. გ-ე პროფესიით არის ექსპერტ-კრიმინალისტი. ასევე დადგენილია, რომ იგი საქართველოს შსს ორგანოებიდან დათხოვნამდე იკავებდა შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს პირველი განყოფილების ... თანამდებობას. დადგენილია, რომ შსს გენერალურმა ინსპექციამ დ. გ-ის მიმართ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება, რის შედეგადაც შედგა 2013 წლის 13 სექტემბრის №1811884 დასკვნა, რომლის თანახმადაც 2013 წლის 18 აგვისტოს სამსახურიდან თავისუფალ დროს შსს თანამშრომელი დ. გ-ე მობილური ტელეფონით დაუკავშირდა სამსახურში მყოფ თანამშრომელს – რ. ნ-ს და სთხოვა მას შსს სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში ინფორმაციის მოძებნა იმის შესახებ, მიმდინარე წლის 17-18 აგ-

ვისტოს იყო თუ არა ნარკოლოგიურ კაბინეტში ნარკოლოგიურ შემონმებაზე წარდგენილი ა. მ-ი. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ ნ-მა გადაამონმა კომპიუტერში არსებული მონაცემები და გ-ეს შეატყობინა, რომ დასახელებულ დღეებში ა. მ-ი არ ყოფილა გადაყვანილი ნარკოლოგიურ კაბინეტში. ასევე 2013 წლის 19 აგვისტოს სამსახურში ყოფნისას დ. გ-ემ თავის თანამშრომელს – გ. ქ-ეს სთხოვა, რომ დაეთმო დროებით სამსახურის კომპიუტერი და თანხმობის მიღების შემდეგ პირადად გადაამონმა რ. ნ-ის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომლის მართებულობის დადასტურების შემდეგაც აღნიშნული ინფორმაცია ტელეფონის საშუალებით შეატყობინა ა. გ-ს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტრის 2013 წლის 17 სექტემბრის №11833376 ბრძანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნის საფუძველზე, შსს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს თბილისის საქსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს პირველი განყოფილების ..., პოლიციის მაიორი დ. გ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვილი იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში.

გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი შემონმებისას ახსნა-განმარტება ჩამოართვა სამ პირს – რ. ნ-ს, გ. ქ-ეს და თავად დ. გ-ეს. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. გ-ემ, როგორც სარჩელში და სააპელაციო საჩივარში, ისე სასამართლოსთვის მიცემულ ზეპირ ახსნა-განმარტებებშიც უარყო რ. ნ-თან და გ. ქ-ესთან დაკავშირებული ეპიზოდების ნამდვილობა. მან განმარტა, რომ სამსახურში ყოფნისას დასაშვებია მოქალაქეებმა მიმართონ შეკითხვით, იყო თუ არა ნარკოლოგიურ შემონმებაზე მათთან წარდგენილი ესა თუ ის პირი, იმ შემთხვევაში, თუ პირი მართლაც იყო წარდგენილი შემონმებაზე, ინფორმაცია არ გაიცემა, სანინალმდეგო შემთხვევაში კი შეკითხვის ავტორს უმარტავენ, რომ პირი მართლაც არ ყოფილა მათთან შემონმებაზე წარდგენილი და ურჩევენ, მიმართოს სხვა ნარკოლოგიურ კაბინეტებს. დ. გ-ემ სააპელაციო სასამართლოსთვის მიცემულ განმარტებაში დაადასტურა, რომ მას ნამდვილად დაურეკა ა. გ-მა და სთხოვა ა. მ-ის შესახებ ინფორმაცია. მან ასევე დაადასტურა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ თავად დაურეკა ა. გ-ს და უთხრა, რომ ა. მ-ი არ ყოფილა შსს სამინისტროში ნარკოლოგიურ შემონმებაზე წარდგენილი. დამატებით მანვე განმარტა, რომ აღნიშნული ინფორმაციის გადამონმება არავისთვის უთხოვია და არც სამსახურის ბაზაში გადაუ-

მონმებია.

საქმეზე მონმედ დაკითხულმა პირმა – რ. ნ-მა სასამართლოს წინაშე განმარტა, რომ იგი და დ. გ-ე ერთად მუშაობდნენ დაახლოებით ცხრა წელი 2013 წლის აგვისტოს თვეში, 17-18 აგვისტოს ნარკოლოგიურ კაბინეტში მორიგეობისას მას დ. გ-ემ დაურეკა ტელეფონით და სთხოვა ინფორმაცია, იყო თუ არა შემონმებაზე მიყვანილი ა. მ-ი, რ. ნ-ი დარეკვის მომენტში მუშაობდა, იგი იჯდა კომპიუტერთან, რომლის მონიტორზეც გახსნილი ჰქონდა იმ დღის ნარკოლოგიურ შემონმებაზე წარდგენილი პირების სია, მან დაათვალიერა სია, რომელშიც ა. მ-ი არ აღმოჩნდა და ეს შეატყობინა დ. გ-ეს; მონმემ ასევე დაადასტურა ის ფაქტი, რომ სამსახურში ყოფნისას დასაშვებია მოქალაქეებმა მიმართონ შეკითხვით იყო თუ არა ნარკოლოგიურ შემონმებაზე მათთან წარდგენილი ესა თუ ის პირი. იმ შემთხვევაში, თუ პირი მართლაც იყო შემონმებაზე წარდგენილი, ასეთი პირის შესახებ ინფორმაციას არ გასცემენ, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში შეკითხვის ავტორს უმარტავენ, რომ პირი არ ყოფილა მათთან შემონმებაზე წარდგენილი და ურჩევენ, მიმართოს სხვა ნარკოლოგიურ კაბინეტებს.

სააპელაციო პალატა დაეყრდნო საქმეზე წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებს, ასევე მხარეთა განმარტებებსა და მონმის ჩვენებას, დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ 2013 წლის 18 აგვისტოს სამსახურიდან თავისუფალ დროს შსს თანამშრომელი დ. გ-ე მობილური ტელეფონით დაუკავშირდა სამსახურში მყოფ თანამშრომელს – რ. ნ-ს და სთხოვა შსს სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში ინფორმაციის მოძებნა იყო თუ არა ა. მ-ი გადაყვანილი ნარკოლოგიურ შემონმებაზე, რაზედაც მიიღო პასუხი, რომ არ ყოფილა გადაყვანილი. ასევე 19 აგვისტოს დ. გ-ემ სამსახურში ყოფნისას ისარგებლა თავისი თანამშრომლის გ. ქ-ის სამსახურებრივი კომპიუტერით და გადაამონმა რ. ნ-ის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რის შემდეგაც აღნიშნული ტელეფონით გადასცა ა. გ-ს. პალატამ მიუთითა, რომ დ. გ-ისგან ვერ მოისმინა მოტივირებული, დასაბუთებული განმარტება, თუ რატომ მისცა გენერალურ ინსპექციას 2013 წლის 5 სექტემბერს იმ შინაარსის ახსნა-განმარტება, რაც საქმეშია წარმოდგენილი. სასამართლომ წარმოდგენილი მტკიცებულებების ერთობლიობაში გაანალიზების პირობებში მიიჩნია, რომ არ არსებობდა რ. ნ-ისა და გ. ქ-ის ახსნა-განმარტებების, ასევე მონმის – რ. ნ-ის ჩვენების გაუთვალისწინებლობის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შესაფასებელი იყო ქმე-

დების შინაარსი, რომელიც დ. გ-ეს დისციპლინურ გადაცდომად შეერაცხა, აგრეთვე დისციპლინური გადაცდომის იმ მაკვალიფიცირებელი ნორმის შინაარსი, რომელიც გამოიყენა მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დისციპლინური დევნის საქმეზე. კერძოდ, საქართველოს შსს მინისტრის 04.01.2013 წლის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტები. ასევე თავად ნარკოლოგიურ კაბინეტში შემონმებაზე გადაყვანის არარსებობის შესახებ ინფორმაციის სამართლებრივი ბუნება და ხასიათი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლით (2013 წლის აგვისტო-სექტემბერში მოქმედი რედაქციის) დადგენილია, რომ კანონმდებლობის შესაბამისად მოსამსახურე ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ისე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება, სხვა პირთა ოჯახური და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ პოლიციამ არ უნდა გაახმაუროს სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები და გამოძიების მასალები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით დადგენილია, რომ პერსონალური მონაცემი ეს არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დ. გ-ის მიერ ა. გ-ისთვის გადაცემული ინფორმაცია, თუმცა არ მიეკუთვნება არც სახელმწიფო, არც პროფესიულ და არც კომერციულ საიდუმლოებას, იგი თავისი არსით წარმოადგენს პერსონალური ინფორმაციის შემცველ ისეთ ინფორმაციას, რომელიც დ. გ-ისთვის ცნობილი და ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო (იყო კიდევ) მხოლოდ და მხოლოდ მისი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მისივე (დ. გ-ის) სამსახურებრივი მდგომარეობის, სამინისტროში დაკავებული თანამდებობის, მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების გავლენითა და მეშვეობით. სწორედ ამიტომ, ამ ფაქტორების გათვალისწინებით სასამართლომ ა. მ-ის შესახებ დ. გ-ის მიერ ა. გ-ისთვის გადაცემული ინფორმაცია

არა მარტო პერსონალური ხასიათის, არამედ სხვა ისეთი ინფორმაციის სტატუსის მატარებლადაც მიიჩნია, რაც დ. გ-ისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. გ-ისთვის მიწოდებული ცნობები წარმოადგენდა იდენტიფიცირებული ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაციას ორი ძირითადი ასპექტის მიხედვით – გვარ-სახელის და იმ ფაქტორის მითითებით, რომ იგი კონკრეტულ დროს არ ყოფილა წარდგენილი ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. ამასთან, სააპელაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი: თავად აპელანტის – დ. გ-ის განმარტებებისა და მოწმის – რ. ნ-ის ჩვენების მოსმენის შემდეგ სასამართლოს ჩამოუყალიბდა მოსაზრება, შეხედულება მასზე, რომ თავად სამინისტროს თანამშრომლებს არ აქვთ მკაცრად განსაზღვრული, პრინციპული, ნათლად გააზრებული დამოკიდებულება ზემოხსენებული ინფორმაციის გაცემის დაუშვებლობის საკითხისადმი. მოწმის დაკითხვით გამოიჩინა, რომ ნარკოლოგიურ კაბინეტში მომუშავე თანამშრომლის მიერ მსგავსი ინფორმაციის გარეშე პირთათვის ადგილზე (ნარკოლოგიურ კაბინეტში) მიწოდება წარმოადგენს ქცევის სტანდარტულ წესს და, რომ ასეთი ქცევა თანამშრომელთა მხრიდან არ განიხილება კანონდარღვევად. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ბრძანების საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბათილად ცნობისა და სამინისტროს მიერ დ. გ-ის დისციპლინური საქმის ხელახალი განხილვის პირობებში უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა სათანადო შეფასება უნდა მისცეს დ. გ-ის ქცევას არა ცალკე აღებული, არამედ სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში ზოგადად დამკვიდრებულ თანამშრომელთა ქცევების, შეხედულებების კონტექსტში, რათა გაირკვეს, თავად დ. გ-ის სუბიექტური დამოკიდებულება საკუთარი ქცევისადმი, რაც ხელს შეუწყობდა სახდელის შესაბამისი სახის სწორად შერჩევასა და გამოყენების საკითხების კანონშესაბამისად გადაწყვეტას. აქვე პალატამ მიუთითა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდების“ მე-3, მე-4 მუხლებზე და ჩადენილი გადაცდომის შინაარსისა და სიმძიმის, აგრეთვე ჩადენის გარემოებების, თანამშრომლის პიროვნებისა და დამსახურების შეფასებაზე გააკეთა აქცენტი. პალატამ მიიჩნია, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დასახელებული ნორმები ფაქტობრივად უზრუნველყოფს და ემსახურება ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის – დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების

პრინციპის სწორად გამოყენების მიზნებს. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია და განმარტა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება (სადავო ბრძანება) დ. გ-ისთვის სახდელის სახით – შსს ორგანოებიდან დათხოვნის შეფარდების თაობაზე დაუსაბუთებელია – არც ბრძანება და არც გენერალური ინსპექციის დასკვნა არ შეიცავს მსჯელობას მასზედ, რომ ჩადენილი გადაცდომა არის მძიმე, რომ გადაცდომამ გამოიწვია მძიმე შედეგები, რომ დ. გ-ეს გააჩნია უარყოფითი საქმიანი და პირადი რეპუტაცია და ამ პირობათა ერთიანობის ფონზე იგი იმსახურებს ყველაზე მკაცრ სასჯელს. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ დ. გ-ე 1997 წლიდან 2013 წლის 13 სექტემბრამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში უწყვეტად მუშაობის დროს არც ერთხელ არ ყოფილა სახდელდადებული; თავად მოპასუხეს არ შეუქმნია დ. გ-ის პიროვნული და საქმიანი თვისებების თაობაზე რაიმე სახის ანალიტიკური დასკვნა, რომელიც დაასაბუთებდა დისციპლინური სახდელის შერჩევასა და შეფარდების ნაწილში მოპასუხის გადაწყვეტილების კანონიერებას. სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნები, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობა არ იწვევს მოხელის სამსახურში დაუყოვნებლივ აღდგენას. სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია ახალი ბრძანება, განკარგულება ან გადაწყვეტილება გამოსცეს სამსახურიდან გათავისუფლებასთან ან გადაყვანასთან დაკავშირებულ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ. მოხელის მიერ მოთხოვნილი განაცდური ხელფასი კი ამავე კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ დაწესებულების მიერ მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება (მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტები) და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელე დ. გ-ისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება არ არის იური-დიულად საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 4.9 პუნქტის თანახმად სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ დ. გ-ის მიერ ისეთი სახის ინფორმაცია იქნა გადაცემული მესამე პირისთვის, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციას, რომელიც დ. გ-ისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე იყო. შსს-ს წარმომადგენლის მითითებით, როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ისე სასამართლო განხილვისას დადასტურებულია დ. გ-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. თუმცა მომდევნო 4.10 პუნქტში სასამართლო ადგენს, რომ ასეთი ქცევა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან არ განიხილება კანონდარღვევად. აღნიშნული მსჯელობა არასწორია, რადგან თუ ასეთ ქმედებას კანონდარღვევად არ განვიხილავთ, ასეთ შემთხვევაში სამინისტროს გენერალური ინსპექციის მხრიდან არ იქნებოდა საკითხი შესწავლილი და შესაბამისი დასკვნები გაკეთებული. კასატორი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საკითხი ეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების მიერ სამინისტროს სისტემაში დაცული ინფორმაციის მესამე პირებზე გაცემას. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდების დამტკიცების შესახებ“ შსს მინისტრის 2013 წლის 4 იანვრის №4 ბრძანების პირველ მუხლზე მითითებით კასატორი განმარტავს სისტემის თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ნახალისების საფუძვლებს, სახდელებისა და ნახალისების სახეებს, საქმისწარმოებისა და თანამშრომელთათვის დისციპლინური სახდელების შეფარდებისა და მოხსნის წესს. ამავე ბრძანების მე-2 მუხლის შესაბამისად, კასატორი უთითებს, რომ თანამშრომლისთვის შეუფერებელი ქმედების, რომელიც ლახავს შსს-ს ავტორიტეტს, ჩადენისთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახედ სწორედ შსს ორგანოებიდან დათხოვნა წარმოადგენს. საკასაციო საჩივარში მითითებულია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამინისტროს მიერ დისკრეციის გამოყენების საკითხი და მიუთითა, რომ დ. გ-ის სახდელის სახის – შსს ორგანოებიდან დათხოვნის შეფარდების თაობაზე გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. სამინისტრო არ ეთანხმება სასამართლოს შეფასებას, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილება არის

უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება. ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. სამინისტრო, დ. გ-ის გათავისუფლებისას მოქმედებდა მისივე დისკრეციის ფარგლებში და სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას სრულყოფილად იქნა გამოკვლეული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადო შეფასების შედეგად გამოიწვა სადავო აქტი დ. გ-ესთან მიმართებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს იურიდიულად საკმარისად არ დაუსაბუთებია გადანყვეტილება, რაც გასაჩივრებულ ნაწილში მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს წარმოადგენს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დავის გადანყვეტისათვის, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, სააპელაციო სასამართლოს განჩინება დაუსაბუთებელია, რაც საქართველოს სა მოქალაქე საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი გაუქმების აბსოლუტურ პროცესუალურ საფუძველს ქმნის. საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქ-

მეთა სამინისტროს (მინისტრის) 2013 წლის 17 სექტემბრის №1183376 ბრძანება; მოპასუხეს – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: პოლიციის მაიორ დ. გ-ის მიმართ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის დასკვნის თანახმად, შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, შესული ინფორმაციის პოლიციის მაიორ დ. გ-ის მიერ შეუფერებელი ქმედების ჩადენის ფაქტზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით გაირკვა, რომ 2013 წლის 18 აგვისტოს, სამსახურიდან თავისუფალ დროს, შს სამინისტროს თანამშრომელი დ. გ-ემ მობილური ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა სამსახურში მყოფ თავის თანამშრომელს რ. ნ-ს, რომელსაც სთხოვა შს სამინისტროს დაცული კომპიუტერული ბაზიდან ინფორმაციის მოპოვება მოქალაქე ა. მ-ის შესახებ, კერძოდ, 2013 წლის 17 ან 18 აგვისტოს, ეს უკანასკნელი ჰყავდათ თუ არა თანამშრომლებს წარდგენილი ნარკოლოგიურ კაბინეტში, ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. დ. გ-ის თხოვნით რ. ნ-მა გადაამოწმა აღნიშნული ინფორმაცია შს სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში და დ. გ-ეს შეატყობინა, რომ ა. მ-ი აღნიშნულ დღეებში არ იყო წარდგენილი ნარკოლოგიურ კაბინეტში, ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. 2013 წლის 19 აგვისტოს, სამსახურში ყოფნისას, დ. გ-ემ თავის თანამშრომელს გ. ქ-ეს სთხოვა მისთვის დროებით დაეთმო სამსახურებრივი კომპიუტერი. აღნიშნული კომპიუტერის საშუალებით დ. გ-ე შევიდა შს სამინისტროს დაცულ კომპიუტერულ ბაზაში, სადაც არასამსახურებრივად და თვითნებურად მოიძია ინფორმაცია, კერძოდ, გადაამოწმა ნარკოლოგიურ კაბინეტში, ნარკოლოგიურ შემოწმებაზე იყო თუ არა ნამყოფი მოქალაქე ა. მ-ი. დ. გ-ემ დაადგინა, რომ ა. მ-ი არ ჰყავდათ პოლიციის თანამშრომლებს მიყვანილი ნარკოლოგიურ კაბინეტში ნარკოლოგიურ შემოწმებაზე. აღნიშნული ინფორმაცია მან მობილური ტელეფონის საშუალებით შეატყობინა მოქალაქე ა. გ-ს. ზემოაღნიშნული გარემოებები დასტურდება სამსახურებრივი შემოწმების პროცესში გამოკითხული დ. გ-ის, რ. ნ-ისა და გ. ქ-ის ახსნა-განმარტებებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული პოლიციის მაიორ დ. გ-ისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სახდელის – შს ორგანოებიდან დათხოვნის შეფარდება.

დისციპლინური წესით დასჯისა და შს სამინისტროდან დათხოვნის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 4 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ (სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება), „ვ“ (თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს შს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის, მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტის (შს ორგანოებიდან დათხოვნა) და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე-11 პუნქტის „ა“, „ე“, „ნ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქ. თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს პირველი განყოფილების ..., პოლიციის მაიორი დ. ო. გ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან საქართველოს სამხედრო ძალების რეზერვში.

საკაცაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს და მიუთითებს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლის (2013 წლის აგვისტო-სექტემბერში მოქმედი რედაქციის) თანახმად, კანონმდებლობის შესაბამისად მოსამსახურე ვალდებულია, როგორც სამსახურებრივი ურთიერთობისას, ისე სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს სახელმწიფო და კომერციული საიდუმლოება, სხვა პირთა ოჯახურ და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რაც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის (პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპი) მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ პოლიცია ვალდებულია საზოგადოებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სწრაფად მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, იმგვარად, რომ არ განხაუროს სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული საიდუმ-

ლოების შემცველი ინფორმაცია, პერსონალური მონაცემები და გამოძიების მასალები, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით დადგენილია, რომ პერსონალური მონაცემი (შემდგომ – მონაცემი) – ეს არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

საკაცაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ დ. გ-ის მიერ ა. გ-ისთვის გადაცემული ინფორმაცია თავისი არსით წარმოადგენს პერსონალური მონაცემების შემცველ ისეთ ინფორმაციას, რომელიც დ. გ-ისთვის ცნობილი და ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ მისი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მისივე – დ. გ-ის სამსახურებრივი მდგომარეობის, სამინისტროში დაკავებული თანამდებობის, მასზე დაკისრებული სამსახურებრივი ფუნქციებისა და მოვალეობების გავლენით და მეშვეობით; სწორედ ამიტომ, ამ გარემოებების გათვალისწინებით, ა. მ-ის შესახებ დ. გ-ის მიერ ა. გ-ისთვის გადაცემულმა ინფორმაციამ შეიძინა არა მარტო პერსონალური ხასიათი, არამედ სხვა ისეთი ინფორმაციის სტატუსი, რაც დ. გ-ისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით. ა. გ-ისთვის მიწოდებული ინფორმაცია წარმოადგენდა იდენტიფიცირებული ფიზიკური პირის შესახებ ინფორმაციას ორი ძირითადი ასპექტის მიხედვით – პირის გვარ-სახელის და აგრეთვე იმ ფაქტორის მიხედვით, რომ იგი (გვარ-სახელის მიხედვით იდენტიფიცირებული პირი) კონკრეტულ დროს არ ყოფილა წარდგენილი ნარკოლოგიურ შემონმებაზე. ამდენად, საუბარია არა მხოლოდ პირის მონაცემთა დაცვაზე, არამედ სამსახურებრივი და ოპერატიულ სამძებრო საიდუმლოების დაცვაზე (ოპერატიული საქმიანობის უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებების ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ მათთან ან ადრე თანამშრომლობდნენ), ადგილი აქვს პირის მონაცემთა დაცვიდან რეჟიმის ტრანსფორმირებას სამსახურებრივი და ოპერატიულ-სამძებრო საიდუმლოების დაცვაზე, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია, რომ დ. გ-ის მიერ გაცე-

მული ინფორმაცია წარმოადგენდა 2013 წელს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ცნობათა ნუსხით“ გათვალისწინებულ სახელმწიფო საიდუმლოებას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, მართალია, გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი და გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. სააპელაციო სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და თვლის, რომ საქმის მასალებში ასახული მტკიცებულებები, სააპელაციო სასამართლოს აძლევს საკმარის საფუძველს წარმოადგინოს სამართლებრივი დასკვნები და შეფასებები და სადავო საკითხთან მიმართებაში მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომელშიც სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება (სადავო ბრძანება) დ. გ-ისთვის სახდელის სახის – მს ორგანოებიდან დათხოვნის შეფარდების თაობაზე დაუსაბუთებელია – არც ბრძანება და არც გენ. ინსპექციის დასკვნა არ შეიცავს მსჯელობას მასზედ, რომ ჩადენილი გადაცდომა არის მძიმე, რომ გადაცდომამ გამოიწვია მძიმე შედეგები, რომ დ. გ-ეს გააჩნია ცუდი/უარყოფითი საქმიანი და პირადი რეპუტაცია და რომ ამ ყველაფრის გამო დ. გ-ე იმსახურებს ყველაზე მკაცრ სახდელს. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. ამასთან, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გააუქმა დ. გ-ის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილება და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ისე დაავალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომ არ გამოუკვლევიან ობიექტურად არსებობდა თუ არა სხვა უფრო მსუბუქი დისციპლინური სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა. ასეთ პირობებში, როდესაც სასამართლოს შეფასება დ. გ-ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ ცალსახაა და ფაქტობრივად უარყოფილია მო-

სარჩელის სამუშაოზე აღდგენის საფუძვლების არსებობის ფაქტი, სასამართლო დაუსაბუთებლად მიიჩნევს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 4-ე ნაწილზე მითითებით ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებას, გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და გამოსცეს ახალი აქტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ, მხარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტებისა და მტკიცებულებების შეჯერების საფუძველზე, ჩადენილი გადაცდომის შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით, თავად უნდა განსაზღვროს გამოყენებული პასუხისმგებლობის ადეკვატურობა და მიიღოს არსებითი გადაწყვეტილება. ამასთან, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს ყურადღება მიექცეს დ. გ. ის სამსახურებრივ სტატუსს და საკითხი გადაწყდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და იმ სპეციალური კანონმდებლობის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა შრომით სამართლებრივი მონუბის საკითხებს.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის №614 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სპეციალური, გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემა, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. დებულების მე-9 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საექსპერტო-კრიმინალისტიკური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით დებულების მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველო. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2012 წლის 13 დეკემბრის №979 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველო წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს სტრუქტურულ დანაყოფს. დებულების მე-9 მუხლის პირ-

ველი პუნქტის თანახმად ქ. თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს კომპეტენციაა: ა) დანაშაულის კვალისა და ნივთიერ მტკიცებულებათა აღმოჩენის, დაფიქსირების, ამოღებისა და მათი შემდეგი გამოკვლევის მიზნით შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ასევე სხვა საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში მონაწილეობა; ბ) კანონით დადგენილი წესით, პიროვნებების დაქტილოსკოპირება, ფოტო და ვიდეო გადაღებების წარმოება; გ) განუული საქმიანობის სტატისტიკის წარმოება; დ) დანაშაულის შესახებ შეტყობინება-გამოძახების მიღება, აღრიცხვა-რეგისტრაცია და შესაბამისი რეაგირების ორგანიზება.

ჩამოთვლილი კომპეტენციებიდან გამომდინარე, ქ. თბილისის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს საქმიანობაზე ვრცელდება „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ ორგანოებსა და საგამოძიებო დანაყოფებს. აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია. ასეთი საქმიანობის ამსახველი მონაცემების, დოკუმენტებისა და ნყაროების დადგენილი წესით გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრულ პირებს, აგრეთვე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს და მის მიერ უფლებამოსილ პირს. მე-13 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ ამ კანონით განსაზღვრულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესრულებისას, საამისოდ უფლებამოსილი ორგანოები ვალდებული არიან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას დაიცვან კონსპირაციის წესები.

საქმეზე დადგენილია, რომ დ. გ-ის მიერ ა. მ-ის შესახებ ა. გ-ისათვის გადაცემული ინფორმაცია წარმოადგენდა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების პროცესში მოპოვებულ კონსპირაციულ ინფორმაციას, რომლის დაცვის მოვალეობა მას კანონით ეკისრებოდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შს ორგანოებში სამსახურის გავლის სპეციფიკა და მუშაობის გასამხედროებული რეჟიმი, შს ორგანოს თანამშრომლებს მკვეთრად გამიჯნავს საჯარო სამსახურის სხვა მოხელეებისაგან, რაც ძირითადად გა-

მოიხატება სამსახურებრივი დისციპლინის, თანამდებობრივი სუბორდინაციისა და წოდებრივი ქვემდებარეობის განუხრელ დაცვაში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქ. თბილისის საქსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს ფუნქციას წარმოადგენს საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში მონაწილეობა, რაც საჭიროებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან იმის გათვალისწინებას, რომ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა არის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების სპეციალური სამსახურების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ღია თუ ფარული მეთოდით ჩატარებული ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. შს ორგანოს თანამშრომელთა მიმართ მაღალი სადისციპლინო-საშემსრულებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლიოს და შეაფასოს დ. გ-ის მხრიდან ა. მ-ის შესახებ პერსონალური მონაცემების შემცველი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების პროცესში მოპოვებული ინფორმაციის გაცემა ქმნის თუ არა მისი დისციპლინური პასუხისმგებლობის – შს ორგანოებიდან დათხოვნის საკმარის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში ასახულ ინფორმაციას, რომელიც შეეხება სასამართლოს შეხედულებას მასზედ, რომ თავად სამინისტროს, სამინისტროს თანამშრომლებს არ აქვთ მკაცრად განსაზღვრული, პრინციპული, ნათლად გააზრებული დამოკიდებულება სადავო ინფორმაციის გაცემის და უშეებლობის საკითხზე. მონმის დაკითხვით გაირკვა, რომ ნარკოლოგიურ კაბინეტში მომუშავე თანამშრომლის მიერ მსგავსი ინფორმაციის გარეშე პირთათვის ადგილზე (ნარკოლოგიურ კაბინეტში) მიწოდება წარმოადგენს ქცევის სტანდარტულ წესს და, რომ ასეთი ქცევა თანამშრომელთა მხრიდან არ განიხილება კანონდარღვევად. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნულ მსჯელობას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი, რადგან „კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი“ გულისხმობს პირის კანონიერი უფლებებისა და თავისუფლებების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვის ან მათი განხორციელებისათვის ხელშეშლის აკრძალვას, რამდენადაც „არ არსებობს თანასწორობა

უკანონობაში“. შესაბამისად, გარემოება საჭიროებს სასამართლოს შეფასებას, კერძოდ, დ. გ-ის მხრიდან მისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით მიღებული ინფორმაციის მესამე პირისათვის გადაცემა ნიშნავს თუ არა სამსახურეობრივი დისციპლინის უხეშ დარღვევას და პოლიციელისთვის შეუფერებელ საქციელს და მის მიერ ჩადენილი ქმედება რამდენად შეესაბამება მის თანამდებობრივ სტატუსს.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი განსაზღვრავს სამინისტროს მოსამსახურის პასუხისმგებლობის სახეებს, რომლის „ზ“ პუნქტის თანახმად, სამსახურიდან დათხოვნა წარმოადგენს სამსახურეობრივი დისციპლინის დარღვევისათვის სამინისტროს მოსამსახურის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეს. აღნიშნული სახდელის გამოყენების წესი მოცემულია 22-ე მუხლში, რომლის პირველი პუნქტის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად სამინისტროს მოსამსახურის სამსახურიდან დათხოვნა შესაძლებელია: სამსახურეობრივი დისციპლინის უხეშ ან სისტემატური დარღვევისათვის და ფიცის გატეხისათვის, პოლიციელისთვის შეუფერებელი საქციელისათვის.

საგულისხმოა, რომ „პოლიციელის ფიცის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1010 ბრძანებით დამტკიცებული პოლიციელის ფიცი ასევე შეიცავს დათქმას სახელმწიფო და სამსახურეობრივი საიდუმლოების დაცვის ვალდებულების შესახებ.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს დადგინდეს, პოლიციის მაიორის – დ. გ-ის მიერ გაცემული ინფორმაცია, რამდენად წარმოადგენდა სამსახურეობრივ საიდუმლოებას და აღნიშნული გარემოების დადასტურების შემთხვევაში საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის საფუძველზე დადგინდეს, მის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს თუ არა სამსახურეობრივ მოვალეობის უხეშ დარღვევას და შეფასდეს არსებობდა თუ არა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე ხელახალი გამოკვლევის მიზნით საჭიროებს იმავე სასამართლოში დაბრუნებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სა-

მოქალაქეო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

განჩინება

№ბს-449-442(კ-15)

8 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით განაცხადურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 17 ოქტომბერს ვ. ც-ამ, ბ. ვ-ამ და სხვებმა (სულ 17 ფიზიკური პირი) მარტვილის მაგისტრატ სასამართლოს სარჩელით მიმართეს მოპასუხე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს მარტვილის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობიდან ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. ნ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას და ზ. ბ-ას გათავისუფლების

შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 18 სექტემბრის №223, №224, №226, №227, №229, №230, №231, №232, №233, №234, №235, №236, №237, №238, №240, №241, №242 ბრძანებების ბათილად ცნობა, მოსარჩელების მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ერთეულებში აღდგენა და მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება.

2014 წლის 24 ოქტომბერს ა. ს-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების: მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ა. გ-ას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან ა. ს-ას გათავისუფლების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 24 სექტემბრის №329 ბრძანების ბათილად ცნობა, ა. ს-ას მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე აღდგენა და მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება, ასევე სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე განაცდური ხელფასის სახით მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელების განმარტებით, ისინი დანიშნული იყვნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობაზე. თავიანთ მოვალეობებს ასრულებდნენ კეთილსინდისიერად, რისთვისაც არაერთხელ წახალისდნენ ფულადი პრემიებით. 2014 წლის 18 სექტემბერს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით გათავისუფლდნენ თანამდებობიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველით, თუმცა, რეალურად, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაცია და შტატების შემცირება არ განხორციელებულა. ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს შეეცვალა მხოლოდ სახელწოდება და დაერქვა ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელი, ხოლო ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულისა და ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ფუნქციური დატვირთვა არ შეცვლილა. მარტვილის მუ-

ნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დანიშნული იყო გამგებლის იმდენივე წარმომადგენელი, რამდენი რწმუნებულიც იყო დანიშნული ტერიტორიულ ორგანოში. მარტვილის მუნიციპალიტეტის დებულება და საშტატო ნუსხა ითვალისწინებდა ფუნქციურად იგივე საშტატო თანამდებობის არსებობას ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლის სახით.

ა. ს-ას სარჩელის მიხედვით, იგი დანიშნული იყო მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებდა კეთილსინდისიერად, რისთვისაც არაერთხელ ნახალისდა პრემიით. 2014 წლის 24 სექტემბერს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით გათავისუფლდა თანამდებობიდან მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების საფუძველით, თუმცა, რეალურად, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციის განყოფილებას შეეცვალა მხოლოდ სახელწოდება და დაერქვა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება, ხოლო განყოფილების უფროსის ფუნქციური დატვირთვა არ შეცვლილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით, ა. ს-ას სარჩელი განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა სენაკის რაიონულ სასამართლოს, სადაც მოპასუხე მხარედ მიუთითა მხოლოდ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 7 ნოემბრისა და 5 დეკემბრის განჩინებებით ადმინისტრაციულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის შესაბამისად მესამე პირებად ჩაებნენ რ. ნ-ა, ვ. გ-ა, ჯ. ნ-ა, დ. ხ-ა, რ. ფ-ა, ბ. ო-ა, ზ. ქ-ა, ვ. გ-ა, ო. ბ-ი, შ. ნ-ა, კ. გ-ა, ჯ. თ-ა, ბ. ნ-ა, რ. ც-ა, მ. გ-ა, ზ. ქ-ი, ბ. გ-ა, დ. ს-ა.

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა სარჩელები არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელები სამსახურიდან გათავისუფლდნენ გამგეობის რეორგანიზაციის, კერძოდ, ტერიტორიული ორგანოების გაუქმების გამო, რაც განხორციელდა კანონმდებლობის ცვლილების შედეგად. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ კანონი, რომელიც არეგულირებდა ტერიტორიულ ორგანოებში რწმუნებულის უფლებამოსილებებს და მის საქმიანო-

ბის წესს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით რწმუნებულის თანამდებობა გაუქმდა და გამგებელს მიენიჭა ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის დანიშვნის უფლებამოსილება. ამ ცვლილების შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა რიცხვი 147 ერთეულიდან 100 ერთეულამდე შემცირდა.

მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის და 19 დეკემბრის გადაწყვეტილებებით ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას და ა. ს-ას სარჩელები არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის განჩინებით ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას და სხვების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა მარტვილის მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 17 ნოემბრის და 19 დეკემბრის გადაწყვეტილებები.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო აქტები – მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებები მოსარჩელების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემულია მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის – თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების გაუქმებისა და შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული კატეგორიის დავების განხილვისას (მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლებისას) ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების მართლზომიერება უნდა შემოწმდეს დასაქმებულის გათავისუფლების საფუძველად მითითებული გარემოებების შეფასების შედეგად, სასამართლოს კვლევის საგანია რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი გასაჩივრებულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში მოსარჩელის სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველად მითითებულ გარემოებებს – მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციას და შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებამდე, ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, მათი სტრუქტურა, უფლებამოსილებები და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი, ეკონომიკური და ფინანსური საფუძვლები, დადგენილი იყო „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. მითითებული კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, გამგეობა შედგებოდა სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოსაგან. ამ ნორმის შესაბამისად, გამგეობის სტრუქტურა მოიცავდა დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპით შექმნილ სამსახურთა ერთობლიობას.

სასამართლოს განმარტებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – გამგეობის სრულიად განსხვავებული სტრუქტურა, რომლის მიხედვით, გამგეობის სტრუქტურა განისაზღვრა მხოლოდ სტრუქტურული ანუ დარგობრივი პრინციპით. შესაბამისად, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, უდავოა, რომ ადგილი ჰქონდა გამგეობის სტრუქტურის ცვლილებას, რასაც შედეგად მოჰყვა ტერიტორიული ორგანოების (სტრუქტურული ერთეულების) გაუქმება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის დანაწესზე, რომლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირს წარმოადგენდა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავდა და თანამდებობიდან ათავისუფლებდა გამგებელი. ამავ კანონის 42-ე მუხლით დადგენილი იყო რწმუნებულის უფლებამოსილებათა სფერო, მისი კომპეტენციის ფარგლები. იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედების შედეგად გამგეობამ განიცადა სტრუქტურული ცვლილება და გამგეობის ტერიტორიული ორგანო, როგორც გამგეობის შემადგენელი ნაწილი, გაუქმდა, ცხადია, გაუქმდა ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის – რწმუნებულის თანამდებობაც.

სააპელაციო სასამართლომ მოსაზრებით, საჯარო სამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს დაწესებულების

მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, ვინაიდან კანონით შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – გამგეობის სტრუქტურა და გაუქმდა გამგეობის ტერიტორიული ორგანო და მისი ხელმძღვანელისა და აპარატის თანამდებობები, ამ სფეროში განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის რეორგანიზაცია დაწესებულების სტრუქტურის შეცვლით, რასაც თან ახლდა შტატების შემცირება, კერძოდ გაუქმდა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანო, როგორც გამგეობის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი, რასაც თან მოჰყვა ტერიტორიული ორგანოს აპარატის – რწმუნებულისა და გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამდებობათა შემცირება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ტერიტორიული ორგანოს მოხელეებთან მიმართებით სამართლებრივ რეჟიმს ადგენდა მარტივის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ორგანოთა დებულება, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებათა კვალდაკვალ, მარტივის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 სექტემბრის №18 დადგენილებით ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული.

სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელეთა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი არ ჰქონია შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებას, ვინაიდან, გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულისა და გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობა, ასევე გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან კოორდინაციის განყოფილება და გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება ფუნქციურად იდენტური პოზიციები იყო.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულისა და გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობა, ასევე გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან კოორდინაციის განყოფილება და გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება არ წარმოადგენს ერთი და იგივე პოზიციებს. ახლად შექმნილ საშტატო ერთეულზე დანიშნული პირისათვის იმ ფუნქციური მოვალეობების გარკვეული ნაწილის დაკისრება, რასაც ადრე სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებდა გაუქმე-

ბულ საშტატო ერთეულზე დასაქმებული პირი, არ წარმოადგენს დაწესებულების რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამომრიცხავ გარემოებას.

სასამართლოს მითითებით, შტატებით გათვალისწინებული თანამდებობების შემცირების ფაქტი დასტურდება ასევე იმ გარემოებითაც, რომ შეიცვალა ახლად ჩამოყალიბებული სამსახურის ფუნქციონალური დატვირთვა, ფუნქციონალურ-კომპეტენტური მოთხოვნები; კერძოდ, გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის თანამდებობისაგან განსხვავებით გამგებლის წარმომადგენელი უკვე არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელს და თანამდებობის პირს, მათ შორის, ახალი საკანონმდებლო რეგულაციით მას უკვე არ გააჩნია სამსახურის საქმიანობის წარმართვის, შესაბამის ტერიტორიაზე საკრებულოს და გამგებლის (მერის) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის კონტროლის, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შედგენაში მონაწილეობის, ადმინისტრაციულ ერთეულში თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და მისი განკარგვის საკითხებზე წინადადებების შემუშავების, მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურში განწვევაში მონაწილეობის, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების შესრულების უფლებამოსილება. შესაბამისად, სხვა ფუნქციური დატვირთვა შეიძინა გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილებამ. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ გამგებლის წარმომადგენლის საშტატო ერთეულის შემოღება კანონმდებელმა გამგებლის/მერის დისკრეციულ უფლებამოსილებათა სფეროს მიაკუთვნა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მოსარჩელებმა სააკასაციო წესით გაასაჩივრეს მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.

კასატორების მტკიცებით, ისინი განუსაზღვრელი ვადით იყვნენ დანიშნულნი მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, საიდანაც გაათავისუფლეს თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირებასთან დაკავშირებით. მოსარჩელები წლების განმავლობაში მარტვილის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში მუშაობისას არაერთგზის იყვნენ ნახალისებულნი, არასოდეს ყოფილან მიცემულნი დისციპლინურ პასუხისგებაში. სადავო აქტების მიმართ არ-

სებობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.1 მუხლით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობისათვის გათვალისწინებული ორივე ნორმატიული შემადგენლობა – კანონსაწინააღმდეგობა და სადავო აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევა. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ბრძანებებში მითითებულ ფაქტს – შტატების შემცირებას ადგილი არ ჰქონია, დაუსაბუთებელია ამ საფუძვლით პირის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება. მოპასუხის მხრიდან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემაზე საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სათანადო გამოკვლევის, ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების მეშვეობით საკითხის გადაწყვეტის შემდგომ, მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა რომ მოსარჩელები დანიშნული იყვნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულების მოვალეობის შემსრულებლების თანამდებობაზე. გათავისუფლების ბრძანებებში ნათლად ჩანს, რომ მოსარჩელები გათავისუფლდნენ მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულების თანამდებობებიდან და არა მოვალეობის შემსრულებლების თანამდებობებიდან. გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობაში განხორციელდა რეორგანიზაცია. ფუნქციურად გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული და გამგებლის წარმომადგენლის თანამდებობა იყო ერთი და იგივე, ისევე როგორც იდენტური იყო გამგეობის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან კოორდინაციის განყოფილება და გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება. მოსარჩელები 7 დღის მანძილზე ასრულებდნენ ახალი თანამდებობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ვ. ც-ასა და სხვათა საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სა-

დავო აქტები – მარტივის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებები მოსარჩელეების თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემულია მარტივის მუნიციპალიტეტის გამგეობის რეორგანიზაციის – თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების გაუქმებისა და შტატებით გათვალისწინებულ თანამდებობათა შემცირების საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაბუთებული და დასაშვები პრეტენზია“ გულისხმობს კასატორის მითითებას იმ საპროცესოსამართლებრივ დარღვევებზე, რასაც ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა მოჰყვება.

განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა აღნიშნული ნორმით გარანტირებული შედავების უფლებით და ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოების მიმართ დასაბუთებულ პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლომ, შეამოწმა რა შედავების სამართლებრივი საფუძვლები, მიიჩნია, რომ კასატორის პრეტენზია განიარაღებულ უნდა იქნეს.

სააპელაციო სასამართლომ ვრცლად მიმოიხილა თვითმმართველობის სფეროში გატარებული რეფორმა და დაასკვნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – გამგეობის სრულიად განსხვავებული სტრუქტურა, რომლის მიხედვით, გამგეობის სტრუქტურა მონყობილია მხოლოდ სტრუქტურული ანუ დარგობრივი პრინციპით, შესაბამისად, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, უდავოა, რომ ადგილი ჰქონდა გამგეობის სტრუქტურის ცვლილებას, რასაც შედეგად მოჰყვა ტერიტორიული ორგანოების (სტრუქტურული ერთეულების) გაუქმება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ეს ფაქტი, თავისთავად, არ ადასტურებს შტატების შემცირებას. უდავოა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, რეორგანიზაციისას საჯარო მოხელის გათავისუფლება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეორგანიზაციას თან შტატების შემცირებაც ახლავს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო სამსახურის დაწესებულების რეორგანიზაცია არის საჯარო სამსახურის დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება მოსდევდეს

დანესებულების მთლიანად ან მისი სტრუქტურული ქვედანა-
ყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალუ-
რი დატვირთვის ცვლილება. საკასაციო სასამართლო განმარ-
ტავს, რომ სამტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა
არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დად-
გენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს სამტატო ერთე-
ული. სამტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როცა ფუნ-
ქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, ახალი
სამტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობე-
ბი, ან/და ამგვარი სამტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა
კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ და
ა.შ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ რეორგანიზაციის
შედეგად შეიძლება ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა
შეიცვალოს, გაიყოს და კონკრეტული სამსახურები განსხვავე-
ბულად ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოხელის მიერ დაკავებული შტა-
ტი არსებითად უცვლელად დარჩეს, ანუ, იყოს იმავე იერარქი-
ულ საფეხურზე, თუნდაც სხვა უწყების დაქვემდებარებაში და
ითვალისწინებდეს იმავე უფლება მოვალეობების შესრულებას,
შესაბამისად, კონკრეტული თანამდებობების იდენტურობის
დადგენის მიზნით უნდა შეფასდეს ა) მათი ადგილი ადმინის-
ტრაციული ორგანოს სამსახურებრივ იერარქიაში; ბ) ძირითად
უფლებამოსილებათა წრე, ამასთან, საკასაციო სასამართლო
ხაზს უსვამს, რომ ფორმალურად ზოგიერთი ფუნქციის მოკლე-
ბა ან რაიმე უმნიშვნელო მოთხოვნის დამატება მდგომარეობას
არ ცვლის; გ) მოთხოვნები, რომლებიც რეორგანიზაციის შემ-
დგომ საჭიროა კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად; დ)
ზოგიერთ შემთხვევაში – შრომის ანაზღაურება.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს ეს გა-
რემოებები სათანადოდ არ გამოუკვლევია, კერძოდ, არ გაით-
ვალისწინა, რომ რეორგანიზაციამდე არსებობდა 21 რწმუნებუ-
ლის შტატი და რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა 21 გამგებლის
წარმომადგენლის პოზიცია, გარდა ამისა, რწმუნებულის ფუნ-
ქციების გარკვეული ნაწილი გადაეცა გამგებლის წარმომადგე-
ნელს, დამატებითი მოთხოვნები კი, გათვალისწინებული არ
არის. სასამართლოს არ შეუფასებია, ამ სამსახურებრივი ფუნ-
ქციების დაკისრებით გამგებლის წარმომადგენელი ასრულებ-
და თუ არა თვისობრივად იმავე მოვალეობებს, რასაც რწმუნე-
ბული, ამასთან, საყურადღებოა, რომ გამგებლის წარმომადგენ-
ლის ფუნქციები, რწმუნებულთან შედარებით, არ გაზრდილა,
შემცირდა, თუმცა მარტივილი მუნიციპალიტეტის დებულების
საფუძველზე, გამგებლის წარმომადგენლის უფლება-მოვალე-

ობები ამომწურავად განსაზღვრული არ არის.

გარდა ამისა, მართალია, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ რეფორმის შედეგად გამგეობის ტერიტორიული ორგანოები გაუქმდა და თვითმმართველობის ორგანოები დარგობრივი პრინციპით მოეწყო, მაგრამ არ გაითვალისწინა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების საფუძველზე, გამგებლის წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას გარკვეული ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში ასრულებს, ამდენად, ტერიტორიული დაყოფის პრინციპი კვლავაც შენარჩუნებულია, თუმცა შესაფასებელია, მოქმედებენ თუ არა გამგებლის წარმომადგენლები იმავე ტერიტორიულ ერთეულებში, სადაც რწმუნებულები.

საკასაციო სასამართლო ცალკე გამოყოფს ა. ს-ამ სარჩელს და ყურადღებას ამახვილებს, რომ ამ უკანასკნელს რეორგანიზაციამდე დაკავებული ჰქონდა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსის თანამდებობა. ადმინისტრაციული სამსახურის ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფდა: ა) გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების ფუნქციურ და მართვის პროცედურების ანალიზს და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას; ბ) გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების მართვის სისტემის ოპტიმიზაციას; გ) გამგეობის მოსამსახურეთა სამუშაო გეგმების და სამუშაოთა აღწერილობების მომზადებას, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალებებისა და სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმების დადგენას; დ) მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას. რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება, რომლის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 სექტემბრის №24 დადგენილებით დამტკიცებული მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულებით. მითითებული დებულების მე-6 მუხლის თანახმად, მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს: ა) გამგებლის წარმომადგენლების კოორდინირებულ მუშაობას; ბ) გამგებლის წარმომადგენლებისაგან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის

ტერიტორიაზე საკრებულოსა და გამგებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციების მიღებას და სათანადო დამუშავების შემდეგ გამგებლისათვის წარდგენას; გ) გამგებლის წარმომადგენლებისაგან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე გამგებლისათვის წინადადებების წარდგენას ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაჭრის გზების შესახებ; დ) გამგებლის წარმომადგენლების დახმარებას მათ მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობის გამოკითხვის, სახალხო განხილვების ჩატარებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზების საქმეში; ე) მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ორი სამსახურის ფუნქციები განსხვავებულადაა ფორმულირებული, თუმცა არსებითად მსგავსია, ამდენად, დაუსაბუთებელია სასამართლოს დასკვნა, რომ რეორგანიზაციამდე არსებული მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიულ ორგანოებთან კოორდინაციის განყოფილების უფლებამოსილებათა დამდგენი ნორმების შინაარსი, კომპეტენციის ფარგლები და რეორგანიზაციის შემდგომ არსებული მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფლებამოსილებები და ვალდებულებები შინაარსობრივად განსხვავდებოდა და არც შეიძლებოდა იდენტური ყოფილიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ამავე კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქ-

მეზე უნდა გაირკვეს, რეორგანიზაციის შემდეგ არსებობს თუ არა იმავე ფუნქციური დატვირთვის მქონე საშტატო ერთეულები, რაც ეკავათ მოსარჩელებს, მათი სტატუსი, უნდა დადგინდეს, აქვს თუ არა ადგილი დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის მიმართ ფუნქციონალურ-კომპეტენციური მოთხოვნების გაზრდას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ვ. ც-ას, ბ. ვ-ას, ხ. წ-ას, ე. კ-ას, გ. ც-ას, მ. ს-ის, ნ. ქ-ას, გ. ჯ-ას, მ. ს-ას, მ. ჯ-ას, თ. კ-ას, ზ. ს-ას, ი. გ-ის, ბ. ხ-ას, მ. ყ-ას, რ. ც-ას, ზ. ბ-ას, ა. ს-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 12 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. კომპენსაციის სახით ერთდროული დახმარების ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-774-760(კ)-14

7 ივლისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება, სა-
ხელფასო დავალიანების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 5 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა თ. ქ-ამ მოპასუხის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა ერთდროული (გასასვლელი) დახმარების – 2000 ლარისა და სახელფასო დავალიანების – 117,79 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 17 იანვარს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 მუხლის შესაბამისად, ერთდროული (გასასვლელი) დახმარების – 2000 ლარის ანაზღაურება, რაზედაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 22 იანვრის №135302 წერილით ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებით განსაზღვრული საკითხები დარეგულირდა „პოლიციის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოცემული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით, რომელიც არ ითვალისწინებდა ერთდროულ (გასასვლელ) დახმარებას. ამასთან, სამინისტროს ბიუჯეტი არ ითვალისწინებდა სახელფასო დავალიანების დაფარვის ხარჯებს. აღნიშნული მოსარჩელის განმარტებით, უკანონოა, ვინაიდან, ზემოაღნიშნული ნორმა არ გაუქმებულა და ამასთან, პრეზიდენტის ნორმატიულ აქტს აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიულ აქტზე უპირატესი იურიდიული ძალა და სწორედ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებაში არაფერია ნათქვამი გამოსასვლელ დახმარებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროული (გასასვლელი) დახმარების – 2000 ლარის ანაზღაურება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 2003 წლის გაუცემელი სახელფასო დავალიანების ხელზე ასაღები თანხის – 60,12 ლარის ანაზღაურება; თ. ქ-ას უარი ეთქვა 2003 წლის ულუფის – 57,67 ლარის ანაზღაურებაზე.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურეს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურისა), რომელიც დათხოვნილია ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, სამინისტროში ნამსახურების წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურების წლების) მიხედვით მინისტრის სამართლებრივი აქტით ეძლევა ერთდროული (გასასვლელი) დახმარება შემდეგი ოდენობით: ა) 2 წლამდე (არანაკლებ 6 თვისა) – 600 ლარი; ბ) 2-იდან 10 წლამდე – 800 ლარი; გ) 10-იდან 15 წლამდე – 1000 ლარი; დ) 15-იდან 20 წლამდე – 1500 ლარი; ე) 20 წელი და მეტი – 2000

ლარი. „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების 25-ე პუნქტის შესაბამისად, ამ ბრძანებულების მე-11 და მე-12 პუნქტები ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან. საქმის მასალების შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თ. ქ-ა მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 1985 წლის 14 ოქტომბრიდან, საიდანაც 2010 წლის 11 აგვისტოდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. თ. ქ-ამ 2014 წლის 17 იანვარს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 22 იანვრის №135302 წერილით თ. ქ-ას მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. განემარტა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებით განსაზღვრული საკითხები დარეგულირდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოცემული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით, რომელიც არ ითვალისწინებდა ერთდროულ (გასასვლელ) დახმარებას. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მინისტრმა 2014 წლის 1 იანვრამდე უნდა დაამტკიცოს სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი“, რომელიც არ ითვალისწინებს ერთდროულ (გასასვლელ) დახმარებას.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძა-

ნებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის“ პარალელურად, 2014 წლის 17 იანვრის მდგომარეობით, ანუ იმ პერიოდში, როდესაც თ. ქ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით, მოქმედებდა ასევე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულება, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 19 თებერვლის №59 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი განსაზღვრავს ნორმატიული აქტების სახეებს, მათ იერარქიას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ადგილს საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ზოგად წესებს. აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიული აქტების მიმართ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებას უპირატესი იურიდიული ძალა ჰქონდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებასთან მიმართებაში.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, თ. ქ-ამ მისი უფლების რეალიზაცია, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ერთდროული (გასასვლელი) დახმარების მოთხოვნა, განახორციელა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეცია-

ლური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოცი-
ალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“
საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082
ბრძანებულების მე-11 პუნქტის მოქმედების პერიოდში – 2014
წლის 6 იანვარს, მაშინ აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმა-
ტიული აქტი ჯერ კიდევ არ იყო ძალადაკარგული ანუ 2014 წლის
6 იანვრისთვის არ არსებობდა საქართველოს პრეზიდენტის
2014 წლის 19 თებერვლის №59 ბრძანებულება, საქართველოს
პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულე-
ბის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩე-
ლი მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო-
სათვის მოსარჩელე თ. ქ-ას სასარგებლოდ ერთდროული (გასას-
ვლელი) დახმარების – 2000 ლარის დაკისრების ნაწილში საფუძ-
ვლიანია და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თ. ქ-
ას სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ერთდროული (გასასვლე-
ლი) დახმარების – 2000 ლარის ანაზღაურება.

რაც შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო-
სათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სახელფასო დავალიანების
– 117,79 ლარის ანაზღაურებას აღნიშნულთან მიმართებაში სა-
ქალაქო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის
შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის
„დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სა-
მინისტროს თანამშრომლებზე აღნიშნული კანონის მოთხოვნე-
ბი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს
კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძ-
ველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის 37-ე მუხ-
ლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ მოსამსახურეს უფ-
ლება აქვს, სამსახურში მიღების დღიდან სამსახურიდან გათა-
ვისუფლების დღემდე მიიღოს შრომითი გასამრჯელო (ხელფა-
სი). სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე,
რომ მოსარჩელე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს-
თან შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა,
როგორც საჯარო მოსამსახურე „პოლიციის შესახებ“ საქართვე-
ლოს კანონისა და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17
მარტის №139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს
შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესა-
ხებ დებულების“ შესაბამისად.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის (2000 წლის 28
ივნისამდე მოქმედი რედაქციით) 31-ე მუხლის მე-2 ნაწილს თა-
ნახმად, პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისათ-

ვის იღებდა ყოველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომპენსაციებს. ასეთივე დანაწესს შეიცავდა მოსარჩელის სახელფასო დავალიანების წარმოშობის დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 მარტის №139 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ დებულების“ 55-ე მუხლი, რომლის პირველი აბზაცით დადგენილი იყო, რომ პოლიციაში სამსახურისათვის თანამშრომელი იღებდა ხელფასს, რომელიც შეიცავდა თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას (თუ იგი ნატურით არ ეძლეოდათ), რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს. ამდენად, 2000 წლის 28 ივნისამდე მოქმედი რედაქციით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის, ისევე როგორც „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის შესახებ დებულების“ შესაბამისი ნორმებით დადგენილი იყო, რომ პოლიციელის ხელფასი მოიცავდა არა მარტო თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს, არამედ – ნამსახურობის დანამატს, სასურსათო ულუფის ღირებულებას რაიონულ კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებული იყო; დანამატს დასვენებისა და უქმე დღეებში მუშაობისათვის და სხვა გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ დანამატებსა და კომპენსაციებს. თუმცა 2000 წლის 28 ივნისის №413 კანონით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, ხსენებული კანონის 31-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად, ხელფასი მოიცავდა მხოლოდ თანამდებობრივი და სპეციალური წოდებისათვის დადგენილ განაკვეთს.

მოსარჩელის წინაშე სახელფასო დავალიანება მოპასუხეს წარმოეშვა 2003 წელს და დღეისათვის მოსარჩელე დავობს სწორედ ამ პერიოდში წარმოშობილ და შეუსრულებელ ვალდებულებებზე. ამასთან, 2000 წლის 28 ივნისის შემდეგ მოქმედი რედაქციით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხ-

ლით გათვალისწინებულ ხელფასში შემავალ დანამატს არ წარმოადგენს კვების ულუფის კომპენსაციის თანხა და იგი ხელფასისგან დამოუკიდებელი ფულადი გასაცემელია, რომელზედაც ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებისთვის დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას თ. ქ-ასათვის სასარჩელო მოთხოვნის ერთდროული დახმარების ანაზღაურების დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასაბუთება და დამატებით მიუთითა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურეს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურისა), რომელიც დათხოვნილია ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, სამინისტროში ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით მინისტრის სამართლებრივი აქტით ეძლევა ერთდროული (გასასვლელი) დახმარება შემდეგი ოდენობით: ა) 2 წლამდე (არანაკლებ 6 თვისა) – 600 ლარი; ბ) 2-იდან 10 წლამდე – 800 ლარი; გ) 10-იდან 15 წლამდე – 1000 ლარი; დ) 15-იდან 20 წლამდე – 1500 ლარი; ე) 20 წელი და მეტი – 2000 ლარი.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. ქ-ა მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 1985 წლის 14 ოქტომბრიდან, საიდანაც 2010 წლის 11

ავვისტოდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების 25-ე პუნქტის შესაბამისად, ამ ბრძანებულების მე-11 და მე-12 პუნქტები ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ თ. ქ-ამ 2014 წლის 17 იანვარს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 22 იანვრის №135302 წერილით თ. ქ-ას მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. განემარტა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებით განსაზღვრული საკითხები დარეგულირდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოცემული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით, რომელიც არ ითვალისწინებდა ერთდროულ (გამოსასვლელ) დახმარებას.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მინისტრმა 2014 წლის 1 იანვრამდე უნდა დაამტკიცოს სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი.

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი“, რომელიც არ ითვალისწინებს ერთდროულ (გამოსასვლელ) დახმარებას.

სააპელაციო სასამართლო ასევე დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს განმარტებას, იმის თაობაზე, რომ საქართველოს

შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის“ პარალელურად, 2014 წლის 17 იანვრის მდგომარეობით, ანუ იმ პერიოდში, როდესაც თ. ქ-ამ განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით, მოქმედებდა ასევე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულება, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 19 თებერვლის №59 ბრძანებულებით ძალადაკარგულად გამოცხადდა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულება უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებასთან მიმართებაში.

სააპელაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, რომ თ. ქ-ამ მისი უფლების რეალიზაცია, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ერთდროული (გასასვლელი) დახმარების მოთხოვნა, განახორციელა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტის მოქმედების პერიოდში – 2014 წლის 6 იანვარს.

ამდენად არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის საქართველოს შს მინისტრის №997 ბრძანებაში „საქართველოს შს სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის შესახებ“ და ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში არ იყო გათვალისწინებული შს სა-

მინისტროდან დათხოვნილ მოსამსახურეზე გასაცემი ერთდროული გასასვლელი დახმარება. ვინაიდან თ. ქ-ს მიმართვის დროს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულება ჯერ კიდევ არ იყო ძალადაკარგული ანუ 2014 წლის 6 იანვრისთვის არ არსებობდა საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 19 თებერვლის №59 ბრძანებულება, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით თ. ქ-ას უარი ეთქვას ერთდროული (გასასვლელი) დახმარების – 2000 ლარის ანაზღაურებაზე.

კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა „საქართველოს შს სამინისტროს სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სპეციალური და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის №1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტზე და განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა არ მოქმედებდა 2014 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პრეზიდენტის №1139 ბრძანებულების საფუძველზე.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 60-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა 2014 წლის 1 იანვრამდე სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის წესის დამტკიცება. აღნიშნული კანონის საფუძველზე, 2013 წლის 31 დეკემბერს დამტკიცდა საქართველოს შს მინისტრის №997 ბრძანება „საქართველოს შს სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან. კასატორის განმარტებით, აღნიშნულ ბრძანებაში, ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში არ არის გათვალისწინებული შს სამინისტროდან დათხოვნილ მოსამსახურეზე გასაცემი ერთდროული გასასვლელი დახმარება.

საქართველოს კანონი ივარქიულად მალლა დგას პრეზიდენტის ბრძანებულებაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „პოლიციის შესახებ“ კანონმა პირდაპირ დაავალა შს მინისტრს სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის 2014 წლის 1 იანვრამდე დამტკიცება, აღნიშნული წესი დამტკიცდა 2013 წლის 31 დეკემბერს, რაც ნიშნავს იმას, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან ძალა-

ში შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს №997 ბრძანება შსს შესახებ, რომელშიც დათხოვნილ მოსამსახურეებზე გასაცემი ერთდროული გასასვლელი დახმარება არ არის გათვალისწინებული. „პოლიციის კანონის“ ამოქმედების დღიდან ანუ 2014 წლის 1 იანვრიდან, პრეზიდენტის №1082 ბრძანებულება უკვე აღარ არეგულირებდა შსს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებს, რადგან „პოლიციის კანონის“ მიხედვით, აღნიშნული საკითხების რეგულირება დადგინდა შსს მინისტრის ბრძანებით და არა პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად. ანუ საკანონმდებლო აქტის თანახმად, აღნიშნული საკითხების დარეგულირება უკვე აღარ წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციის სფეროს, რაც მნიშვნელოვანია. ამასთან, სასამართლოს ნორმატიული აქტების იერარქიის მსჯელობისას კარგი იქნებოდა ასევე მხედველობაში მიეღო საკანონმდებლო აქტებისა და კანონქვემდებარე აქტის იერარქიის საკითხიც.

კასატორის განმარტებით, ახალი კონსტიტუციის ამოქმედების დღიდან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება შემოიფარგლა/განისაზღვრა მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებით. რაც შეეხება პრეზიდენტის სამართლებრივ აქტებს, მათ იურიდიული ძალა შეუნარჩუნდათ იგივე, მსგავსი საკითხების მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების გამოცემასა და ამოქმედებამდე, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს 2013 წლის 20 სექტემბრის №1157 კანონის მე-2 მუხლი. შესაბამისად, №997 ამოქმედების დღიდან ე.ი. 2014 წლის 1 იანვრიდან, პრეზიდენტის №1082 ბრძანებულება ფაქტობრივად უკვე აღარ მოქმედებდა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტის 19 თებერვლის №59 ბრძანებულება ძალაში შევიდა/ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებამ თავისი მოქმედება შეწყვიტა 2014 წლის 1 იანვრიდან და არა 2014 წლის 19 თებერვლიდან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებულნი განჩინების კანონ-

ნიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინება და თ. ქ-ას სარჩელი ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: თ. ქ-ა 1985-2010 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. თ. ქ-ამ 2014 წლის 17 იანვარს განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 22 იანვრის №135302 წერილით თ. ქ-ას მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, განემარტა, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებით განსაზღვრული საკითხები დარეგულირდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოცემული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით, რომელიც არ ითვალისწინებდა ერთდროულ (გამოსასვლელ) დახმარებას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით დასტურდება, რომ თ. ქ-ას კუთვნილი 2003 წლის ხელზე გასაცემი თანხა შეადგენს 117,79 ლარს, საიდანაც თანამდებობრივი სარგოა – 38,03 ლარი, წოდებრივი სარგო – 10,07 ლარი, გასაცემი დანამატი – 12,02 ლარი და ულუფა 57,67 ლარი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ქ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროული (გასასვლელი) დახმარების – 2000 ლარის ანაზღაურება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თ. ქ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 2003 წლის გაუცემელი

სახელფასო დავალიანების ხელზე ასაღები თანხის 60,12 ლარის ანაზღაურება, ხოლო 2003 წლის ულუფის 57,67 ლარის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის თ. ქ-ას სასარგებლოდ ერთდროული (გასასვლელი) დახმარების – 2000 ლარის დაკისრების ნაწილში, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე საყურადღებოა ის გარემოება, რომ საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანს წარმოადგენს მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის თ. ქ-ას სასარგებლოდ ერთდროული (გასასვლელი) დახმარების – 2000 ლარის ანაზღაურების დაკისრების კანონიერება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები განისაზღვრებოდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებით. ამავე ბრძანებულების მე-11 და მე-12 პუნქტები არეგულირებდა სამინისტროს მოსამსახურეთათვის სამინისტროში ნამსახურები წლების მიხედვით მინისტრის სამართლებრივი აქტის საფუძველზე ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების წესსა და პირობებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით პერმანენტულად ხდებოდა აღნიშნული მუხლების მოქმედების ვადის გადავადება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებაში 2012 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების პერიოდში (მას შემდეგ რაც განისაზღვრა, რომ აღნიშნული ბრძანებულების მე-11 პუნქტი ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან) თ. ქ-ამ 2014 წლის

6 იანვარს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტით განსაზღვრული ერთჯერადი გასასვლელი დახმარების ანაზღაურების მოთხოვნით, რაზედაც ეთქვა უარი იმ მოტივით, რომ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებით განსაზღვრული საკითხები დარეგულირდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოცემული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით, რომელიც არ ითვალისწინებდა ერთდროულ (გამოსასვლელ) დახმარებას.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემული დავის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოების დადგენას, თ. ქ-ამ თავისი უფლების რეალიზაცია, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი მიმართვა ერთჯერადი (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების თაობაზე, განახორციელა თუ არა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 პუნქტის მოქმედების პერიოდში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, იმისათვის, აუცილებელია სადავო საკითხთან დაკავშირებით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებაში შესული ყველა ცვლილების ქრონოლოგიური განხილვა.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან

სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების“ (თავდაპირველი რედაქცია) მე-11 მუხლის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურეს (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურისა), რომელიც დათხოვნილია ზღვრული ასაკის მიღწევის, ავადმყოფობის, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო, სამინისტროში ნამსახურები წლების (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში ნამსახურები წლებისა) მიხედვით მინისტრის სამართლებრივი აქტით ეძლევა ერთდროული (გასასვლელი) დახმარება შემდეგი ოდენობით: ა) 2 წლამდე (არანაკლებ 6 თვისა) – 600 ლარი; ბ) 2-იდან 10 წლამდე – 800 ლარი; გ) 10-იდან 15 წლამდე – 1000 ლარი; დ) 15-იდან 20 წლამდე – 1500 ლარი; ე) 20 წელი და მეტი – 2000 ლარი, ამავე ბრძანებულების 26-ე პუნქტის შესაბამისად, ბრძანებულების მე-11 და მე-12 პუნქტების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2007 წლის 1 იანვარი; 2006 წლის 19 ოქტომბრის №616 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ცვლილება შევიდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების“ 26-ე პუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ამ ბრძანებულების მე-11 და მე-12 პუნქტები ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან“, შემდგომ 2007 წლის 4 დეკემბრის №671 ცვლილებით მე-11 და მე-12 პუნქტების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2009 წლის 1 იანვარი, შემდგომ 2008 წლის 17 დეკემბრის №600 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით კვლავ შევიდა ცვლილება და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 და მე-12 პუნქტების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2010 წლის 1 იანვარი; 2009 წლის 29 დეკემბრის №967 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მე-11 და მე-12 პუნქტების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 1 იანვარი; 2010 წლის 31 დეკემბრის №1101 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით კვლავ შევიდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების“ 26-ე პუნქტში

ცვლილება და ბრძანებულების მე-11 და მე-12 პუნქტების ამოქმედების ვადა გადაიდო 2012 წლის 1 იანვრამდე. 2011 წლის 21 დეკემბრის №845 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ბრძანებულების მე-11 და მე-12 პუნქტები ამოქმედების ვადა გადაიდო 2013 წლის 1 იანვრამდე; ბოლო ცვლილება რომელიც მე-11 პუნქტის ამოქმედებას შეეხო განხორციელდა 2012 წლის 28 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის №1139 ბრძანებულებით და ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 1 იანვარი.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში საყურადღებოა ასევე „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები, კერძოდ, 2013 წლის 4 ოქტომბერს მიღებულ იქნა ახალი „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა 1993 წლის 27 ივლისის №018 კანონი „პოლიციის შესახებ“, ამავე კანონის გარდამავალი დებულების მე-60 მუხლის შესაბამისად, განისაზღვრა, რომ საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს: ა) „საქართველოს საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო საზღვრის დაცვის სუბიექტებისა და სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ერთობლივი ოპერაციების მართვის ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება; ბ) „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ხომალდის (კატარლის) მიერ სამართალდამრღვევი მცურავი საშუალების წინააღმდეგ შეიარაღების გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება; გ) სპეციალური რეჟიმისადმი დაქვემდებარებული ტერიტორიებისა და ობიექტების ნუსხის დადგენა; ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად: მინისტრმა 2014 წლის 1 იანვრამდე უნდა დაამტკიცოს:

- ა) სამინისტროში სამსახურის გავლის წესი;
- ბ) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი;
- გ) პოლიციელის ფიცის ტექსტი;
- დ) პოლიციის ეთიკის კოდექსი;
- ე) სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი;
- ვ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოსამსახურეთა სოციალური

დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი;
ზ) სამინისტროს სისტემაში ფულადი სარგოს (თანამდებობრივი და ნოდებრივი სარგოების) და დანამატის განსაზღვრის წესი;

თ) სამინისტროში სატრანსპორტო საშუალებების საწვავით უზრუნველყოფის პირობები და წესი;

ი) სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება;

კ) წვევამდელის პოლიციაში მიღებისა და სამსახურის გავლის წესი;

ლ) სამინისტროს სისტემაში იარაღის ბრუნვისა და მისი კონტროლის ინსტრუქცია;

მ) პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესი;

ნ) სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელი და ატრიბუტიკა;

ო) სამკერდე ნიშნის, სამინისტროს მედალიონისა და მედლის ნიმუშები და სამკერდე ნიშნით, სამინისტროს მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესი;

პ) სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ფულადი სახსრების, ძვირფასი ლითონებისა და სხვა ფასეულობათა ინკასირების დაცვის დროებითი ინსტრუქცია;

ჟ) სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ტექნიკის ნუსხა;

რ) პირის იდენტიფიკაციის, მონვეულ პირთან გასაუბრების, პირის ზედაპირული შემოწმების და სატრანსპორტო საშუალების ზედაპირული დათვალიერების ოქმების ფორმები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი“, რომლის 1-ლი მუხლის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი აწესრიგებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში (შემდგომში – სასაზღვრო პოლიცია) და-საქმებულ პოლიციის სპეციალური ან სამხედრო წოდების მქონე პირთა, საჯარო მოხელეთა, შტატგარეშე და დამხმარე მო-სამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობებს. აღნიშნული ბრძანება აღარ ითვალისწინებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 და 12-ე პუნქტებით გათვალისწინებულ ნამსახურობის წლების მიხედვით კომპენსაციის სახით ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურებას.

საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 19 თებერვლის №59 ბრძანებულებით 2014 წლის 1 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების ინსტრუმენტი და ამიტომ ის უნდა განიმარტოს მიზანმიმართულად. სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ისეთი წესები, რომლის მიხედვით კანონი უნდა იყოს განმარტებული კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების შესაძლებლობის ფარგლებში. ამდენად, კანონის განმარტებისას, დადგენილ უნდა იქნეს კანონმდებლის ნება და მიზანი, რაც მხოლოდ გრამატიკული განმარტებით ვერ მიიღწევა. სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლის განზრახვით, როგორც ნორმის განმარტების საშუალებით. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს, რაც გულისხმობს, რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტს და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა ნაკითხულ უნდა იქნეს არა ამოგლეჯილად, არამედ სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკური განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგის

დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით. ხსენებული განმარტების საშუალებით ხდება სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და მისი შინაარსის განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, როგორც კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ირკვევა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულება, რომლის მე-11 პუნქტის საფუძველზე მოსარჩელე – თ. ქ-ამ მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის კომპენსაციის სახით ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 19 თებერვლის №59 ბრძანებულებით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №997 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი“, რომელიც არ ითვალისწინებდა ერთდროულ (გასასვლელ) დახმარებას. საკასაციო სასამართლო იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობს მინისტრის ბრძანებასთან მიმართებაში და აღნიშნავს, რომ მინისტრის ბრძანება ვერ დაადგენს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებისაგან განსხვავებულ მოწესრიგებას, მაგრამ ამავე დროს მიუთითებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის №59 ბრძანებულება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულება, რომელიც აწესრიგებდა კომპენსაციის სახით ერთდროული (გასასვლელი) დახმარების გაცემას, მიღებულ იქნა 2014 წლის 19 თებერვალს და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს აღნიშნული ბრძანებულების მე-2 მუხლს, რომლის შესაბამისადაც ბრძანებულების ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2014 წლის 1 იანვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორმატიულმა აქტმა პირდაპირ განსაზღვრა აქტისათვის უკუძალის მინიჭება, შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური ნოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მო-

ხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულება ძალადაკარგულად ჩაითვალა 2014 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №997 ბრძანება „საქართველოს შს სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესის შესახებ“, რომელმაც ახლებურად დაარეგულირა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის განსაზღვრის წესი და რომელიც აღარ შეიცავს კომპენსაციის სახით ერთდროული (გასასვლელი) დახმარების მოსამსახურეთათვის ანაზღაურების წესს მიღებულ იქნა 2013 წლის 31 დეკემბერს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ – თ. ქ-ამ მისი უფლების რეალიზაცია განახორციელა 2014 წლის 6 იანვარს, ანუ სანამ მიღებული იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის №59 ბრძანებულება აღნიშნული არ ნიშნავს, თ. ქ-ას განცხადების დაკმაყოფილების საფუძველს, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ აღნიშნული ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა 2014 წლის 1 იანვრიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკულად მე-11 და მე-12 პუნქტებით გათვალისწინებულ ნამსახურობის წლების მიხედვით კომპენსაციის სახით ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურების გაუქმება მოხდა ისე, რომ მისი მოქმედება არ ყოფილა დაშვებული აქტის მოქმედების არცერთ ეტაპზე. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებისათვის უკუძალის მინიჭებით გამოირიცხა ნორმის ამოქმედების შესაძლებლობა.

აქვე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თ. ქ-ას, რომც მოეხდინა თავისი უფლების რეალიზაცია „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-11 მუხლის მოქმედების პერიოდში, მაინც არამართებულობა აღნიშნული მუხლის საფუძველზე ქვედა ინსტანციების მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის თ. ქ-ასათვის ერთდროული (გასასვლელი) დახმარების სახით – 2000 ლარის ანაზღაურება, ვინაიდან, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულებ-

ბის მე-11 მუხლის დეფინიციიდან ირკვევა, აღნიშნული მუხლი ეხება მხოლოდ იმ მოსამსახურეს, რომელიც დათხოვნილია 1) ზღვრული ასაკის; 2) ავადმყოფობის; 3) ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო საქმის მასალების შესაბამისად, კი დასტურდება, რომ თ. ქ-ა 2010 წლის 11 აგვისტოდან გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული საფუძლით, კი კომპენსაციის სახით ერთდროული (გასასვლელი) დახმარების ანაზღაურებას არეგულირებდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 23 დეკემბრის №1082 ბრძანებულების მე-12 მუხლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ქ-ას უარი უნდა ეთქვას ერთდროული (გასასვლელი) დახმარების – 2000 ლარის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ქ-ას სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ერთდროული (გასასვლელი) დახმარების – 2000 ლარის ანაზღაურების დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი ბანაცდურის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-755-741(კ-კს-14)

21 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 20 მაისს ზ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2013 წლის 11 მარტის №2პ-376 ბრძანებით დაინიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №2პ-073 ბრძანებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მოსარჩელის მითითებით, მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის „ც“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ, ვინაიდან მის მიმართ მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე, შესაბამისად, გათავისუფლების შესახებ ბრძანება უნდა გამოეცა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს – საკრებულოს თავმჯდომარეს. ამასთანავე, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაარღვია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-

სის მე-13 მუხლი, ამავე კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 98-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რამდენადაც გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას ზ. ხ-ს სამსახურებრივი უფლებამოსილება შეჩერებული ჰქონდა, იგი გადიოდა მკურნალობის კურსს, რის გამოც მას მონაწილეობა არ მიუღია ადმინისტრაციულ წარმოებაში. 2014 წლის 17 აპრილს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ იმყოფებოდა სამსახურში, 2014 წლის 22 აპრილს გახსნა საავადმყოფო ფურცელი, რის შესახებაც ცნობილი იყო გამგეობის ადმინისტრაციისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 22 აპრილის №23-073 ბრძანების არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის – 3 თვის თანამდებობრივი სარგოს, ერთი თვის საშვებულებო თანხისა და მორალური ზიანის სახით 4 000 ლარის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრება.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №23/-073 ბრძანება ცნობილი იქნა არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად; ზ. ხ-ი აღდგენილ იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის ანაზღაურება სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ხოლო მორალური ზიანისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

ცაგერის რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ხ-ს არ ჩაუდენია დისციპლინური გადაცდომა.

რაიონულმა სასამართლომ იხელმძღვანელა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით, ამავე კანონის 33-ე მუხლის შესამე ნაწილის „ო“ ქვეპუნქტით, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2013 წლის დებულების მე-7 მუხლის „ც“ ქვეპუნქტით და განმარტა, რომ მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე უფლებამოსილი იყო საკრებულოს თავმჯდომარე და არა გამგებელი, რის გამოც ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არარა ადმინისტრაციულ-სამართ-

თლებრივ აქტს წარმოადგენდა.

გარდა აღნიშნულისა, რაიონული სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზ. ხ-ი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, რაც ცნობილი იყო ადმინისტრაციისთვის.

გათავისუფლების საფუძვლად ბრძანებაში მითითებული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი. რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, იმ საკითხის განსაზღვრა, რამდენად ჯეროვნად ასრულებდა პირი მასზე დაკისრებულ მოვალეობას, წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს შეფასების საგანს, ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა პრემია. ამდენად, რაიონულმა სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანება.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მორალური ზიანისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა ვერ იქნა დასაბუთებული.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა ზ. ხ-ის განცხადება და ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის სამი თვის თანამდებობრივი სარგოს დაკისრების თაობაზე მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

ცაგერის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რომელმაც ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება და მისი შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ზ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №2პ-073 ბრძანება; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებული

ბითი განაცდურის – არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება; ზ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა – ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 38-ე მუხლის მე-2 და მე-8 ნაწილებით, 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით, 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტით, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „მ.ა“ ქვეპუნქტით, ამავე დებულების მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე მუხლით, ამავე კანონის 79-ე მუხლით, არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 22 აპრილის №23-073 ბრძანება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი პირის – გამგებლის მიერ.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარეს ამ კანონის 39-ე მუხლით ენიჭებოდა უფლებამოსილება გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მიეღო გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამგებელი (მერი) საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენდა წინადადებებს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა წახალისების შესახებ, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავდა გამგებლის (მერის) კომპეტენციას „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მითითებული ნორმების საფუძველზე, დისციპლინური წარმოების დროს თვითონ გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. ასეთ შეზღუდვას ზემოთქმული კანონები არ აწესებდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 22 აპრილის №23-073 ბრძანება ზ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ არ წარმოადგენდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია ზ. ხ-ი სადავო ბრძანების გაუქმებას ითხოვდა იმ საფუძვლით, რომ სადავო ბრძანება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, თუმცა მოსარჩელე სარჩელსა და ახსნა-განმარტებაშიც ყურადღებას ამახვილებდა აქტის უკანონობაზე, რომ ბრძანება ეწინააღმდეგებოდა კანონს და არსებითად იყო დარღვეული მისი მომზადების და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის, ამავე კოდექსის 22-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლისა და ამავე კოდექსის 127-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საფუძვლიანად მიიჩნია სარჩელი აქტის ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე განმარტა, რომ ვინაიდან მოსარჩელე 2014 წლის 22 აპრილიდან 29 აპრილამდე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, რის შესახებაც მან 2014 წლის 22 აპრილს აცნობა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას, ზ. ხ-ს უნდა შეჩერებოდა სამსახურებრივი ურთიერთობა, შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება იყო კანონშეუსაბამო, რამდენადაც ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმები არ ითვალისწინებდა დროებითი შრომისუუნარობის დროს მოხელის სამსახურიდან დათხოვნის შესაძლებლობას.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლი მე-3 ნაწილთან მიმართებით, რომელიც ითვალისწინებდა სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის გამო მოხელის გათავისუფლებას და განმარტა, რომ კანონით რეგლამენტირებული არ იყო კონკრეტულად რა ითვლებოდა სამსახურებრივ მოვალეობათა უხეშ დარღვევად. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ასეთ დარღვევად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ისეთი დარღვევა, რომელმაც გამოუსწორებელი შედეგი (ზიანი) მიაყენა სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობის ან მოქალაქეების ინტერესს ან საჯარო სამსახურის ავტორიტეტს. ასეთ ფაქტს კი მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სადავო აქტის გამოცემის დროისათვის აპელანტის მიმართ არ მოქმედებდა დისციპლინური ზემოქმედების რაიმე სახის ღონისძიება. აპ-

რილში ზ. ხ-ს მიღებული ჰქონდა პრემია – ერთდროული ფულადი ჯილდო, როგორც წახალისების ერთ-ერთი ფორმა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო სამუშაოზე აღდგენის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ გაიზიარა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-60 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გამგეობის/მერის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი შეუთავსებლობის, აგრეთვე უფლებამოსილების შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხები წესრიგდება ამ კანონის 58-ე და 59-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გამგებლის/მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს უფლებამოსილებები უწყდებათ ახალი გამგებლის/მერის არჩევისას (უფლებამოსილების დაწყებისას).

ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა განსაზღვრა და დაანესა ადრე მოქმედი კანონის ფარგლებში დანიშნული გამგებლის/მერის პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადა, რომელიც ავტომატურად წყდებოდა ახალი გამგებლის არჩევისას, მისი უფლებამოსილების დაწყებისთანავე. 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ საქართველოს ყველა რაიონში არჩეულ იქნა ახალი გამგებელი, მათ შორის ცაგერის მუნიციპალიტეტშიც. შესაბამისად, ახალი გამგებლის არჩევამ გამოიწვია გამგებლის პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების უფლებამოსილების კანონისმიერი შეწყვეტა, რის შედეგადაც მითითებული თანამდებობის პირთა დანიშვნა წარმოადგენს ახლად არჩეული გამგებლის დისკრეციულ უფლებამოსილებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; ნაწილობრივ გაუქმდა ცაგერის

რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინება ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, კერძოდ, ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ხ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ზ. ხ-მა, რომელმაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია ზ. ხ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, რამდენადაც იგი გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

კასატორის მოსაზრებით, უკანონო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლი და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, უსაფუძვლოდ ეთქვა მოსარჩელეს უარი სამუშაოზე აღდგენაზე. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი ცაგერის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული გამგებლის 2014 წლის 16 სექტემბრის №1314 წერილი, რომლის თანახმად გამგეობა თანხმობას აცხადებდა ზ. ხ-ის აღდგენა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 11 დეკემბრის განჩინებებით წარმოებაში იქნა მიღებული ზ. ხ-ის კერძო საჩივარი, ასევე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ზ. ხ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 იანვრის განჩინებით ზ. ხ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 2 ოქტომბრის გან-

ჩინება.

საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 12 თებერვლის განჩინებით ზ. ხ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ზ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 11 მარტის №23-376 ბრძანებით ზ. ხ-ი დანიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილს №23-073 ბრძანებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზ. ხ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების უხეშად დარღვევის გამო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №23-073 ბრძანება; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას ზ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის – არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება; ხოლო ზ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა – ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო სასამართლოს მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა ზ. ხ-ის მიერ, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ამავე კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №23-073 ბრძანების კანონიერების შეფასებისა და ზ. ხ-ის თანამდებობაზე აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ-

თლოს გადაწყვეტილებას ზ. ხ-ის გათავისუფლების შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №23-073 ბრძანების უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის შესახებ, აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეყრდნობა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მით უფრო, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას საკასაციო საჩივარი და შესაბამისად, საკასაციო პრეტენზია ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია.

სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ზ. ხ-ი განთავისუფლების მომენტისთვის – 2014 წლის 22 აპრილიდან 2014 წლის 29 აპრილამდე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, რაც ცნობილი იყო ადმინისტრაციული ორგანოსათვის. შესაბამისად, ზ. ხ-ის მიმართ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ეხელმძღვანელა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და შეეჩერებინა სამსახურებრივი ურთიერთობა დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აქტის კანონიერების შემოწმება ხდება ფორმალური და მატერიალური კუთხით, შესაბამისად, აქტი შინაარსობრივად უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას სადავო აქტის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგლამენტირებულ სამართლებრივ საფუძველთან შეუსაბამობის თვალსაზრისით.

რაც შეეხება კასატორის არგუმენტს, რომ ზ. ხ-ის გათავისუფლების შესახებ ბრძანება გამოცემული იყო არაუფლებამოსილი პირის – ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №23-073 ბრძანება არ წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკასაციო სასამართლო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილ პრაქტიკას (იხ.

29.04.14ფ. გადანყვეტილება საქმე №ბს-651-626(კ-13).

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხზე გადანყვეტილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა იქნეს მიღებული.

ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივაა მის კომპეტენციაში შემავალი საკითხი გადანყვეტოს არა მხოლოდ კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონის მოთხოვნებს, არამედ ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის გამოცემისას უნდა იხელმძღვანელოს მიზანშეწონილობის კრიტერიუმებითაც. სამართლებრივი აქტი უნდა პასუხობდეს მიზანშეწონილობისა და კანონიერების მოთხოვნებს. მიზანშეწონილობა გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობას საჯარო ინტერესების გათვალისწინებით ოპტიმალურად გადანყვეტოს სადავო საკითხი და განახორციელოს შესაბამისი მმართველობითი ღონისძიება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადანყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმიანობის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადანყვეტილების მიღება ამ გარემოებათა შეფასების შედეგად, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება.

მოცემულ შემთხვევაში ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების უკანონობა დადასტურებულია სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით, რაც სადავოდ არ გაუხდია აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. საკასაციო სასამართლოც იზიარებს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №2პ-073 ბრძანების კანონშესაბამობის შესახებ დასკვნას.

თუმცა მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, სასამართლო შეზღუდულია უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ საკანონმდებლო დანაწესის ფარგლებში, თანამდებობაზე აღდგენის შესახებ მიიღოს გადანყვეტილება, რამდენადაც დღეის მდგომარეობით ზ. ხ-თან მიმარ-

თებაში თანამდებობაზე გამწესების ვადა გასულია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ნორმებთან მიმართებით და განმარტავს, რომ ახალმა კანონმა განსაზღვრა ადრე მოქმედი კანონის ფარგლებში დანიშნული გამგებლის/მერის პირველი მოადგილის, მოადგილეების და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადა. ეს ვადა წყდება ახალი გამგებლის არჩევისას, მისი უფლებამოსილების დაწყებისთანავე. 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ საქართველოს ყველა რაიონში არჩეულ იქნა ახალი გამგებელი, მათ შორის ცაგერშიც, შესაბამისად, ახალი გამგებლის არჩევამ გამოიწვია გამგებლის პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების უფლებამოსილების კანონისმიერი შეწყვეტა, შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №23-073 ბრძანების გამოუცემლობის პირობებშიც აღნიშნული სამართლებრივი რეგულაცია გავრცელდებოდა მის მიმართ. უფლებამოსილების შეწყვეტის შედეგად მითითებულ თანამდებობის პირთა დანიშვნა ახლად არჩეული გამგებლის დისკრეციულ უფლებამოსილებას ნარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რა დროსაც ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ზ. ხ-თან მიმართებაში. მით უფრო, იმ ვითარებაში, რომ საქმეში წარმოდგენილია ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილი, რომელშიც მუნიციპალიტეტი აცხადებს თანხმობას, გამოხატავს ნებას ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნულზე გავლენას არ ახდენს ის გარემოება, რომ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა ახსნა-განმარტებაში დაადასტურა, რომ დღეის მდგომარეობით ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დანიშნულია სხვა პირი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენას არ აბრკოლებს მის ნაცვლად ახალი მოხელის დანიშვნა.

გარდა ამისა, აღნიშნული საკითხის განხილვისას შესაძლოა ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოხელის შეთანხმებით მოხდეს არა ზუსტად იმავე, არამედ ალტერნატიული თანამდებობის შეთავაზება, რაც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 410-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 22 აპრილის №2პ-073 ბრძანება ზ. ხ-ის ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცე-

მა;

5. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება ზ. ხ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში;

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დისციპლინური გადაცდომის გამო სამსახურიდან ბათავისუფლებების შესახებ ბრძანების კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-226-222(კ-15) 24 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 23 იანვარს ვ. ფ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ ვ. ფ-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანების ბათილად ცნობა, ვ. ფ-ას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე აღდგენა და მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელის მტკიცებით, მისი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება კანონსაწინააღმდეგო იყო, რადგან მინისტრის ბრძანება, როგორც ფორმალური, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ეწინააღმდეგებოდა კანონს და გამოცემული იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევით. მისი გათავისუფლების ფაქტობრივ საფუძვლად მითითებული გარემოებები, რომ იგი იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და შეურაცხყოფა მიყენა სამინისტროს საჯარო მოხელეებს, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და წარმოადგენდა სიცრუეს. ამასთან, ბრძანებით დადგენილი სამართლებრივი შედეგი ლახავდა მოსარჩელის შრომით უფლებას, კანონიერ ინტერესებს და მის საქმიან რეპუტაციას.

მოსარჩელემ სასამართლო პროცესზე მოწმის სახით ნ. გ-ას, ნ. უ-ას, ც. მ-ას, თ. კ-ის, ნ. მ-ას, მ. ჩ-ასა და ი. მ-ის დაკითხვა მოითხოვა.

2012 წლის 9 მარტს ვ. ფ-ამ განცხადებით მიმართა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს და იშუამდგომლა, რომ იმ პირებთან ერთად, რომლებიც სარჩელში დასახელებული იყვნენ მოწმეებად, ამავე სტატუსით სასამართლო სხდომაზე დაბარებულიყვნენ: მ. გ-ა, ი. ბ-ა, ს. დ-ი, თ. კ-ა, ა. ნ-ა და მ. ჩ-ა.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ფ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანება ვ. ფ-ას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ... დეპარტამენტის ... თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ვ. ფ-ა შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და ეკავა ...

დეპარტამენტის ... თანამდებობა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანებით ვ. ფ-ა გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან.

2011 წლის 21 დეკემბერს ქ.თბილისში, კალაუზნის №16-ში გაიხსნა სამინისტროს ახალი შენობა და გაიმართა შესაბამისი ღონისძიება, რასაც სხვა თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდა მოსარჩელე ვ. ფ-ა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა ნ. გ-ას, ნ. უ-ას, ც. მ-ას, თ. კ-ის, ნ. მ-ას, მ. ჩ-ას, ი. მ-ის მოხსენებითი ბარათები და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შინაგანაწესი.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის სადავო ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა 2011 წლის 21 დეკემბერს ქ.თბილისში, კალაუზნის №16-ში გამართულ ღონისძიებაზე ვ. ფ-ას ქცევა, რაც მოპასუხე მხარის მითითებით გამოიხატა ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართულ უღირს საქციელში სამინისტროს თანამშრომლების მიმართ. აღნიშნული გარემოება სასამართლოს მიერ ვერ იქნა დადგენილი.

გადანწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 5 დეკემბრის №203/2 ბრძანებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ... დეპარტამენტის დებულების მე-3 მუხლის თანახმად, დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილისა და სპეციალისტებისაგან, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 29 ნოემბრის №246/2 ბრძანებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შინაგანაწესის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურე მოვალეა: დაცვას შრომის დისციპლინა, რაციონალურად გამოიყენოს სა-

მუშაო დრო და არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც აფერხებს სამინისტროს მუშაობას და ლახავს საჯარო სამსახურის ავტორიტეტს. ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას სამსახურებრივი ნორმები და სამინისტროს შინაგანანგისი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი მოსამსახურე, უნდა იყოს კოლეგიალური, თავაზიანი, კორექტული მოქალაქეებსა და კოლეგებთან ურთიერთობაში.

სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო 2011 წლის 21 დეკემბერს ქ.თბილისში, კალოუზნის ქ. №16-ში მდებარე რეაბილიტირებული შენობის საზეიმო გახსნაზე ვ. ფ-ას ქცევა. მოხსენებით ბარათებში, რაც საფუძვლად დაედო მოსარჩელის გათავისუფლებას, მითითებული იყო, რომ საზეიმო ფურშეტზე ვ. ფ-ა მივიდა ნასვამ მდგომარეობაში, რომელმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ღონისძიებაზე მყოფ მინისტრს და სამინისტროს თანამშრომლებს. ვ. ფ-ას ქმედება შეფასდა, როგორც თანამშრომლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ლახავს სამინისტროს სისტემის ავტორიტეტს, რაც გამოიხატა მისი მხრიდან სამინისტროს თანამშრომლებთან კონფლიქტში შესვლასა და შეურაცხყოფის მიყენებაში.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, ამასთან, ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებული მოხსენებითი ბარათების ავტორებმა, რომლებიც დაკითხულ იქნენ სასამართლო სხდომაზე, უმეტეს შემთხვევაში, არ დაადასტურეს მოხსენებით ბარათში მითითებული გარემოებები და აღნიშნეს, რომ აღნიშნული დანერგეს იძულების შედეგად, კერძოდ:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ... დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა – ნ. მ-ამ სასამართლო სხდომაზე მიუთითა, რომ იგი იმყოფებოდა კალოუზნის ქ. №16-ში სამინისტროს ახალი შენობის გახსნაზე, სადაც ვ. ფ-ა ზოგადად აყენებდა თანამშრომლებს შეურაცხყოფას. კონკრეტულად არავისთვის არ მიუმართავს შეურაცხმყოფელი სიტყვებით. მას უთხრეს, რომ უნდა დაენერა მოხსენებითი ბარათი.

მონმე თ. კ-ის ჩვენებით, რომელიც მუშაობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სო-

ციალური დაცვის სამინისტროს ... დეპარტამენტში მთავარი სპე-
ცილისტის თანამდებობაზე, დგინდება, რომ იგი იმყოფებოდა
კალოუზნის ქ. №16-ში სამინისტროს ახალი შენობის გახსნაზე,
სადაც ვ. ფ-ა ნ. უ-ას გაუბრაზდა და ხმამაღლა დაუყვირა. მინის-
ტრმა დაიბარა და უთხრა, რომ მოხსენებითი ბარათი დაენერა.

მონმე მ. გ-ას ჩვენებით, რომელიც მუშაობდა აფხაზეთის ავ-
ტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალ-
ური დაცვის სამინისტროში, ... დეპარტამენტის ... თანამდე-
ბობაზე, დგინდება, რომ კალოუზნის ქ. №16-ში სამინისტროს
ახალი შენობის გახსნაზე ვ. ფ-ა იმყოფებოდა ნასვამ მდგომა-
რეობაში.

დ. ე-ის ჩვენებით, რომელიც მუშაობდა აფხაზეთის ავტო-
ნომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალუ-
რი დაცვის სამინისტროში, დგინდება, რომ კალოუზნის ქ. №16-
ში სამინისტროს ახალი შენობის გახსნაზე ვ. ფ-ა იმყოფებოდა
ნასვამ მდგომარეობაში. მას არავისთვის არ მიუყენებია შეუ-
რაცხყოფა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთე-
ლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ... სამმართვე-
ლოს უფროსის მოადგილის – ი. ბ-ას ჩვენების მიხედვით იგი იმ-
ყოფებოდა ქ.თბილისში, ჯავახიშვილის ქ. №51-ში, ჯანდაცვის
სამინისტროს შენობაში, ვ. ფ-ა იმყოფებოდა ნასვამ მდგომარე-
ობაში და არ აძლევდნენ მანქანის გასაღებს, რის გამოც გაბ-
რაზდა. მონმის განმარტებით, ნ. გ-ას კაბინეტში იბარებდნენ
თანამშრომლებს და იძულებით აწერინებდნენ მოხსენებით ბა-
რათებს.

სასამართლო სხდომაზე დაკითხული სხვა მონმეების ჩვე-
ნებით კი ირკვევა ის ფაქტი, რომ ვ. ფ-ა საზეიმო გახსნაზე
იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და შეიგინა სამინისტროს
თანამშრომლების მისამართით.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო გან-
მარტავს, რომ სახეზეა იმ პირების ჩვენებებს შორის წინააღ-
მდეგობა, რომელთა მოხსენებითი ბარათებიც საფუძვლად და-
ედო მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებას.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებული ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ანალიზი ცხადყოფს,
რომ მოპასუხეს – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრო-
მის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ევა-
ლებოდა, ემოქმედა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძ-
ველზე და ეს განეხორციელებინა კანონის შესაბამისად, რაც
მას არ გაუკეთებია.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დარღვეული იყო ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რადგან იგი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, იმ გარემოების გათვალისწინებით რომ სასამართლომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანება, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, მიეღო გადაწყვეტილება მოსარჩელის კონკრეტულ თანამდებობაზე აღდგენისა და ამ აღდგენის თანმდევი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანების გაუქმებისა და ახალი აქტის გამოცემის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალუ-

რი დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, კერძოდ, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეწყდა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მოსარჩელესა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის. სადავო ბრძანება გამოიცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შინაგანაწესის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 29.11.2010 წლის №246/2 ბრძანება) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე. მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომის სახეებს, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება; ბ) დანესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა; გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დანესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი, თუ მის გარეთ. ამავე კანონის 79-ე მუხლი კი ადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს, კერძოდ, განსაზღვრავს იმ პასუხისმგებლობის სახეებს, რომლებიც მოხელის მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შეუძლია გამოიყენოს ადმინისტრაციამ. 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალების თანახმად სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველს წარმოადგენდა ნ. გ-ას, ნ. უ-ას, ც. მ-ას, თ. კ-ის, ნ. მ-ას, მ. ჩ-ას, ი. მ-

ის მოხსენებითი ბარათები, სადაც მითითებულია, რომ საზეიმო ფურშეტზე ვ. ფ-ა მივიდა ნასვამ მდგომარეობაში და მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ღონისძიებაზე მყოფ მინისტრს და სამინისტროს თანამშრომლებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოხსენებით ბარათებში მითითებული გარემოებების საფუძველზე, ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ ვ. ფ-ას მიერ ადგილი ჰქონდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენას – ზოგადზნობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართულ უღირს საქციელს (ბრალეულ ქმედებას).

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხულმა მოხსენებითი ბარათების ავტორებმა რიგ შემთხვევებში არ დაადასტურეს მასში მითითებული ფაქტები და აღნიშნეს, რომ იგი დაწერეს იძულების შედეგად. ანუ, სახეზეა იმ პირების ჩვენებებს შორის წინააღმდეგობა, რაც საფუძვლად დაედო მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებას. ამასთან, პალატამ მნიშვნელოვნად მიიჩნია იმ გარემოებებზე მითითება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი პირების მიერ არ მომხდარა სადავო ინციდენტის შემსწრე ყველა პირის გამოკითხვა, რაც პალატის მოსაზრებით, ნიშნავს იმას, რომ სადავო აქტი მიღებული იყო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთმეჯერების საფუძველზე, ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები უგულებელყოფილ იქნა სადავო ბრძანების გამოცემისას, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო შეეფასებინა და ემსჯელა, არსებობდა თუ არა რეალურად მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი და კონკრეტულად, დისციპლინური დარღვევის არსებობის პირობებში, ადეკვატური იყო თუ არა მის მიმართ განსაზღვრული დის-

ციპლინური დარღვევის ფარგლებთან.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვ. ფ-ას გათავისუფლების დროს დარღვეული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის პრინციპები, რამდენადაც მითითებული კანონი მოხელის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის პირობებში ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, კონკრეტული სამართალდარღვევის გამო, მოახდინოს ამ სამართალდარღვევის ადეკვატური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება, თუ რომელი დისციპლინური სახდელი შეუფარდოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუმცა, ადმინისტრაციის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობებში, აქტის გამოცემის შემთხვევაში ეს უკანასკნელი შეზღუდულია კანონის მოთხოვნის ფარგლებით, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია, ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ვ. ფ-ას მიერ განხორციელებული უღირსი საქციელის ჩადენის თაობაზე. მონმეთა ჩვენებებით დასტურდებოდა ვ. ფ-ას ნასვამობისა და მის მიერ განხორციელებული შეურაცხყოფის ფაქტები, რაც გახდა კანონმდებლობით გათვალისწინებული დისციპლინური ღონისძიების გატარების საფუძველი.

კასატორი აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელია, თუ რატომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მოხსენებით ბარათების იძულებით დაწერასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც ამის შესახებ დაკითხულ პირებს არ დაუდასტურებიათ საქმის რაიონულ სასამართლოში განხილვისას. აღნიშნულმა კი განაპირობა ის, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი/ნორმა, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა.

კასატორის განმარტებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანებას ვ. ფ-ას სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, საფუძვლად დაედო ინციდენტის შემსწრე პირთა მოხსენებით ბარათებში ასახული ინფორმაცია, რაც მათ სასამართლო პროცესზეც დაადასტურეს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას არ დარღვეულა მისი მომზადებისა და გამოცემის წესი. ასევე არ არსებობდა წინააღმდეგობა აქტსა და მოქმედ კანონმდებლობას შორის, რაც ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ აქტის ბათილად ცნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დაუსაბუთებელი იყო.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული ორგანოსადმი გაცემული დავალება გამოიკვლიოს და შეაფასოს არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები სხვა ფაქტორებთან ერთად გულისხმობს იმ პირების თავიდან გამოკითხვას, რომლებმაც სასამართლო პროცესზე დაადასტურეს მოხსენებით ბარათებში ასახული ინფორმაცია. შესაბამისად, არ არის რაციონალური სასამართლოს დავალება ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოიკვლიოს ფაქტობრივი გარემოებები და გამოკითხოს სასამართლო პროცესზე დაკითხული პირები.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ აღუნიშნავს რა გარემოებები არ იყო გამოკვლეული ან რა გარემოებები უნდა იქნეს გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რაც გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობას უსვამს ხაზს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ივნისის განჩინებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე ვ. ფ-ა შრომით ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და ეკავა ... დეპარტამენტის ... თანამდებობა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანებით ვ. ფ-ა გათავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობიდან. 2011 წლის 21 დეკემბერს ქ.თბილისში, კალაუბნის №16-ში გაიხსნა სამინისტროს ახალი შენობა და გაიმართა შესაბამისი ღონისძიება, რასაც სხვა თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდა მოსარჩელე ვ. ფ-ა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანების გამოცემის საფუძველი გახდა ნ. გ-ას, ნ. უ-ას, ც. მ-ას, თ. კ-ის, ნ. მ-ას, მ. ჩ-ას, ი. მ-ის მოხსენებითი ბარათები და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შინაგანაწესი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმეების ნ. გ-ას, ნ. უ-ას, თ. კ-ის, ნ. მ-ას, მ. ჩ-ასა და ი. მ-ის ჩვენებებით დადგენილ იქნა ის ფაქტი, რომ ვ. ფ-ა საზეიმო გახსნაზე იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და სიტყვიერ შეუ-

რაცხყოფას აყენებდა თანამშრომლებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმეში წარმოდგენილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანებით ვ. ფ-ას მიმართ გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება. ხსენებული ბრძანების გამოცემის საფუძვლად მითითებული იყო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი და 99-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტები, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შინაგანანგის (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 29.11.2010 წლის №246/2 ბრძანება) მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები. სადავო ბრძანების თანახმად, ვ. ფ-ას ქმედება წარმოადგენდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დისციპლინურ გადაცდომას – დანესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართულ უღირს საქციელს (ბრალეულ ქმედებას).

საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, მოცემულ შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების შესახებ და აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენება სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე და ეს გარემოებები იმდენად არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მათი შემოწმება და შეფასება სასამართლოსათვის შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებისას ყურადღების მიღმა დარჩა აღნიშნული ბრძანების ფორმალური და მატერიალური კანონიერების შემოწმება.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიანიჭა უპირატესობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კო-

დექის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებას და არ დაადგინა, თუ რატომ იყო შეუძლებელი მის მიერ სადავო საკითხის გადაწყვეტა. მით უფრო, რომ სადავო ბრძანებაში განხილულია ის გარემოება, რაც საფუძვლად დაედო ვ. ფ-ას სამსახურიდან გათავისუფლებას, საქმის მასალებში არსებობს მონმეთა ჩვენებები და ახსნა-განმარტებითი ბარათები, რომლის საფუძველზეც მოხდა აღნიშნული ბრძანების გამოცემა. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია კონკრეტულად რომელი გარემოებები არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვ. ფ-ა მუშაობდა რა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ... დეპარტამენტის ... თანამდებობაზე, იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში ადმინისტრაციულ ორგანოსთან და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელეს, ხოლო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოცემული სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ბრძანება არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის მე-4 თავით რეგლამენტირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც წყვეტს პირის ან პირთა შეზღუდული წრის შრომის უფლებას, რის გამოც სამსახურებრივ საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვისას უნდა შემომდგეს ხსენებულ საკითხებზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმების მოთხოვნებთან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას და უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. აღნიშნული კანონის 99-ე მუხლი ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომისათვის მოხელის სამსახურიდან გათა-

ვისუფლებების შემთხვევებს, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ხოლო ამავე კანონის 78-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომის სახეებს, რომლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. სწორედ სხენებულ ნორმაზე უთითებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 23 დეკემბრის №289 ბრძანება ვ. ფ-ას დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – სამსახურიდან გაათავისუფლების გამოყენებისას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გააანაწილოს მისი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 78-ე, 99-ე მუხლებით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი უფლებამოსილი იყო გამოეცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საქმის მასალებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო

აღნიშნავს, რომ მართალია სასამართლო სხდომაზე ზოგიერთმა მოწმემ ნაწილობრივ შეცვალა ჩვენება, მაგრამ არცერთს არ უარყვია ის ფაქტი, რომ ვ. ფ-ა იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში და შეურაცხყოფას აყენებდა თანამშრომლებს. ამდენად, სახელმწიფო ორგანოებისა თუ თანამშრომლების შეურაცხყოფა, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, მოქცეულ უნდა იყოს ზნეობის ჩარჩოებში, არ უნდა შეიცავდეს შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს და არ უნდა ისახავდეს მიზნად კონკრეტული საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანება არ ეწინააღმდეგება კანონს, არსებითად არ არის დარღვეული მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რის გამოც არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სადავო აქტი მიიღო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე კარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განხილვის დაბრუნების საფუძველები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ფ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 4 დეკემბრის განჩინების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ფ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-718-704(კ-7კს-14)

6 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ლ. მურუსიძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 23 იანვარს შ. ი-მა, ი. ჭ-მა, შ. კ-მა, მ. ფ-მა და მ. კ-მა სარჩელი აღძრეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში დუშეთის მუნიციპალიტეტში მოპასუხეების: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და დუშეთის მუ-

ნიციპალიტიტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიმართ და მოითხოვეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდნენ, რომ მუშაობდნენ დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგეობაში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2013 წელს დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგეობაში მუნიციპალიტიტის გამგებლის თანამდებობის გარდა, ყველა სხვა თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელეთა ნაწილი უვადოდ იყო დანიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობებზე და მათი საშტატო ერთეულები არ იყო ვაკანტური, მათ თანამდებობებზეც გამოცხადდა კონკურსი. ყველა მოსარჩელემ მიიღო მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესარჩევ კონკურსში.

დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმოდ გადანყვეტილებით ყველა მოსარჩელეს მიეცა არაადამაკმაყოფილებელი შეფასება, რაც გასაჩივრებულ იქნა საპრეტენზიო კომისიაში.

მოსარჩელების განმარტებით, დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საპრეტენზიო კომისიის მიერ მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვამდე, დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგებლის ბრძანებით მოსარჩელები გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან სამსახურის ვადის გასვლისა და ატესტაციის შედეგების საფუძველზე, რასაც საფუძველად დაედო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტი და ამავე კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, გარდა ი. ჭ-ისა, რომლის გათავისუფლების საფუძველად მიეთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტი, კერძოდ, სამსახურის ვადის გასვლა.

მოსარჩელების მითითებით, დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საპრეტენზიო კომისიის მიერ მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი საჩივრების განხილვამდე, მოსარჩელეთა მიერ დაკავებულ თანამდებობაზე, ადგილობრივ მოხელეებათ დაინიშნენ სხვა პირები.

შ. ი-ის, შ. კ-ის, მ. კ-ის მიმართ დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგებლის მიერ მიღებული მათი თანამდებობიდან გათავისუფ-

ლების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში, მათი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ შევიდა ცვლილებები, იმ კუთხით, რომ გათავისუფლების თაობაზე მიღებული ბრძანების საფუძვლებიდან ამოღებულ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლი 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც გულისხმობდა მოსარჩელეთა გათავისუფლებას სამსახურიდან ატესტაციის არადაამკმაყოფილებელი შედეგების გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელეთა სამსახურიდან გათავისუფლების ერთადერთი მიზეზია მათ მიერ დაკავებული სამტატო თანამდებობაზე მუშაობის ვადის გასვლა. ამასთან, შ. ი-ი დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობაში მუშაობის დროს არაერთგზის იყო წახალისებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელები ითხოვდნენ გამოცემის დღიდან შ. ი-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანების, შ. ი-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №86 ბრძანების (მეორედ გათავისუფლების შესახებ პირველი ბრძანების ძალაში ყოფნის პირობებში საერთო ჯამში ერთი თანამდებობიდან შ. ი-ი ერთ დღეს 2-ჯერ გაათავისუფლეს), ი. ჭ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანების, შ. კ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის უნომრო ბრძანების (რომელსაც ასევე გამოცემის თარიღად იმავე ბრძანებაში მითითებული აქვს 2014 წლის 6 იანვარიც, ხოლო სარეგისტრაციო ნომრად 2), მ. ფ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 იანვრის №157 ბრძანების, მ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №32 ბრძანების, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის უარყოფელი საოქმო გადაწყვეტილებების მოსარჩელები

თა შესახებ, მათი თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე უარის თქმის თაობაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 საოქმო შემაჯამებელი საბოლოო უარმყოფელი გადაწყვეტილების, შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის, მ. კ-ის ნაწილში; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილის, როგორც მოსარჩელეთა მიმართ მიღებული უარმყოფელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას, შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის, მ. კ-ის დაუყოვნებლივ აღდგენას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში იმ თანამდებობებზე, საიდანაც მოხდა მათი გათავისუფლება იმავე პირობებით. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის, მ. კ-ის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრებას, მათი თანამდებობაზე არ ყოფნის მთელი პერიოდისათვის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლით საქმეში მესამე პირებად მი. კ-ის, გ. წ-ის, ა. კ-ის, ხ. კ-ის, ვ. კ-ის ჩაბმა და მოცემულ საქმეზე მისაღები პირველი ინსტანციის სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა მოსარჩელეთა კანონიერი ინტერესის არსებობისა და მნიშვნელოვანი სოციალური ზიანის თავიდან აცილების მიზნით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 28 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეები: მი. კ-ი, გ. წ-ი, ა. კ-ი, ხ. კ-ი, ვ. კ-ე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №86 ბრძანება; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდი-

ვიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №2 ბრძანება, რომლის გამოცემის თარიღად მითითებულია ასევე 2014 წლის 6 იანვარიც. მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; სადავო საკითხთან დაკავშირებით ბათილად იქნა ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 ოქმი, იმ ნაწილში, რომლითაც არ იქნა გაზიარებული შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის, მ. კ-ის მიმართ მიღებული საპრეტენზიო კომისიის დასკვნა და მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა, შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით; სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მოქცევის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიჩნეული გარემოებების საფუძველზე მიიჩნია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №86, 2014 წლის 3 იანვრის №12, 2014 წლის 3 იანვრის №11, 2014 წლის 3 იანვრის №2 (გაცემის თარიღად მითითებულია ასევე 2014 წლის 6 იანვარიც) ბრძანებები და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 საოქმო გადაწყვეტილების (გასაჩივრებულ ნაწილში) გამოცემისას დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან გასაჩივრებული ბრძანებები არ შეიცადა სათანადო დასაბუთებას. ასევე დაირღვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლიც. ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად არ გამოიკვლია მოსარჩელეების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის პირადი საქმეები და არასწორად დაადგინა თითქოს ისინი იყვნენ თანამდებობაზე დროებით (განუსაზღვრელი ვადით) დანიშნულნი.

ამასთან, გასაჩივრებული დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №86, 2014 წლის 3 იანვრის №12, 2014 წლის 3 იანვრის №11, 2014 წლის 3 იანვრის №2 (გაცემის თარიღად მითითებულია ასევე 2014 წლის 6 იანვარიც) ბრძანებები არ არის დასაბუთებული და არასწორად არის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში სამსახურის ვადის გასვლის გამო, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველით არ შეიძლებოდა შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის გათავისუფლება სამსახურიდან. მითითებული მუხლის შესაბამისად, სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დანიშნული. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 21 თებერვლის №51, 2012 წლის 21 თებერვლის №59 და 2011 წლის 7 ნოემბრის №573 ბრძანებებით შ. ი-ი, ი. ჭ-ი და შ. კ-ი დაინიშნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის თანამდებობებზე. მითითებულ ბრძანებებში არ არის აღნიშნული იმის შესახებ, რომ შ. ი-ი, ი. ჭ-ი, შ. კ-ი დაინიშნულნი იყვნენ თანამდებობაზე გარკვეული ვადით, ასევე ბრძანებების საფუძველად არ არის მითითებული ნორმა (მაგალითად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „დ“ ან „ვ“ ქვეპუნქტი) რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა მითითებული მოხელეები ჩათვლილიყვნენ განსაზღვრული ვადით დანიშნულად ან დროებით მოვალეობის შემსრულებლად. შესაბამისად, ეს პირები თანამდებობაზე დანიშნულები იყვნენ განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე სამსახურში ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება განუსაზღვრელი ვადით, გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ასევე, რაიონული სასამართლოს განმარტებით, მოხელეებს გააჩნდათ კანონიერი ნდობა მათი თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანებების მიმართ, ვინაიდან, მათ იცოდნენ, რომ მოპოვებული ჰქონდათ საჯარო მოხელის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით. თუ ეს პირები განსაზღვრული ვადით იყვნენ მიღებული თანამდებობაზე, მაშინ ეს უნდა მითითებულიყო შესაბამის ბრძანებებში და მოსარჩელებს უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ, სხვა შემთხვევაში ისინი განსაზღვრული ვადით დანიშნულად ვერ ჩაითვლებოდნენ.

საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც „საჯარო სამსახუ-

რის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით დადგინდა, რომ საჯარო სამსახურში პირი თანამდებობაზე შეიძლება დანიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 29 ივნისის №6611 კანონით. შესაბამისად, აღნიშნული ნორმა შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის თანამდებობაზე დანიშნვის შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 21 თებერვლის №51, 2012 წლის 21 თებერვლის №59 და 2011 წლის 7 ნოემბრის №573 ბრძანებების გამოცემისას არ მოქმედებდა.

ამასთან, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანება შ. ი-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ უკვე გამოცემული იყო, როდესაც გამოიცა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №86 ბრძანება შ. ი-ის იმავე თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ამდენად, №86 ბრძანება მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ და ფაქტობრივ საფუძვლებს და არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №12, 2014 წლის 3 იანვრის №11, 2014 წლის 3 იანვრის №2 (გაცემის თარიღად მითითებულია ასევე 2014 წლის 6 იანვარიც) ბრძანებები შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე და მოპასუხეს უნდა დაევალოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა სადავო საკითხთან დაკავშირებით. ასევე სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 საოქმო გადაწყვეტილება.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე – ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა მიაქციოს იმ გარემოებას, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 14 თებერვლის №84 ბრძანებით დამტკიცებული დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სამტატო ნუსხის თანახმად, შტატების რაოდენობა განისაზღვრა 124 სამტატო ერთეულით. ხოლო, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 5 ივლისის №329 ბრძანებით დამტკიცებული დუშეთის მუნიციპა-

ლიტეტიცის გამგეობის საშტატო ნუსხის თანახმად, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვრიდან, შტატების რაოდენობა შემცირდა და განისაზღვრა 82 საშტატო ერთეულით. მითითებული გარემოების გათვალისწინებით დასადგენია შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის მიერ 2013 წელში მოქმედი საშტატო განრიგის თანახმად დაკავებულ თანამდებობებს 2014 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საშტატო განრიგის რომელი თანამდებობა შეესაბამება და რომელ მოხელეს ჰქონდა უფლება დარჩენილიყო შესაბამის თანამდებობაზე შტატების შემცირების გათვალისწინებით.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას, განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ამ ეტაპზე ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს და მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე და 127-ე მუხლებზე, რომელთა შინაარსიდან გამომდინარე, მოპასუხემ განაცდური ხელფასი მოხელეს უნდა აუნაზღაუროს მხოლოდ თანამდებობაზე აღდგენის შემთხვევაში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 საოქმო გადაწყვეტილების ბათილად ცნობასთან მიმართებაში, რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად პირს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება არა უმეტეს 3 დღეში. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად შედგება ოქმი გამოვლენილი ხარვეზის შესახებ და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საპრეტენზიო კომისიის სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით. აღნიშნული ნორმის თანახმად, საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ უნდა გაითვალისწინოს საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება. ამასთან დასაშვებია, რომ საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება არ იქნეს გაზიარებული, თუმცა ამ შემთხვევაში საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ უნდა დაასაბუთოს

თუ რატომ არ იზიარებს საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებას. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 საოქმო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ კომისია არ იზიარებს საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებას მოსარჩელებთან მიმართებაში, თუმცა არ არის მითითებული და დასაბუთებული თუ რატომ არ იზიარებს, რაც მნიშვნელოვანი დარღვევაა.

ამასთან, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 საოქმო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო ერთპიროვნულად. საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტის სხდომის თავმჯდომარის ხმა. ბუნებრივია მითითებული ნორმა არ ანიჭებს კომისიის რომელიმე წევრს, მათ შორის, თავმჯდომარეს ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება. ამასთან საკონკურსო-საატესტაციო კომისია არის კოლეგიური ორგანო და ბუნებრივია ვერ მიიღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას.

რაც შეეხება მოსარჩელეთა მოთხოვნას გამოცემის დღიდან ბათილად იქნეს ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილი, როგორც მოსარჩელეთა მიმართ მიღებული უარმყოფელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ამ ნაწილში სარჩელი უსაფუძვლოა ვინაიდან მითითებული წერილით მოსარჩელებს ეცნობა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა მხედველობაში მიეღო საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მათ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, მას დამოუკიდებელი სამართლებრივი შედეგი არ გამოუწვევია და ის წარმოადგენს საინფორმაციო ხასიათის წერილობით დოკუმენტს და არა მოსარჩელეთა მიმართ მიღებულ უარმყოფელ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს. ამდენად, აღნიშნული წერილის ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაიონულმა სასამართლომ განმარტება, რომ ასევე უსაფუძ-

ვლოა სასარჩელო მოთხოვნა მ. ფ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 13 იანვრის №157 ბრძანებისა და მ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №32 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზეც, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები მ. ფ-ი და მ. კ-ი თანამდებობებიდან გათავისუფლდნენ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დანიშნული.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2010 წლის 25 ივნისის №371 ბრძანებით მ. ფ-ი დროებით, კონკურსის წესით მოხელის შერჩევამდე დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის 29 მარტის №204 ბრძანებით მ. კ-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად. მითითებული ბრძანებებით ნათლად არის განსაზღვრული, რომ ეს მოსარჩელები იყვნენ მოვალეობის შემსრულებლები. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, თანამდებობაზე უკონკურსოდ შეიძლება დაინიშნონ დროებით მოვალეობის შემსრულებლები იმ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დროებით მოვალეობის შემსრულებელი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს 1 წლის ვადით, ხოლო კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე – არა უმეტეს 3 თვის ვადით. იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დაინიშვნა დაუშვებელია. მითითებული ნორმა ამ შინაარსით ამოქმედდა 2013 წლის 1 ივლისიდან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ 2014 წლის 3 იანვრის №32 და 2014 წლის 13 იანვრის №157 ბრძანების გამოცემისას მოპასუხე უფლებამოსილი იყო მოსარჩელები მ. ფ-ი და მ. კ-ი გაენთავი-

სუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რადგან გასული იყო მათი უფლებამოსილების ვადა განსაზღვრული ამავე კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

მოსარჩელებმა სასარჩელო განცხადებით და მათი წარმომადგენლის 2014 წლის 25 მარტის განცხადებით სასამართლოს მიუთითეს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის ძალით მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მხედველობაში მიღებით სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ და მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულ – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №12, 2014 წლის 3 იანვრის №11, 2014 წლის 3 იანვრის №2 (გაცემის თარიღად მიითვლება ასევე 2014 წლის 6 იანვარიც) ბრძანებები სასამართლომ ბათილად ცნო სადავო საკითხის გადაწყვეტლად, შესაბამისად, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების ნაწილში ამ ეტაპზე სარჩელი არ კმაყოფილდება, ამასთან, მ. ფ-ისა და მ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანებების ბათილად ცნობის ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამდენად, არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საფუძველი.

მიითვებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის წარმომადგენელმა ი. პ-მა და მოითხოვა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელე შ. ი-თან დაკავშირებით მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტს დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებასთან მიმართებაში, ი. ჭ-თან დაკავშირებით მოპასუხე დუშეთის მუნიციპალიტეტს დაევალა შესაბა-

მისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანებასთან მიმართებაში, შ. კ-თან დაკავშირებით მოპასუხე დაუშეთის მუნიციპალიტეტს დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №2 ბრძანებასთან მიმართებაში, რომლის გამოცემის თარიღად ბათილად ცნობილ ამავე აქტში ასევე მითითებულია 2014 წლის 6 იანვარი. დაუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ახალი ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ბათილად ცნობილ დაუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 ოქმთან დაკავშირებით (რომლითაც არ იქნა გაზიარებული შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის, მ. კ-ის მიმართ მიღებული საპრეტენზიო კომისიის დასკვნა. აპელანტი ასევე ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნები, ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შუამდგომლობის არ დაკმაყოფილების ნაწილში წარმოადგენს ასევე კერძო საჩივარსაც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის განჩინებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დაუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ; კერძოდ, დაუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და დავის ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება განჩინების სახით; მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩელისა

გამო, მოპასუხეების – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის, მესამე პირების – ში. კ-ის, გ. წ-ის, ა. კ-ის, ხ. კ-ისა და ვ. კ-ის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებით აღძრული ადმინისტრაციული საქმის წარმოება შეწყდა ნაწილობრივ; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილის ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში, სარჩელის დაუშვებლობის გამო არ დაკმაყოფილდა კერძო საჩივრის ავტორების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის კერძო საჩივარი გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრეტი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადანყვეტილების გაუქმების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადანყვეტილებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრეტი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადანყვეტილება ნაწილობრივ; კერძოდ, მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სრულად ბათილად ცნობაზე, ასევე სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის, ასევე აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადანყვეტილებების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და დავის ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება, რომლითაც მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანება მოსარჩელე შ. ი-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შე-

სახეზე; შ. ი-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა მოსარჩელე – შ. ი-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება მოსარჩელე ი. ჭ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ი. ჭ-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ი. ჭ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის (2014 წლის 6 იანვრის) ბრძანება მოსარჩელე შ. კ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. კ-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შ. კ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 15 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები; მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა მოსარჩელების საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 21 თებერვლის №51 ბრძანებით შ. ი-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის (რწმუ-

ნებულის) თანამდებობაზე. ბრძანების გამოცემის სამართლებრივ საფუძველად მიეთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებით შ. ი-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2014 წლის 6 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 8 იანვრის №151 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ცვლილება შევიდა შ. ი-ის გათავისუფლების შესახებ 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებაში და მისი გათავისუფლების საფუძველად, ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, მიეთითა მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის“ 94-ე მუხლის პირველი პუნქტი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №86 ბრძანებით შ. ი-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის“ 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2014 წლის 6 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 9 იანვრის №145 ბრძანებით მესამე პირი – მი. კ-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად. დადგენილია, რომ მი. კ-ის თანამდებობაზე განმნესება მოხდა გამგეობის მიერ 2013 წლის დეკემბერში ორგანიზებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 21 თებერვლის №59 ბრძანებით ი. ჭ-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის (რწმუნებულის) თანამდებობაზე. ბრძანების გამოცემის სამართლებრივ საფუძველად მიეთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

ციული კოდექსის 54-ე მუხლი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანებით ი. ჭ-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2014 წლის 6 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 იანვრის №178 ბრძანებით მესამე პირი – გ. ნ-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად. დადგენილია, რომ გ. ნ-ის თანამდებობაზე გამწესდა გამგეობის მიერ 2013 წლის დეკემბერში ორგანიზებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 7 ნოემბრის №573 ბრძანებით შ. კ-ი გადაყვანილი იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. ბრძანების გამოცემის სამართლებრივ საფუძველად მიეთითა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №2 ბრძანებით (ბრძანების გაცემის თარიღად მითითებულია ასევე 2014 წლის 6 იანვარიც) შ. კ-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2014 წლის 6 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 8 იანვრის №152 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ცვლილება შევიდა შ. კ-ის გათავისუფლების შესახებ 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებაში და მისი გათავისუფლების საფუძველად ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა მიეთითა მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 6 იანვრის №129 ბრძანებით მესამე პირი – ა. კ-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად. დადგენილია, რომ ა. კ-ის თანამდებობაზე გამწესდა გამგეობის მიერ 2013 წლის დეკემბერში ორ-

განიზებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

შ. კ-ი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე ყოფნის დროს ახორციელებდა სოციალური დაცვის სფეროსთან დაკავშირებულ შრომით მოვალეობებს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 25 ივნისის №371 ბრძანებით მ. ფ-ი დროებით, კონკურსის წესით მოხელის შერჩევამდე დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 იანვრის №157 ბრძანებით მ. ფ-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალურ სამსახურის უფროსის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2014 წლის 13 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 იანვრის №148 ბრძანებით მესამე პირი – ხ. კ-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად. დადგენილია, რომ ხ. კ-ის თანამდებობაზე გამწესდა გამგეობის მიერ 2013 წლის დეკემბერში ორგანიზებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 29 მარტის №204 ბრძანებით მ. კ-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №32 ბრძანებით მ. კ-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2014 წლის 6 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 8 იანვრის №150 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ცვლილება შევიდა მ. კ-ის გათავისუფლების შესახებ 2014 წლის 3 იანვრის №32 ბრძანებაში და მისი გათავისუფლების საფუძველად, ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, მიეთითა მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 6 იანვრის №112 ბრძანებით მესამე პირი – ვ. კ-ე დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, ტერიტორიის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად. დადგენილია, რომ ვ. კ-ის თანამდებობაზე გამწესდა გამგეობის მიერ 2013 წლის დეკემბერში ორგანიზებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 14 თებერვლის №84 ბრძანებით დამტკიცებული დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის თანახმად, შტატების რაოდენობა განისაზღვრა 124 საშტატო ერთეულით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის №23 დადგენილებით დამტკიცდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება. აღნიშნული დებულების 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დადგინდა, რომ გამგეობის ყველა ვაკანტური თანამდებობა შეივსებოდა კონკურსის წესით. ამასთან კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო და ჩატარებულიყო სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, გამგებლის მიერ საკონკურსო – საატესტაციო კომისიასთან კონსულტაციების შედეგად შემუშავებული გეგმა-გრაფიკების შედეგად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 8 ივლისის №41 განკარგულებით შეიქმნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია და განისაზღვრა გამგეობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მოსამზადებელი ღონისძიებები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს მოსარჩელებმა – შ. ი-მა, ი. ჭ-მა, შ. კ-მა, მ. ფ-მა და მ. კ-მა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმოდ გადაწყვეტილებით შ. ი-ს უარი ეთქვა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე იმ მოტივით, რომ დუშეთის ტერიტორიულ ორგანოს ხელმძღვანელად მუშაობის დროს, როგორც გასაუბრებისას გაირკვა, მას დაშვებული ჰქონდა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმოდ გადაწყვეტილებით ი. ჭ-ს უარი ეთქვა დუშეთის მუნიციპა-

ლიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე იმ მოტივით, რომ მისი ამ თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად მუშაობის პერიოდში მის მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ დასმულ შეკითხვებს არ უპასუხა და შემოიფარგლა მხოლოდ მრავალი წლის განმავლობაში არსებული პრობლემების ჩამოთვლით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმოდ გადაწყვეტილებით შ. კ-ს უარი ეთქვა დუშეთის მუნიციპალიტეტის დასაქმებისა და სოციალური დაცვის სფეროში მთავარი სპეციალისტის ასევე, ინფრასტრუქტურის განვითარების, ტერიტორიის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე იმ მოტივით, რომ მისი მუნიციპალიტეტში მუშაობის პერიოდში მას არ შეუმუშავებია მუნიციპალური პროგრამა და არ იცის მისი მნიშვნელობა, თუმცა მისი შემუშავება აღნიშნულ პოზიციებზე მომუშავე პირის პირდაპირი მოვალეობა იყო.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმოდ გადაწყვეტილებით მ. ფ-ს უარი ეთქვა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე იმ მოტივით, რომ მისი ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში არ შეუმუშავებულა მუნიციპალური პროგრამები, იქმნებოდა მხოლოდ ღონისძიებათა პაკეტი, რომელთაც ჰქონდათ კონკრეტული დატვირთვა და არ ემსახურებოდა ერთიანი მიზნის მიღწევას. ყველა იდეა, რომელიც მის მიერ იყო მიწოდებული, მოკლებული იყო მათი განხორციელების გზების, სავარაუდო ხარჯებისა და აუცილებლობების დასაბუთებას, რაც სამსახურის უფროსის პირდაპირი მოვალეობა იყო.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმოდ გადაწყვეტილებით მ. კ-ს უარი ეთქვა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების, ტერიტორიის ... განყოფილების უფროსის და ამავე განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე იმ მოტივით, რომ გასაუბრებისას არსებითად არ პასუხობდა დასმულ კითხვებს და მრავალსიტყვაობით ცდილობდა შეექმნა საქმის მცოდნე მოხელის შთაბეჭდილება, ამასთან, მისი სიტყვიერი განცხადების მიუხედავად, მას არ დაუმთავრებია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და არც ივანე ჯავახიშვილის სახელობის დუშეთის ფილიალი ასეთი დაწესებულების არარსებობის გამო.

მოსარჩელებმა – შ. ი-მა, ი. ჭ-მა, შ. კ-მა, მ. ფ-მა და მ. კ-მა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები მათი შესაბამის თანამდებობებზე დასანიშნად წარდგენაზე უარის თქმის შესახებ გაასაჩივრეს საპრეტენზიო კომისიაში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა შესარჩევი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის და მ. კ-ის საჩივრები განიხილა 2014 წლის 22 იანვრის სხდომაზე; სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით საპრეტენზიო კომისიამ ხუთივე მომჩივნის საჩივარი დააკმაყოფილა.

საპრეტენზიო კომისიის 2014 წლის 22 იანვრის საოქმო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სახელით 2014 წლის 23 იანვარს მიღებული იქნა №9 საოქმო გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომისია არ იზიარებს საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებას შ. ი-თან, ი. ჭ-თან, შ. კ-თან, მ. ფ-თან, მ. კ-თან დაკავშირებით და ძალაში დარჩა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები. ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთპიროვნულად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილით, მ. კ-ს და მ. ფ-ს ეცნობათ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა მხედველობაში მიეღო საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მათ საკითხთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქმის მასალეზიდან გამომდინარე დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 5 ივლისის №329 ბრძანებით დამტკიცებული ახალი სამტატო განრიგის პირობებში დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ შეინარჩუნა უკლებლივ ყველა რწმუნებულის, მათ შორის – ... და ... ტერიტორიული ორ-

განოების რწმუნებულების თანამდებობა; ამ ფაქტების უტყუარობაზე მონიშნავს არა მარტო ახალი საშტატო განრიგი და დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის №23 დადგენილებით დამტკიცებული დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება, არამედ, აგრეთვე, ამ თანამდებობებზე (... და ... ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების თანამდებობებზე) მესამე პირების – მი. კ-ისა და გ. ნ-ის დანიშვნის ბრძანებები (დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 09.01.2014 წლის №145 ბრძანება, 13.01.2014 წლის №178 ბრძანება);

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 5 ივლისის №329 ბრძანებით დამტკიცებული ახალი საშტატო განრიგის პირობებში დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ შეინარჩუნა ასევე ... სფეროში მმართველობითი საქმიანობის განმახორციელებელი გამგეობის სტრუქტურული ერთეული – ... სამსახური, რომლის ფარგლებში ასევე შენარჩუნებულ იქნა მთავარი სპეციალისტის ორი თანამდებობა, გათვალისწინებულ იქნა წამყვანი სპეციალისტის ერთი თანამდებობა; სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილ წერილობით მტკიცებულებებსა და მხარეთა ახსნა-განმარტებებზე დაყრდნობით დაადგინა როგორც გამგეობის ძველი და ახალი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) იგივეობა მათი ფუნქციებიდან გამომდინარე, ისე – ამ სტრუქტურული ერთეულის შიგნით გათვალისწინებული თანამდებობების – მთავარი სპეციალისტის თანამდებობის იდენტურობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ სადავო შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების რაიმე აუცილებლობა – ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი, რამაც თავშივე განსაზღვრა აპელანტებს – შ. ი-ს, ი. ჭ-ს, შ. კ-სა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილი შინაარსი, უკვე დადგენილია, გამოკვლეულია, შეფასებულია სასამართლოს მიერ ისე, რომ შეუძლებელია და დაუშვებელი, რომ სადავო საკითხის სწორად გადაწყვეტის მიზნებისთვის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისროს სხვა დამატებითი ფაქტების კვლევის/დადგენის ვალდებულება.

სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ მოცემულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში გამგეობამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, თუ რო-

მელ მოხელეს ჰქონდა უფლება დარჩენილიყო შესაბამის თანამდებობაზე შტატების შემცირების გათვალისწინებით. პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლოს მხრიდან ამგვარი მითითება იმ შემთხვევაში იქნებოდა საქმისთვის რელევანტური, თუკი სადავო ადმინისტრაციული აქტები – (დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანება (მ. ი-ის შესახებ), 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება (ი. ჭ-ის შესახებ), 2014 წლის 3 იანვრის (2014 წლის 6 იანვრის) ბრძანება (მ. კ-ის შესახებ) გამოცემული იქნებოდა არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94.1. მუხლის საფუძველზე, ანუ სამსახურის ვადის გასვლის გამო მოტივით, არამედ იმავე კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, ანუ შტატების შემცირების მოტივით. უდავოა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას აპელანტები სამსახურიდან არ გაუთავისუფლებია შტატების შემცირების საფუძველით. ამასთან, უდავოდ დადასტურებული ფაქტია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 5 ივლისის №329 ბრძანებით დამტკიცებული ახალი საშტატო განრიგის პირობებში დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ შეინარჩუნა უკლებლივ ყველა რწმუნებულის, მათ შორის – ... და ... ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულების თანამდებობები. დაუშვებელია, რომ ზოგადად შტატების შემცირების პირობებში, უკეთესი მოხელის ამორჩევის მიზნით, რწმუნებულის თანამდებობაზე მყოფი მოხელე თავისი შრომითი საქმიანობის გამოცდილებით, შრომითი და პირადი რეპუტაციით, უნარ-ჩვევებით და კვალიფიკაციით დაუპირისპირდეს გამგეობის სისტემის შიგნით გათვალისწინებულ სხვა (მაგრამ არა რწმუნებულის) თანამდებობაზე მყოფი მოხელის იმავე მახასიათებლებს, სხვა თანამდებობაზე მყოფი მოხელისა იმიტომ, რომ ახალი დებულების და ახალი საშტატო განრიგის პირობებში არ მომხდარა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების გამსხვილება/გაუქმება და მასთან ერთად ასევე რწმუნებულების თანამდებობათა შემცირება. თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ შტატების შემცირების პირობებში ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება უკეთესი/საუკეთესო მოხელეების შერჩევის და შენარჩუნების ვალდებულება, უკეთესი მოხელის ამორჩევა უნდა მოხდეს ერთი სტრუქტურული ერთეულის შიგნით იდენტურ თანამდებობებზე, იდენტური ფუნქციების განმახორციელებელ, იდენტური განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ორ ან მეტ მოხელეს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა მოხელეთა შრომითი საქმიანობის გამოცდილებების, შრომითი და პირადი რეპუტაციე-

ბის, უნარ-ჩვევებებისა და კვალიფიკაციების ერთმანეთთან დაპირისპირება იქნებოდა კანონსაწინააღმდეგო, ფორმალური ხასიათის, მიზნის მიღწევისთვის არაეფექტური.

რაც შეეხება რაიონული სასამართლოს განმარტებას, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა და ყურადღება გაამახვილა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირვანდელ რედაქციაზე, რომელიც მოქმედებდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 21.02.2012 წლის №51 ბრძანების (შ. ი-ის შესახებ), 21.02.2012 წლის №59 ბრძანების (ი. ჭ-ის შესახებ) და 07.11.2011 წლის №573 ბრძანების (შ. კ-ის შესახებ) გამოცემის დროს, კერძოდ, კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი იყო, რომ პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. იმავე 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენდა, რომ სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულების ხელმძღვანელის გადანყვებილებით ამ დაწესებულებაში გარკვეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გამოცხადდეს კონკურსი, გარდა 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

უდავოა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი (პირვანდელი რედაქციით) ადგენდა საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების ორ ალტერნატიულ გზას – კონკურსით და კონკურსის გარეშე, როგორც კონკურსის შედეგების მიხედვით, ისე – პირდაპირი წესით პირების თანამდებობებზე განმწესება წარმოადგენდა იდენტური შინაარსისა და მნიშვნელობის მქონე იურიდიულ ფაქტებს ისე, რომ კანონი კონკურსით და კონკურსის გარეშე დანიშნულ მოხელეებს აყენებდა და ამყოფებდა თანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში იმ თვალსაზრისით, რომ არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების პირობებში ურთიერთობის მონაწილე არცერთი მხარე არ განიხილავდა და ეჭვქვეშ არ აყენებდა პირდაპირი წესით (ანუ, კონკურსის გარეშე) დანიშნული მოხელის თანამდებობაზე ყოფნის ვადას/ხანგრძლივობას, კომპეტენციას, კვალიფიკაციას, საჯარო სამსახურის ფარგლებში მის (მოხელის) მიერ ნაკისრი ვალდებულებებისა და შეძენილი უფლებების მოცულობას, ლეგალურობას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ 29.06.2012 წლის №6611 კანონის საფუძველზე შეიცვალა რა კანონის 29-ე მუხლის შინაარსი, ამ უკანასკნელის 1-ლი პუნქტით დადგინდა, რომ პირი თანამდე-

ბოზაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამდენად, სახეცვლილი კანონის 29-ე მუხლმა დაადგინა ცვლილებამდე მოქმედი წესისგან განსხვავებული წესი იმ თვალსაზრისით, რომ დღეის პირობებში საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კონკურსის გზით, ახალმა კანონმა უარყო პირდაპირ, კონკურსის გარეშე თანამდებობის დაკავების ალტერნატიული წესი და შესაძლებლობა (აქ არ იგულისხმება კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები);

დუშეთის მინუციპალიტეტის გამგეობის 21.02.2012 წლის №51 ბრძანების (შ. ი-ის შესახებ), 21.02.2012 წლის №59 ბრძანების (ი. ჭ-ის შესახებ), ასევე 07.11.2011 წლის №573 ბრძანების (შ. კ-ის შესახებ) შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ დასახელებული პირები თანამდებობებზე დაინიშნენ (გადაყვანილ იქნა) განუსაზღვრელი ვადით, წინააღმდეგ შემთხვევაში აქტების (ბრძანებების) გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო ბრძანებებში შესაბამისი შინაარსის ჩანაწერის გაკეთების გზით დაადგენდა, რომ მოხელეები თანამდებობებზე ინიშნებოდნენ დროებით, კანონით გათვალისწინებული ამა თუ იმ პირობით ისე, როგორც ეს მითითებულ იქნა სხვა აპელანტების – მ. ფ-ისა და მ. კ-ის შემთხვევაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის პირვანდელი რედაქციის მოქმედების დროს კონკურსის გავლის გარეშე, პირდაპირი წესით პირის თანამდებობაზე დანიშვნა არ ნიშნავდა პირის დანიშვნას დროებით, სამომავლოდ კონკურსის გავლის პირობითა და კონკურსის შედეგების გათვალისწინებით. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ იყო უფლებამოსილი, რომ აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის შემთხვევაში გამოეყენებია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94.1. მუხლი, კერძოდ, ამ უკანასკნელით დადგენილია, რომ სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დაინიშნული. უდავოა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანების (შ. ი-ის შესახებ), 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანების (ი. ჭ-ის შესახებ), 2014 წლის 3 იანვრის (2014 წლის 6 იანვრის) ბრძანების (შ. კ-ის შესახებ) გამომცემის მომენტში არ იყო გასული აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის სამსახურის ვადა, ანუ, აპელანტების დაკავებულ თანამ-

დებობებზე ყოფნისა და მუშაობის ვადა იმ მიზეზით, რომ აპელანტები დაკავებულ თანამდებობებზე განმწესდნენ განუსაზღვრელი ვადით.

რაც შეეხება გამგეობის მიერ 2013 წლის დეკემბრის თვეში ორგანიზებულ კონკურსს, კონკურსის შედეგებს, სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საჯარო კონკურსი შეიძლება გამოცხადდეს მხოლოდ ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. უდავოა, რომ აპელანტების მიერ განთავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობები არ იყო ვაკანტური, ისინი ამ თანამდებობებზე დანიშნულნი იყვნენ განუსაზღვრელი ვადით, შესაბამისად, გამგეობას არ უნდა გამოეცხადებინა აპელანტების მიერ განთავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობებზე კონკურსი, უკიდურეს შემთხვევაში გამგეობას არ უნდა მიეღო მხედველობაში აღნიშნულ თანამდებობებზე კონკურსანტთა გამოცდის, ტესტირების, გასაუბრებისა და შეფასების შედეგები, გამგეობას არ უნდა მიეღო გადაწყვეტილება აპელანტების დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანება (შ. ი-ის შესახებ), 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება (ი. ჭ-ის შესახებ), 2014 წლის 3 იანვრის (2014 წლის 6 იანვრის) ბრძანება (შ. კ-ის შესახებ) ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 93-ე, 94-ე, 31-ე მუხლებს, რაც ბრძანებების ბათილად ცნობის საფუძველია.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან განთავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე.

იმავე კანონის 112-ე მუხლით დადგენილია, რომ სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მოსარჩელებმა – შ. ი-მა, ი. ქ-მა და შ. კ-მა თავისი სარჩელით მოითხოვეს როგორც ბრძანებების ბათილად ცნობა, ისე – სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება; შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული ნორმების თანახმად, მოსარჩელე შ. ი-ი უნდა აღდგეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე, მოსარჩელე ი. ქ-ი უნდა აღდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე, მოსარჩელე შ. კ-ი უნდა აღდგეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; მოპასუხეს – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას უნდა დაევალოს მოსარჩელებისთვის – შ. ი-ისთვის, ი. ქ-ისთვის და შ. კ-ისთვის იძულებითი განაცდურის სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. შ. ი-ს, ი. ქ-ს და შ. კ-ს უარი უნდა ეთქვათ მათი თანამდებობებზე არყოფნის მთელი პერიოდისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ საკითხს ანესრიგებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლი, რომლის თანახმადაც იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. სააპელაციო პალატა ვერ გაცდება ამ ნორმით დადგენილი განაცდურის ანაზღაურების ფარგლებს.

რაც შეეხება აპელანტების – მოთხოვნას მ. ფ-ისა და მ. კ-ის მოთხოვნებს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 13.01.2014 წლის №157 ბრძანებასთან, ასევე, 03.01.2014 წლის №32 ბრძანების ბათილად ცნობასთან მიმართებაში, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა შემდეგ მოსაზრებათა გამო: სადავო არ არის ის, რომ აპელანტები – მ. ფ-ი და მ. კ-ი, თავის დროზე, გამგეობის 25.06.2010 წლის №371 ბრძანების, ასევე 29.03.2011 წლის №204 ბრძანების საფუძველზე, თანამდებობებზე განმწესდნენ დროებით, მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით, მოხელის კონკურსის ნუსით შერჩევამდე ვადით. მოცემულ შემთხვევაში გამგეობამ სწორად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი – უდავოა, რომ აპელანტების მიერ განთავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობები იყო ვაკანტური, შესაბამისად, გამგეობა უფლებამოსილი იყო, გამოეცხადებინა აპელანტების მიერ განთავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობებზე კონკურსი, ასევე უფლება ჰქონდა მხედველობაში მიეღო აღნიშნულ თანამდებობებზე კონკურ-

სანტოთა გამოცდის, ტესტირების, გასაუბრებისა და შეფასების შედეგები; გამგეობამ სადავო შემთხვევაში სწორად გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94.1. მუხლი – როგორც კი გამოირკვა კონკურსზე გამარჯვებული/მონონებული კანდიდატების ვინაობა და გადაწყდა მათი თანამდებობებზე დანიშვნის საკითხი, სწორედ ამ მომენტიდან ამოიწურა აპელანტების თანამდებობებზე ყოფნის ვადა, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა მათი დაკავებული თანამდებობებიდან განთავისუფლება.

რაც შეეხება აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ის და მ. კ-ის მოთხოვნას მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე, ეს უკანასკნელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ ისე, რომ სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები, კომისიას უნდა დაევალოს მოსარჩელების საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გამგეობის ვაკანტურ თანამდებობებზე შესაფერისი კანდიდატების შერჩევის მიზნით ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე პირმა, მათ შორის – მოსარჩელებმა და მესამე პირებმა; კონკურსის არსი, ზოგადად, და კონკურსანტთა სიმრავლე, მოცემულ სადავო შემთხვევაში, საკონკურსო-საატესტაციო კომისიას აკისრებს კანდიდატთა შორის ერთი, შესაფერისი კანდიდატის ამორჩევის ვალდებულებას; კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილია, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წამოაყენებს ერთ-ერთ კანდიდატს ან უარს აცხადებს კანდიდატის წამოყენებაზე. ამდენად, საკონკურსო-საატესტაციო კომისია ირჩევს რა ერთ კანდიდატს, სწორედ რომ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს კონკურსანტების შეფასების, ამა თუ იმ კონკურსანტის გამარჯვებულად გამოცხადების ან პირიქით – კონკურსანტის დაწუნების, მისთვის რეკომენდაციის არგანევის თაობაზე. კონკურსის პირობებში საკონკურსო კომისია ვალდებულია, კონკურსანტთა შორის არჩევანის გაკეთების გზით გამოავლინოს

მონონებული, გამარჯვებული კონკურსანტები (შესაბამისად, დანუნებული კონკურსანტებიც); სააპელაციო პალატის აზრით, დისკრეციული უფლებამოსილება არათუ ათავისუფლებს, პირიქით – ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ტვირთს და ვალდებულებას; გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება გულისხმობს, პირველ რიგში, თითოეული კონკურსანტის შეფასების დასაბუთებას უშუალოდ ამ კონკურსანტთან დაკავშირებით არსებულ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე მითითებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებები მესამე პირებთან, ისევე როგორც აპელანტებთან მიმართებაში არის დაუსაბუთებელი, არამოტივირებული, რის გამოც შეუძლებელია გამორკვეულ იქნეს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად და კანონშესაბამისად მოიქცა კომისია, როდესაც მან მესამე პირებს გაუწია რეკომენდაცია ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად და პირიქით – არ გაუწია რეკომენდაცია აპელანტებს. შესაბამისად, აპელანტები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ არა მარტო თავიანთი უარყოფელი პასუხების, არამედ სხვა კანდიდატის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ დადებითი გადაწყვეტილებების მოტივაცია, აპელანტები უფლებამოსილნი არიან, იცოდნენ, რის გამო, რა მიზეზით არ აირჩა ისინი საკონკურსო კომისიამ და რატომ გაიმარჯვა სხვა კანდიდატმა; ასეთის ცოდნის უფლება გამომდინარეობს სწორედ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლიდან, რომელიც ადგენს, რომ კონკურსი უნდა იყოს ობიექტური, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული, საჯარო.

ძირითადი საკონკურსო პროცედურული დოკუმენტი – გამგეობის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 25.12.2013 წლის სხდომის ოქმი (ოქმის შინაარსი) არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ მესამე პირები თავიანთი განათლებით, კვალიფიკაციით, შრომის სტაჟით, პიროვნული თვისებებითა და სხვა საკვალიფიკაციო პირობებით არიან სხვა კონკურსანტებზე უკეთესები, შესაბამისად, სავალდებულოა, რომ თითოეული კანდიდატის შესახებ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ჩამოყალიბდეს ანალიტიკური დასკვნის სახით, რომლის ფარგლებშიც მოხდება კანდიდატის პიროვნების, მისი პერსონალური მონაცემების გაანალიზება და შეფასება კონკურსის მიზნებისა და ამოცანების ჭრილში;

სადავო ოქმში არ არის მითითებული კონკუსთან, თითოეულ კონკურსანტთან დაკავშირებულ არც ერთი ფაქტი და გარემოება, ასევე არ არის მითითებული რაიმე სახის მოტივირებული, მტკიცებულებებით გამყარებული მსჯელობა, არგუმენტი და მოტივი, რომლებზე დაყრდნობითაც კომისიამ მიიღო სადავო გადაწყვეტილებები; ანუ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53.4. და 96.1. მუხლების მოთხოვნათა სანინა-ალმდეგო, კომისია არ მსჯელობს მნიშვნელოვანი ფაქტების მნიშვნელოვნებაზე, რამაც განსაზღვრა კონკურსის შედეგები. არც კომისიის სხდომის ოქმი, არც სხვა რაიმე დოკუმენტი არ ასახავს ინფორმაციას იმის შესახებ, მოხდა თუ არა კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაციის შინაარსობრივი მხარის გაანალიზება და ისეთი ფაქტორების წინა პლანზე წამოწევა, რომლებმაც განსაზღვრეს არჩევანის შინაარსი.

რაც შეეხება კომისიის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვრის №9 სხდომის ოქმს, დავის ამ ნაწილში სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ მოსაზრებათა გამო: სააპელაციო სასამართლო სრულად იზიარებს დაეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებს დავის ამ ნაწილში საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით; კერძოდ, პალატა მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება; თავის მხრივ, აპელანტმა თავის სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შ. ინიაშვილმა, ი. ჭ-მა, შ. კ-მა, მ. ფ-მა და მ. კ-მა.

კასატორები საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ არამართებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება, ვინაიდან, სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ზემოაღნიშნული ნორმა შესაძლებელია გამოიყენოს სასამართლომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებები და საქმის მასალები არ იძლევა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი გარემოების გამოკვლევისა და სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას, რომელთა გამორკვევის, ანა-

ლიზისა და შეფასების გარეშე საქმეზე ვერ იქნება მიღებული სწორი გადაწყვეტილება. ამასთან, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ არის დასაბუთებული თუ რა გარემოებები უნდა იკვლიოს მოპასუხემ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისას. ფარგლები, რომლის არეალში უნდა იმსჯელოს მოპასუხემ არ დადგენილა ახალი გადაწყვეტილებით. კასატორების განმარტებით, მ. ფ-თან მიმართებაში სააპელაციო პალატამ არ მისცა შეფასება მის უკანონო გათავისუფლებას, ვინაიდან, ის ჯერ გათავისუფლდა და შემდეგ მოხდა გარკვეული პერიოდის შემდგომ მის ადგილზე სხვა პირის გამწესება, თუმცა მისი გათავისუფლების საფუძვლად გამოყენებულ იქნა ნორმა, რომელიც ითვალისწინებს კონკურსის შედეგების მიხედვით პირის თანამდებობაზე დანიშვნის გამო მოვალეობის შემსრულებლის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

კასატორების განმარტებით, ასევე არასწორია ის, რომ სააპელაციო, სასამართლოს მიერ შ. ი-ს, ი. ჭ-ს და შ. კ-ს აუნაზღაურდათ მხოლოდ მიუღებელი განაცდური ხელფასი სახით 3 თვის თანამდებობრივი სარგო, რაც დაეფუძნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შინაარსს, რომლის გათვალისწინებით „იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით“, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“. იგივე დანაწესს შეიცავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, რომლის თანახმად, „სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო.“ კასატორების განმარტებით, საქარ-

თველოს კონსტიტუციისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის წინააღმდეგობრივი ჩანაწერების არსებობის პირობებში სააპელაციო პალატას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლით და აღდგენილ მოხელეთა სასარგებლოდ მოპასუხეებისათვის უნდა დაეკისრებინა გათავისუფლების დღიდან სამსახურში იძულებით არ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასი სრული ოდენობითა და მოცულობით აღდგენის დღემდე.

კასატორების განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები (სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯები) მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც“, ხოლო „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, „საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ყველა საქმეზე“ და არა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები, რაც იყო მოპასუხეების სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძველი.

ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, საქართველოში ბიუჯეტი იყოფა 3 ჯგუფად – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი და ისინი არ მოიცავენ ერთმანეთს. ამდენად, ცალსახაა კანონმდებლის ნება, რომ საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ დაწესებულებები (ორგანიზაციები) და არა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებები და ორგანიზაციები. ამდენად, უსწორია სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოპასუხეების სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების ნაწილშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში გაუქმებას და

ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებას, კერძოდ: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 იანვრის №157 ბრძანების – მ. ფ-ს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალურ სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე, ასევე მ. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №32 ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ცნობას, ასევე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას. კასატორებმა ასევე მოითხოვეს შ. ი-ისათვის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება არა სამი თვის პერიოდის, არამედ სამსახურში იძულებით არ ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში და ასევე მოპასუხეებისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დაკისრება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 21 თებერვლის №51 ბრძანებით შ. ი-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის (რწმუნებულის) თანამდებობაზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2012 წლის 21 თებერვლის №59 ბრძანებით ი. ჭ-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის (რწმუნებულის) თანამდებობაზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 7 ნოემბრის №573 ბრძანებით შ. კ-ი გადაყვანილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 25 ივნის-

სის №371 ბრძანებით მ. ფ-ი დროებით, კონკურსის წესით მოხელის შერჩევამდე დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2011 წლის 29 მარტის №204 ბრძანებით მ. კ-ი დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიის ... განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებით შ. ი-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2014 წლის 6 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 8 იანვრის №151 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ცვლილება შევიდა შ. ი-ის გათავისუფლების შესახებ 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებაში და მისი გათავისუფლების საფუძველად, ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, მიეთითა მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანებით ი. ჭ-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2014 წლის 6 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №2 ბრძანებით (ბრძანების გაცემის თარიღად მითითებულია ასევე 2014 წლის 6 იანვარიც) შ. კ-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2014 წლის 6 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 8 იანვრის №152 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ცვლილება შევიდა შ. კ-ის გათავისუფლების შესახებ 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანებით.

ნებაში და მისი გათავისუფლების საფუძვლად ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის“ 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვე-პუნქტისა მიეთითა მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 იანვრის №157 ბრძანებით მ. ფ-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალურ სამსახურის უფროსის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე 2014 წლის 13 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №32 ბრძანებით მ. კ-ი გათავისუფლდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2014 წლის 6 იანვრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 8 იანვრის №150 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ცვლილება შევიდა მ. კ-ის გათავისუფლების შესახებ 2014 წლის 3 იანვრის №32 ბრძანებაში და მისი გათავისუფლების საფუძვლად, ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის“ 94-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა, მიეთითა მხოლოდ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის პირველი პუნქტი.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის №23 დადგენილებით დამტკიცდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება. აღნიშნული დებულების 56-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დადგინდა, გამგეობის ყველა ვაკანტური თანამდებობის კონკურსის წესით შევსება. ამასთან კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო და ჩატარებულიყო სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, გამგებლის მიერ საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან კონსულტაციების შედეგად შემუშავებული გეგმა-გრაფიკების შედეგად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 8 ივლისის №41 განკარგულებით შეიქმნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისია და განისაზღვრა გამგეობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მოსამ-

ზადებელი ღონისძიებები. მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ ჩატარდა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხუთივე მოსარჩელემ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმოდ გადაწყვეტილებებით ხუთივე მოსარჩელეს უარი ეთქვა მათ მიერ დაკავებულ თანამდებობაზე დანიშვნაზე, სხვადასხვა მოტივებით.

ზემოაღნიშნული საოქმოდ გადაწყვეტილებები მათი შესაბამის თანამდებობებზე დასანიშნად წარდგენაზე უარის თქმის შესახებ შ. ი-მა, ი. ჭ-მა, შ. კ-მა, მ. ფ-მა და მ. კ-მა გაასაჩივრეს საპრეტენზიო კომისიაში.

საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის 2014 წლის 22 იანვრის წერილით მოსარჩელებს ეცნობათ, რომ შ. ი-ი აკმაყოფილებდა დუშეთის რწმუნებულის აუცილებელ მოთხოვნებს, ასევე ი. ჭ-ს, შ. კ-ს, მ. ფ-სა და მ. კ-ს ეცნობათ, რომ გამოავლინეს თანაბარი შესაძლებლობები დასანიშნად წარდგენილ კონკურსანტებთან შედარებით.

აღნიშნულის მიუხედავად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 23 იანვარს №9 საოქმოდ გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ კომისია არ იზიარებს საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებას შ. ი-თან, ი. ჭ-თან, შ. კ-თან, მ. ფ-თან, მ. კ-თან დაკავშირებით და ძალაში დარჩა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმოდ გადაწყვეტილები. ოქმში ასევე აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთპიროვნულად.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 10 მარტის №47 წერილით, მ. კ-ს და მ. ფ-ს ეცნობათ, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა მხედველობაში მიეღო საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მათ საკითხთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველი დავის საგანს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანებების კანონიერების დადგენა, სამუშაოზე აღდგენა და მთელი გაცდენილი პერიოდისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრტი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება ნაწილობრივ; კერძოდ, მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სრულად ბათილად ცნობაზე, ასევე სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაზე უარის თქმის, ასევე აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-სა და მ. კ-ის ნაწილში დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და დავის ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №12 ბრძანება მოსარჩელე შ. ი-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. ი-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა მოსარჩელე – შ. ი-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის №11 ბრძანება მოსარჩელე ი. ჭ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ი. ჭ-ი აღდგენილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ი. ჭ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 3 იანვრის (2014 წლის 6 იანვრის) ბრძანება მოსარჩელე შ. კ-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; შ. კ-ი აღდგენილ იქნა დუ-

შეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა შ. კ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახით სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი აპელანტების – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 15 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები; მოპასუხის – დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა მოსარჩევეების საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის დუშეთის მუნიციპალიტეტში 2014 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება დაწარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შ. ი-მა, ი. ჭ-მა, შ. კ-მა, მ. ფ-მა და მ. კ-მა.

აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია იმსჯელოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე მხოლოდ წარმოდგენილი – შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივრის ფარგლებში, კერძოდ, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 იანვრის №157 ბრძანების მ. ფ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №32 ბრძანების მ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და შ. ი-ისათვის, ი. ჭ-ისათვის და შ. კ-ისათვის იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში ხელფასის სრულად ანაზღაურების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 13 იანვრის №157 ბრძანების მ. ფ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 3 იანვრის №32 ბრძანების მ. კ-ის სამსა-

ხურიდან გათავისუფლების თაობაზე ბათილად ცნობასთან დაკავშირებით უარის თქმის თაობაზე და განმარტავს, რომ როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა მ. ფ-ი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2010 წლის 25 ივნისის №371 ბრძანებით დროებით, საკონკურსო წესით მოხელის შერჩევამდე, 2010 წლის 25 ივნისიდან დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ...i სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მ. კ-ი 2010 წლის 29 დეკემბრის დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის №787 ბრძანებით სამი თვის გამოსაცდელი ვადით 2010 წლის 29 დეკემბრიდან 2011 წლის 29 მაისამდე დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის ... სამსახურის ტერიტორიის ... განყოფილებაში ... საკითხებში მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის №204 ბრძანებით მ. კ-ი გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, დროებით, საკონკურსო წესით მოხელის შერჩევამდე, 2011 წლის 29 მარტიდან დაინიშნა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის ... სამსახურის ტერიტორიის ... განყოფილებაში მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. ფ-ი და მ. კ-ი სამსახურში დანიშნულები იყვნენ დროებით, საკონკურსო წესით მოხელის შერჩევამდე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის X თავით რეგლამენტირებულია მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები, ერთ-ერთი მათგანია მოხელის სამსახურიდან განთავისუფლება სამსახურის ვადის გასვლის გამო, კერძოდ, 94-ე მუხლის შესაბამისად, სამსახურის ვადის გასვლასთან დაკავშირებით სამსახურიდან თავისუფლდება პირი, რომელიც თანამდებობაზე გარკვეული ვადით იყო არჩეული ან დანიშნული. შესაბამისად, როგორც აღვნიშნეთ მ. ფ-ი და მ. კ-ი დანიშნული იყვნენ დროებით, საკონკურსო წესით მოხელის შერჩევამდე.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივნისის №23 დადგენილებით დამტკიცდა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება, რომლის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტით განისაზღვრა, რომ გამგეობის ყველა ვაკანტური თანამდებობა შეივსებოდა კონკურსის წესით. შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 8 ივლისის №41 განკარგულებით შეიქმნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთა საკონკურ-

სო-საატესტაციო კომისია და განისაზღვრა გამგეობის მოხელეთა შესარჩევი კონკურსის მოსამზადებელი ღონისძიებები.

უდავოა, რომ მ. ფ-ისა და მ. კ-ის მიერ დაკავებული თანამდებობები იყო ვაკანტური, ვინაიდან ისინი დანიშნული არ იყვნენ კონკურსის წესით და ამასთან, დანიშვნის ბრძანებებში მითითებული იყო, რომ დანიშნულები იყვნენ კონკურსის წესით მოხელის შერჩევამდე. როდესაც გამოცხადდა კონკურსი და მოხდა მათ მიერ დაკავებულ თანამდებობაზე, მოხელეთა შერჩევა მ. ფ-ი და მ. კ-ი გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 94-ე მუხლის შესაბამისად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ამ ნაწილში საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება კასატორების პრეტენზიას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მოსაზრებას შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის ნაწილში და განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „საჯარო კონკურსს მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად შესაბამისი სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება აცხადებს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით. ამასთანავე, კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 10-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსის გამოცხადების დღედ ითვლება ბოლო გამოცხადების მომენტი“, აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებამ კონკურსი რომ გამოაცხადოს სავალდებულო პირობაა, რომ თანამდებობა იყოს ვაკანტური, წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსის გამოცხადება დაუშვებელია, კონკრეტულ შემთხვევაში კი საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ შ. ი-ი, ი. ჭ-ი და შ. კ-ი თანამდებობებზე დანიშნული იყვნენ განუსაზღვრელი ვადით, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ მიერ დაკავებული თანამდებობები არ ყოფილა ვაკანტური, შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ იყო უფლებამოსილი გამოეცხადებინა კონკურსი მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებზე და დუშეთის მუ-

ნიციპალიტიტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას გადანყვეტილებებით უარი ეთქვა დაკავებულ თანამდებობაზე დანიშვნაზე.

ამდენად, საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობს დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის მიმართ საოქმო გადანყვეტილებების ბათილად ცნობის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მატერიალურ-საპროცესო სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის მიმართ საოქმო გადანყვეტილებები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ არ იზიარებს, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის მიმართ 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადანყვეტილებებთან დაკავშირებით სამართლებრივ შეფასებას, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლომაც დადგენილად მიიჩნია, რომ შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის მიერ დაკავებული თანამდებობები არ იყო ვაკანტური. აქვე საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ასევე სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლომ ბათილად ცნო შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგეობის სადავო ბრძანებები და აღადგინა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობებზე.

ხოლო რაც შეეხება დუშეთის მუნიციპალიტიტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადანყვეტილებებს მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში, საკასაციო სასამართლოს მითითებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მ. ფ-ი და მ. კ-ი დროებით, საკონკურსო წესით მოხელის შერჩევამდე ანუ მათი თანამდებობი იყო ვაკანტური, შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებზე გამოეცხა-

დებიან კონკურსი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესით“ გათვალისწინებულია კონკურსის ჩატარების მიზნები და ამოცანები, რომელთა შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კანდიდატის კვალიფიკაციის, პროფესიული უნარ-ჩვევების დასაკავებელი თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დონის განსაზღვრას. კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მიმდინარეობა უნდა იყოს გამჭვირვალე, პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები ასევე უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული და გასაგები ყველა პრეტენდენტისათვის. კონკურსის ძირითადი პრინციპია ასევე კონკურსანტთა შორის სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეციას, მოახდინოს თანამშრომელთა პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შრომის დისციპლინის და ა.შ ადეკვატური, ობიექტური შეფასება და მიიღოს შესაბამისი მოტივირებული გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული საჯარო მოხელის, არამედ მთლიანად საჯარო სამსახურისათვის.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოცემულია წერილობითი სახით, აუცილებელია შეიცავდეს დასაბუთებას, კერძოდ, მასში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა იგი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სადავო გადაწყვეტილებების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციის ფარგლებში, სასამართლოს ძირითად და-

ნიშნულებას წარმოადგენს სწორედ იმ საკითხის განსაზღვრა, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ამ უფლების გამოყენება მოხდა თუ არა კანონიერების ფარგლებში, დაცულია თუ არა კანონის წინაშე პირთა თანასწორობის ფუძემდებელი პრინციპები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს და დასკვნებს, რის საფუძველზეც მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის კასაციის მოტივს იძულებითი განაცდურის მთელი პერიოდის ანაზღაურებასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს უნდა მიეცეს არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოხელე თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, როდესაც არსებობს გათავისუფლების აქტის ბათილობის საფუძველი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. კოდექსი განმარტავს იმ პროცედურულ დარღვევებსაც, რომლებიც შეიძლება აქტის ბათილად ცნობას დაედოს საფუძველად. ასეთ საფუძველად დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიიჩნევა სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაცი-

ციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“. ამდენად, კანონმდებლობა პირის თანამდებობიდან გათავისუფლების აქტის ბათილობის ორი სახის საფუძველს გამოყოფს: 1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის მატერიალური საფუძველები – აქტი არ ემყარება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველს; 2. ფორმალური საფუძველები – აქტი გამოცემულია კანონით დადგენილი პროცედურული ნორმების არსებითი დარღვევით.

საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში“.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, საჯარო მოხელეთათვის განსაზღვრული გარანტიის პირობებში წარმოიშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი იმპერატიულად ადგენს მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. მათ შორის – სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1982 წლის C 158 კონვენციის (Termination of Employment Convention) მე-10 მუხლი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს ანიჭებს უფლებას სასამართლოს მიერ მისთვის სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციაზე, ხოლო 1963 წლის რეკომენდაციის R 118 (Termination Of Employment Recommendation) მე-6 პარაგრაფი ითვალისწინებს სამსახურიდან უკანონოდ გათავის-

სუფლებული პირის უფლებას მიუღებელ ხელფასზე.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების საკითხს საკა-საციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ ხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მი-აჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივრის შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის ნაწილში დაკმაყოფილების საფუძველი, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ისათვის იძულებითი გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების არსებითად ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც უნდა დაკმაყოფილდეს შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის სარჩელი და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის ნაწილში, მათვე აუნაზღაურდეთ იძულებითი განაცდურის სახით ხელფასი – სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე, ხოლო დანარჩენ ნაწილში საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის ნაწილში დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვე-

ტილება შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ისათვის იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებების მათ მიმართ არსებითად ბათილად ცნობაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ბათილად იქნას ცნობილი დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 25 დეკემბრის საოქმო გადაწყვეტილებები შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ის ნაწილში;

5. მოპასუხეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს მოსარჩეეების: შ. ი-ის, ი. ჭ-ისა და შ. კ-ისათვის იძულებითი განაცდურის სახით – სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე, იძულებით გაცდენილი მთელი პერიოდის განმავლობაში მიუღებელი ხელფასის სრულად ანაზღაურება;

6. შ. ი-ის, ი. ჭ-ის, შ. კ-ის, მ. ფ-ისა და მ. კ-ის საკასაციო საჩივარი მ. ფ-ისა და მ. კ-ის ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იქულებითი განაცდურის ანაზღაურება

განჩინება

№ბს-556-549(კ-კს-15)

8 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იქულებით განაცდურის ანაზღაურება და მორალური ზიანის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 18 დეკემბერს შ. გ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალციხის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან შ. გ-ის გადაყენების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №48 ბრძანების ბათილად ცნობა; ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე აღდგენა; ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება შ. გ-ის თანამდებობიდან გადაყენების დღიდან თანამდებობაზე მისი აღდგენის დღემდე; ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შ. გ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობის დადასტურების შემთხვევაში, ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შ. გ-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 3 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით შ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №48 განკარგულება ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან შ. გ-ის გადაყენების შესახებ. შ. გ-ე აღდგენილ იქნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

რის თანამდებობაზე. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაეკისრა განაცდური ხელფასის ანაზღაურება შ. გ-ის სასარგებლოდ სამი თვის თანამდებობრივი სარგო, სულ 4500 ლარის ოდენობით. სარჩელი არ დაკმაყოფილდა ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შ. გ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობისა და მოპასუხისათვის მორალური ზიანის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში. გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის დაკისრების ნაწილში დაუყოვნებლივ მიექცა აღსასრულებლად.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 25 დეკემბრის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება შ. გ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის იმ ნაწილში, რომლითაც მოთხოვნილია სარჩელის სრულად დაკმაყოფილება სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო იძულებით განაცდურის სრულად ანაზღაურება, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე; ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა შ. გ-ის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული მოპყრობისა და მოპასუხისათვის მორალური ზიანის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში; უცვლელად დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენის დაკმაყოფილებისა და დისკრიმინაციული მოპყრობისა და მოპასუხისათვის მორალური ზიანის დაკისრების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

აღნიშნული განჩინება საქმის წარმოების შეჩერების ნაწილში შ. გ-ემ გაასაჩივრა. მისი მითითებით, საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი არ არსებობდა. სასამართლოებს უნდა ეხელმძღვანელათ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწი-

ლის მიხედვით, თუ საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 30 აპრილის (თავმჯდომარე – ნათია ქუთათელაძე) განჩინებით მიემართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ეთხოვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობის დადგენა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია ასეთ შემთხვევაში შეაჩეროს საქმის წარმოება.

ამავე კოდექსის 281-ე მუხლის საფუძველზე კი, სასამართლო ვალდებულია, განახლოს საქმის წარმოება, თუ აღმოიფხვრა შეჩერების საფუძველი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნას ცნობილი ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან. გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან, შესაბამისად, მოცემულ საქმეზე საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი აღარ არსებობს და წარმოება უნდა განახლდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე, მე-6, 281-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შ. გ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივნისის განჩინება სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლების გამო იძულებით განაცდურის სრულად ანაზღაურების შესახებ შ. გ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაზე საქმის წარმოების შეჩერების ნაწილში (სარეზოლუციო ნაწილის 1-ლი პუნქტი) და საქმე იძულებით განაცდურის სრულად ანაზღაურების ნაწილში შ. გ-ის სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამუშაო ალდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გადანყვიტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-161-158(კ-15)

10 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე**

დავის საგანი: სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში ალდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ბ-მა სარჩელთ მიმართა სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრ სასამართლოს მოპასუხე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 02.06.2014წ. №02 217 ბრძანების ბათილად ცნობის, თანამდებობაზე ალდგენის და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების (02.06.2014 წლიდან სამსახურში ალდგენამდე პერიოდის განმავლობაში თვეში 560 ლარის ოდენობით) დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 27.10.2010წ. – 29.03.2013წ. მუ-

შაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე. 29.03.2013წ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის №502 ბრძანებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან დაწესებულებაში მიმდინარე რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით. თ. ბ-მა აღნიშნული ბრძანება გაასაჩივრა სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მაგისტრატ სასამართლოში, რომლის 01.07.2013წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. ბ-ის მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 26.09.2013წ. გადაწყვეტილებით თ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 29.03.2013წ. №502 ბრძანება და თ. ბ-ი აღდგენილ იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო მისი მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თ. ბ-ს აუზნებლად იქნა ცნობილი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, თ. ბ-ი აღდგენილ იქნა თანამდებობაზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 01.05.2014წ. №02 67 ბრძანებით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 04.04.2014წ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა გადავიდა საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაზე. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებისათვის ფინანსთა სამინისტროს სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის“ წარმომადგენლის მიერ 01.04.2014წ. და 02.04.2014წ. ჩატარდა ტრენინგები. თ. ბ-ს აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ამ პერიოდში თ. ბ-ი არ მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემის დაუფლების მიზნით მას სათანადო დახმარებას უწევდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი - ი. მ-ი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 02.06.2014წ. №02 217 ბრძანებით თ. ბ-ი გათავისუფლდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობიდან. ბრძანებას საფუძ-

ვლად დაედო სამხედრო აღრიცხვის, განვევის და რეზერვის სამსახურის უფროსის კ. ც-ის და ამავე სამსახურის აღრიცხვისა და განვევის განყოფილების უფროსის ი. ლ-ის მოხსენებითი ბარათები. აღნიშნული ბარათების მიხედვით თ. ბ-ი განყოფილების სახელით გასული დოკუმენტაციის წარმოებაში უშვებდა კორექტულ და შინაარსობრივ შეცდომებს, რის გამოც სამსახური იღებდა შენიშვნებს ცენტრალური გამწვევი კომისიიდან, ასევე თ. ბ-ი არ ფლობდა კომპიუტერთან მუშაობის საჭირო უნარ-ჩვევებს, არ იცოდა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის პროგრამით სარგებლობა, რის გამოც ვერ ახდენდა მასზე დაწერილი დავალებების შესრულებას. თ. ბ-ი სამსახურებრივი დავალებების შესრულებისას სარგებლობდა გარეშე პირის – შვილის დახმარებით, რომელიც რამდენიმეჯერ იმყოფებოდა სამსახურში დახმარების გასაწევად, ასევე თ. ბ-ი სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევების არქონის გამო სამსახურებრივ დოკუმენტაციას აწარმოებდა თანამშრომელთა დახმარებით.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მისი გათავისუფლების ბრძანება არის უკანონო და დაუსაბუთებელი, რადგან სამსახურში დაინიშნა მას შემდეგ, რაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა დაინერგა. შესაბამისად მას არ გაუვლია ტრენინგები, რის გამოც პირველივე დღეებიდან არ შეეძლო დამოუკიდებლად მუშაობა და დასახმარებლად რამდენჯერმე მიმართა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსს ი. მ-ს. გარკვეული დროის შემდგომ დაიწყო დამოუკიდებელი მუშაობა და აღარ მიმართავდა კონსულტაციის მისაღებად ი. მ-ს, რომლისთვისაც კონსულტაციის მისაღებად მიმართვის საშუალებას არ აძლევდნენ. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ ტრენინგი ადმინისტრაციის ბრალით, მისი სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის გამო არ გაიარა, ტრენინგის გავლის უზრუნველყოფა კი არა, კონსულტაციის მისაღებად მიმართვის უფლებას არ აძლევდნენ, მას არ ეძლეოდა საშუალება მიეღო შესაბამისი სწავლება ელექტრონულ პროგრამასთან სამუშაოდ, რადგან კ. ც-ი აღდგენისთანავე მოითხოვდა დამოუკიდებლად მუშაობას. ასეთი ვითარების მიუხედავად ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევას და არ არსებობდა სადავო ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველი.

სილნალის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაგისტრეტი სასამართლოს 29.09.2014წ. გადაწყვეტილებით, თ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქარ-

თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 02.06.2014წ. №02 217 ბრძანება, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმეზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაგისტრატმა სასამართლომ მიუთითა, რომ თ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი გახდა სამხედრო აღრიცხვის, განვევის და რეზერვის სამსახურის უფროსის კ. ც-ის და ამავე სამსახურის აღრიცხვისა და განვევის განყოფილების უფროსის ს. ლ-ის მოხსენებითი ბარათები, რაც სასამართლოს მოსაზრებით ვერ ჩაითვლება საკმარის მტკიცებულებად სამსახურებრივი მოვალეობათა უხეში დარღვევის გამო მოხელის სამსახურიდან გათავისუფლებისათვის. სასამართლომ მიუთითა, რომ მოხსენებითი ბარათები არ შეიცავენ საკმარის ინფორმაციას იმ საკითხის გადასაჭრელად უხეშად დაარღვია თუ არა მოსარჩელემ მასზე დაკისრებული მოვალეობები. მოხსენებითი ბარათებიდან არ ირკვევა თუ რაში ვლინდება თ.ბ-ის მიერ სამსახურის სახელით მომზადებულ დოკუმენტაციაში დამკვეთული შეცდომები ან/და რა სახის შენიშვნები იქნა მიღებული ზემდგომი დაწესებულებებიდან, გაურკვეველია ასევე ამ დაწესებულებათა დასახელება. არ დგინდება თუ რაში გამოიხატა კონკრეტულად საქმისწარმოების ერთიანი სისტემის კომპიუტერული პროგრამის სათანადოდ არცოდნის გამო თ. ბ-ის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გამოუკვლევია სრულყოფილად ის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები, რაც შეიძლება არსებობდეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, განვევის და რეზერვის სამსახურის უფროსის კ. ც-ის, ამავე სამსახურის აღრიცხვისა და განვევის განყოფილების უფროსის ს.ლ-ის და თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მოხსენებით ბარათებს შორის. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას არ გამოუკვლევია თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა თ. ბ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობათა უხეში დარღვევა და წარმოადგენდა თუ არა ეს დარღვევა უხეშ დარღვევას, რომელიც შეიძლებოდა გამხდარიყო მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საკმარისი საფუძველი. არ მომხდარა აგრეთვე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეო-

ბის სამხედრო აღრიცხვისა და განწვევის სამსახურის სხვა თანამშრომელთა გამოკითხვა იმის დასადგენად, საჭიროებდა თუ არა მოსარჩელე მათ დახმარებას, არ გამოკვლეულა თუ რა სახის შეცდომებს უშვებდა თ. ბ-ი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლის და გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს 29.09.2014წ.გადანწყვეტილება გასაჩივრდა თ. ბ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.12.14წ. განჩინებით თ. ბ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა სიღნაღის რაიონული სასამართლოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაგისტრატი სასამართლოს 29.09.2014წ. გადანწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით და დამატებით აღნიშნა, რომ სზაკ-ის 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოება და გადანწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არ გამოკვლეულა იყო თუ არა შესაძლებელი საქმისწარმოების ერთიანი სისტემის კომპიუტერული პროგრამის დაუფლება სპეციალური მომზადების კურსის გავლის გარეშე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პარალელურად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე სხვა ზომა, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად არღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იმსჯელოს არამხოლოდ იმაზე, თუ რაში გამოიხატა კონკრეტულად თ. ბ-ის მხრიდან სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა თუ არაჯეროვანი

შესრულება, არამედ იმაზეც, შეიცავდა თუ არა მისი ქმედება ისეთი სახის უხეშ დარღვევებს, რაც მისი დისციპლინური პასუხიმგებლობის მოქმედების გარეშე სამსახურიდან პირდაპირ განთავისუფლების საფუძველს ქმნიდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. ბ-ის მიერ. კასატორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ საქმეში დაცული მტკიცებულებები საკმარისად მიიჩნია იმის დასადგენად, რომ აქტი იყო უკანონო და სზაკ-ის მე-60¹ მუხლის მიხედვით ექვემდებარებოდა ბათილად გამოცხადებას. აღნიშნული ადასტურებს სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების დაუშვებლობას. იმ შემთხვევაში, თუ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება არ იქნება იმთავითვე ცნობილი უკანონოდ და დაუბრუნდება ადმინისტრაციულ ორგანოს, ასეთი პრაქტიკა წაახალისებს ორგანოს ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე გამოსცეს დაუსაბუთებელი აქტები, ორგანო დასაბუთებას მოიყვანს სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე საქმის დაბრუნების შემდეგ, რაც ეწინააღმდეგება სრულყოფილი გამოკვლევის შემდეგ გადაწყვეტილების გამოცემის და ადექვატურობის პრინციპებს. მოპასუხე ვერც ერთ კონკრეტულ დარღვევაზე ვერ უთითებს. სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ სააპელაციო პალატამ გამოიყენა სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი, მაშინ როდესაც შესაძლებელი იყო სასამართლოს მიერ სადავო ბრძანების მატერიალური კანონიერების შეფასება. საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისი საფუძველი იყო იმის დასადგენად, რომ გათავისუფლების საფუძველი იყო უკანონო და დაუსაბუთებელი. აღნიშნული მუხლის გამოყენება ხდება მაშინ, როცა არსებობს აქტის დაუყოვნებლივ ბათილად ცნობის ინტერესი. საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებისას გათავისუფლებულის ინტერესი ვერ იქნება გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა აქტის კანონიერების შეუმომნებლად, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გამოირიცხება სამუშაოზე აღდგენის შესაძლებლობის და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესაძლებლობა. ამ მუხლის გამოყენება არამართებულია, რადგან მოსარჩელე ერთხელ უკვე იყო უკანონოდ განთავისუფლებული თანამდებობიდან. აღდგენიდან ზუსტად ერთ თვეში მეორედ განთავისუფლება მიუთითებს ადმინისტრაციული ორგანოს გულგრილ დამოკიდებულებაზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულების მიმართ. სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება არ ნიშნავს თანამშრომლის აღდგენას 1 თვის ვადით. სასამართლომ გადაწყვეტი-

ლების მიღება დაავალა ორგანოს, რომელმაც აღდგენის შესახებ კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების შემდეგაც მეორედ გაათავისუფლა კასატორი, სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულება მიანდო იმ მხარეს, რომელსაც ასეთი ნება არ აქვს. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლომ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენებით მოსარჩელეს საკითხის გადაწყვეტაზე უთხრა უარი, რაც ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას. სააპელაციო პალატის მიერ არ იქნა გამოყენებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე და 127-ე მუხლები და საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლი, რომლებიც უშუალოდ საჯარო სამსახურის ანუ მუნიციპალიტეტის სამოქმედო კანონებია. ასევე კასატორი უთითებს, რომ დავის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რაც უშუალო შემხებლობაშია მოცემულ საკითხთან.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა დააზუსტა მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, სადავო აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე, იძულებითი განაცდურის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორმა და მისმა წარმომადგენელმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება. მოწინააღმდეგე მხარის – გამგეობის წარმომადგენელმა საკასაციო საჩივარი არ ცნო და მოითხოვა საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლის შესწავლის და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ თ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობამ ან არაჯეროვანმა შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენი-

ლი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა, მისი მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება, რაც სამომავლოდ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს, დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს ადეკვატური და დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქმის მასალებით არ დასტურდება თ. ბ-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების სისტემატური დარღვევები, ვინაიდან სამსახურიდან დათხოვნის შესახებ სადავო აქტის გამოცემამდე თ. ბ-ის მიმართ არ იყო გამოყენებული დისციპლინური ზემოქმედების ზომა. „თ. ბ-ის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის სადავო 02.06.2014წ. №02 217 ბრძანებით თ. ბ-ი სამსახურიდან გათავისუფლდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. სამსახურებრივი მოვა-

ლეობების უხეშ დარღვევას კანონი არ განმარტავს, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როდესაც დანესებულებას მნიშვნელოვანი მატერიალური თუ სხვა სახის ზიანი ადგება ან/და ამით მნიშვნელოვნად ეშლება ხელი ადმინისტრაციულ ორგანოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში, მნიშვნელოვნად ილახება მოქალაქეთა უფლებები, სამსახურის პრესტიჟი, დარღვევა გამოიხატება მოხელის მხრიდან მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შეგნებულ უგულებელყოფაში ან უხეშ დაუდევრობაში და სხვ. სასკ-ის მე-17 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი. მუშაკის პროფესიული ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან ობიექტური მონაცემებით უნდა დასაბუთდეს, დავის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრია შეუსაბამობის მტკიცების ტვირთი. მოპასუხე მხარემ – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვერ დაადასტურა თუ კონკრეტულად რაში გამოიხატებოდა კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილების საფუძველზე სამსახურში აღდგენილი მუშაკის მიერ სამსახურში აღდგენიდან ერთ თვეში სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევა, რომელიც ქმნიდა კასატორის სამსახურიდან უპირობო გათავისუფლების საფუძველს, არ დასტურდება ასევე თ.ბ-ის ქმედების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ან სხვა პირისათვის რაიმე სახის ზიანის მიყენება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას უნდა მოქმედებდეს კომპეტენტურად, აღნიშნული არის მოხელის არა უფლება, არამედ ვალდებულება. ამასთანავე, არასაკმარისი პროფესიული ჩვევები არ ინვესტ უცილობლად მუშაკის სამსახურიდან დათხოვნას, გათავისუფლების გარდა შესაძლებელია განისაზღვროს კვალიფიკაციის ამალღების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა, დაქვეითება, ალტერნატიული სამსახურის შეთავაზება. სამსახურიდან დათხოვნა გამართლებულია იმ შემთხვევაში, როდესაც დამსაქმებელს არ აქვს ობიექტურად სხვა ალტერნატიული სამსახურის შეთავაზების ან სხვა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენების შესაძლებლობა, ამასთანავე, მუშაკი უარს ამბობს კვალიფიკაციის ამალღებაზე, გადამზადებაზე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. საქმის მასალის მიხედვით თ.ბ-ის სამსახურიდან დათხოვნის საფუძველი გახდა მხოლოდ მოხსენებითი ბარათების შინაარსი, მანამდე მის

მიმართ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო დისციპლინური ზომების გატარებას ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე, მოხსენებითი ბარათებით არ დასტურდება თ. ბ-ის არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები, დაკავებულ თანამდებობასთან მოსარჩელის შეუსაბამობა. კ. ც-ის 14.05.14წ. მოხსენებით ბარათში მითითება იმაზე, რომ მოსარჩელე საჭიროებს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლის ი. მ-ის დახმარებას, არ ადასტურებს დარღვევას, ვინაიდან სწორედ რომ მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის 24.06.14წ. №02/237 ცნობის თანახმად ტრენინგგაუვლელ პირებს ავტომატიზებულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით აქტიურ კონსულტაციებს ი. მ-ი გაუწევდა. კ. ც-ის მოხსენებითი ბარათიდან არ დგინდება თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა საქმის წარმოების ერთიანი სისტემის კომპიუტერული პროგრამის სათანადოდ არცოდნის გამო თ. ბ-ის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დარღვევა. ასეთი არც სამსახურის უფროსის 28.05.14წ. მოხსენებითი ბარათიდან იკვეთება. რაც შეეხება ი. ლ-ის 13.05.14წ. მოხსენებით ბარათს, მისი ტექსტიდან დასტურდება, რომ ი. ლ-ი ითხოვს ზომების მიღებას დოკუმენტაციის წარმოების ხარისხის გასაუმჯობესებლად და არა თ. ბ-ის მიმართ დისციპლინური ზომის მიღებას. მოხსენებითი ბარათი არ შეიცავს მითითებას იმაზე, თუ რაში ვლინდება მომზადებული დოკუმენტაციის უხარისხობა, კონკრეტულად რომელი დოკუმენტი მომზადდა უხარისხოდ. მოხსენებითი ბარათებიდან არ იკვეთება კონკრეტულად რა შეცდომები დაუშვა მოსარჩელემ, რა ხარისხის იყო დარღვევები, მოხსენებით ბარათებს არ ერთვის მათში მითითებული გარემოებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულებები, ასეთი არც საქმის მასალებში არის დაცული. მოპასუხეს არ დაუკონკრეტებია თუ რაში ვლინდებოდა „სერიოზული კორექტული და შინაარსობრივი შეცდომები“, რის გამოც გამგეობასთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი ინსტანციებიდან განყოფილება ღებულობდა შენიშვნებს. მოპასუხე ვერ უთითებს რაიმე კონკრეტულ არსებით დარღვევაზე, ასეთად ვერ იქნება მიჩნეული რედაქციული, ტექნიკური ხასიათის ხარვეზები, თ. ბ-ის მიერ სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26.11.2010წ. №25 დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის დებულებით“ გათვალისწინებული სამსახურის თანამშრომლების ვალდებულებების, მთავარი სპეციალისტის თ. ბ-ისათვის გადახანჩილე-

ბული ფუნქცია-მოვალეობების შეუსრულებლობაზე. შესაბამისად არ დასტურდება უხეში დარღვევა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოხელის სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის თანახმად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წამოადგენს, შესაბამისად ის უნდა პასუხობდეს ადმინისტრაციული აქტისადმი წაყენებულ კანონისმიერ მოთხოვნებს. სზაკ-ის 53-ე მუხლის თანახმად აქტი დასაბუთებული უნდა იყოს. დარღვევისა და გამოყენებული ზომის ადექვატურობის თვალსაზრისით ბრძანების დასაბუთების მნიშვნელობა იზრდება პირის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სამსახურიდან დათხოვნისას, რასაც ადგილი აქვს მოცემულ შემთხვევაში. სადავო აქტში არ არის მოყვანილი სამსახურიდან თ. ბ-ის გათავისუფლების მოტივაცია მაშინ, როდესაც სზაკ-ის 53.2 მუხლის თანახმად, წერილობითი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რომელიც წინ უნდა უძღოდეს აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება დაკავშირებულია აქტის შინაარსთან, ადმინისტრაციულ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონეწრიგება უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედ საკანონმდებლო აქტებთან. განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტი უთითებს მხოლოდ კანონმდებლობის ნორმებს, რომლებიც საფუძვლად დაედო აქტის გამოცემას, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს რაიმე არგუმენტაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აქვთ ამ ნორმებს კავშირი კონკრეტულ შემთხვევასთან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის გენერალური, საკანონმდებლო რეგულაციის ინდივიდუალურ რეგულაციაში გადაყვანის საშუალება, შესაბამისად, მასში უნდა დასაბუთდეს გენერალური რეგულაციის (საკანონმდებლო ნორმების) ინდივიდუალურ შემთხვევასთან კავშირი. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტი ასეთ დასაბუთებას არ შეიცავს. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო აქტით გამოყენებული იქნა უკიდურესი ზომა – სამსახურიდან დათხოვნა, დათხოვნას საფუძვლად დაედო საჭირო უნარ-ჩვევების არ არსებობა, დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობა, რაც უკავშირდება შეფასების, დისკრეციის სფეროს, ხოლო სზაკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოითხოვს წერილობით დასაბუთებაში ყველა იმ ფაქტობრივი გარემოების მითითებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქტის გამოცემისას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო აქტი საჭიროებდა დასაბუთებას, მასში ყველა იმ ფაქტობრივი გარემოების აღნიშვნას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის. ბრძანება არ შეიცავს საქმესთან კავშირში მქონე დოკუმენტაციების ანალიზს, გადაცდომის სიმძიმის შეფასებას. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 02.06.2014წ. №02 217 სადავო ბრძანებით თ. ბ-ი 2014 წლის 3 ივნისიდან გათავისუფლდა თანამდებობიდან. საქმის მასალების თანახმად მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის პროგრამით სარგებლობის წესების არცოდნის და კომპიუტერთან მუშაობის საჭირო უნარჩვევების არქონის გამო და არა საერთოდ არაპროფესიონალიზმის გამო. საქმის მასალებით, კერძოდ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის 24.06.2014წ. №02/237 ცნობის თანახმად, საქმის ავტომატიზებული სისტემა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2014 წლის აპრილიდან დაინერგა. ავტომატიზებული სისტემით სარგებლობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის გამგეობის თანამშრომლებისათვის ტრენინგი ფინანსთა სამინისტროს სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენლის მიერ ჩატარდა 2014 წლის 1 და 2 აპრილს. თ. ბ-ს ტრენინგი არ გაუვლია. კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 26.09.13წ. გადაწყვეტილებით დადგენილად არის ცნობილი, რომ თ. ბ-ი 2010 წლის 27 ოქტომბრიდან 2013 წლის 23 მარტამდე მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობაზე. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 29.03.13წ. №502 ბრძანებით თ. ბ-ი გათავისუფლდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის სპეციალისტის თანამდებობიდან დაწესებულებაში მიმდინარე რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების მოტივით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 26.09.2013წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი გამგებლის 29.03.13წ. №502 ბრძანება და თ. ბ-ი აღდგენილ იქნა სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თანამშრო-

მელთა რიცხოვნობა არ შემცირებულა, ადგილი არ ჰქონია შტატების შემცირებას. თ. ბ-ი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 01.05.2014წ. №02 67 ბრძანებით აღდგენილი იქნა სამსახურში. ამდენად, ტრენინგის გაუვლელიობა არ მომხდარა თ. ბ-ის ბრალით, ტრენინგის ჩატარების პერიოდში თ. ბ-ი, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის შემდეგ, ჯერ არ იყო აღდგენილი სამსახურში. საქმეში დაცული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 24.06.14წ. №02/237 ცნობის მიხედვით, იმ თანამშრომლებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს ტრენინგის გავლა, კონსულტაციებს უწევდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი ი. მ-ი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ თ. ბ-მა არაერთხელ მიმართა დასახმარებლად საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსს ი. მ-ს, რომლისგანაც რამდენიმეჯერ კონსულტაციის მიღების შემდეგ დამოუკიდებლად აგრძელებდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, რაც დასტურდება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის ი. მ-ს, რომლისგანაც რამდენიმეჯერ კონსულტაციის მიღების შემდეგ დამოუკიდებლად აგრძელებდა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას, რაც დასტურდება საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის 29.05.14წ. მოხსენებითი ბარათით. გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსის 29.05.14წ. მოხსენებითი ბარათის თანახმად, ტრენინგის გაუვლელიობის გამო თ. ბ-ს პირველივე დღიდან არ შეეძლო ელექტრონული პროგრამის დამოუკიდებლად გამოყენება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თ. ბ-ი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დასაქმებულია 2010 წლის 27 ოქტომბრიდან, თ. ბ-ი თავის ფუნქციებს ასრულებდა ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, მისი პროფესიული ჩვევები შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას, საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ მისი ფუნქციები არ შეცვლილა, კომპიუტერთან მუშაობის უნარებს თანამშრომლების დახმარებით დაეუფლა. საქმის მასალებით არ დასტურდება გაზრდილი მოთხოვნების გამო ადმინისტრაციის მხრიდან მუშაკის კვალიფიკაციის ამაღლების, საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობა, ახალ პირობებთან ადაპტაციისთვის, გაზრდილი საკვალიფიკაციო სტანდარტის ამაღლებისათვის ადმინისტრაციის მიერ ხელშემწყობი შრომის რეჟიმის შექმნა. „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის 7.1 მუხლის თანახმად, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარების და ღირებულებების შესაძენად, პირს უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათ-

ლება. საკასაციო სასამართლო დაუშვებლად თვლის შტატიანი თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნას სათანადო უნარ-ჩვევების არქონის გამო მანამ, სანამ არ იქნება ამონაწერი მუშაკის შრომის ახალ პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებული მუშაკის გადამზადების შესაძლებლობები. ამდენად, არ დასტურდება სამსახურში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების საფუძველზე სამსახურში აღდგენილი მუშაკის აღდგენიდან ერთ თვეში სამსახურიდან დათხოვნის კანონისმიერი საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისციპლინური გადაცდომა, სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული დარღვევა განსხვავდება არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო თანამდებობრივი შეუსაბამობისაგან. თუ პირველ შემთხვევაში მოხელე ბრალეულად არღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე შემთხვევაში მოხელეს არ ძალუძს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება არასათანადო ცოდნის, არასაკმარისი ჩვევების გამო. სამსახურის უფროსის 14.05.14წ. №419-02 მოხსენებითი ბარათის თანახმად თ. ბ-ი არ ფლობს კომპიუტერთან მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, არ იცის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის პროგრამა, რის შედეგადაც ვერ ახდენს დავალებების შესრულებას. არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო გათავისუფლების საფუძველი („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხ.) განსხვავდება დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან (კანონის 99-ე მუხ.). მოცემულ შემთხვევაში თ. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლება ფაქტობრივად მოხდა არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო, მიუხედავად ამისა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობდა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების წინაპირობები. სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს იგი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლო ამ გადანყვეტილებას იღებს თუ

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი. სასკ-ის 32.4 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მაშინ, როდესაც სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება, შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება. მოცემულ საქმეზე დავის გადაწყვეტისათვის დადგენილია საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები, სახეზე არ არის სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების წინაპირობა. სააპელაციო პალატამ სასკ-ის მე-4, მე-19 მუხლების დანაწესების მიუხედავად, არ მიუთითა სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების დადგენის შესაძლებლობის გამომრიცხავ გარემოებაზე. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ დავის გადასაწყვეტად საჭირო კონკრეტულად დასადგენი საქმის ფაქტობრივი გარემოებების მითითების გარეშე დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხზე ახალი აქტის გამოცემა. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამოტივაციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს მოსაზრებებს საქმის სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით, რაც თავისთავად არ ქმნის დავის გადაუწყვეტლად სადავოდ გამხდარი აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საკითხის ხელახალი გამოკვლევისათვის დავალების საფუძველს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის 32.4 მუხლი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამართლებრივი საკითხის გასარკვევად დავალების გაცემის პირობას. საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლევა სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველის არსებობის საკითხის გასარკვევად. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატის მიერ არ არის დადგენილი თ. ბ-ის მხრიდან რაიმე გადაცდომის ჩადენა, ხოლო სააპელაციო პალატის მიერ სადავო აქტის ბათილად ცნობა შედეგად იწვევს მის სამსახურში აღდგენას, დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით ადმინისტრაციული ორგანოსათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება. ის გარემოება, რომ თ. ბ-ის მომზადებულ დოკუმენტაციაში შეცდომების დაშვება, ზემდგომი დაწესებულებებიდან შენიშვნების მიღება, საქმისწარმოების ერთიანი სისტემის კომპიუტერული პროგრამის სათანადოდ არცოდნის გამო სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევა არ საბუთდება, არის არა

სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე აქტის ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი, არამედ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენის საფუძველი. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ თ. ბ-ის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება უკვე დადასტურდა კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებით, სამსახურში აღდგენიდან ერთ თვეში სამსახურში დათხოვნის რაიმე სამართლებრივი საფუძველი არ იკვეთება, ასეთ პირობებში სადავო აქტის 32.4 მუხლის საფუძველზე გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღების დავალება არ ამორიცხავს ადმინისტრაციის მიერ სადავო აქტის მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას. საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყო იმის დასადაგენად, რომ გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არის დაუსაბუთებელი და არ ემყარება კანონმდებლობის მოთხოვნებს, შესაბამისად, არ არსებობს სადავო საკითხის გადაუწყვეტლად აქტის ბათილად ცნობის და ადმინისტრაციული ორგანოსათვის საქმის გარემოებების შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი. შესაბამისად, სახეზეა სზაკ-ის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 20.03.13წ. №53 ბრძანებით დამტკიცდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა, ხსენებული ბრძანებით ძალადაკარგულად ჩაითვალა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 20.07.13წ. №105 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებული იყო მანამდე არსებული საშტატო ნუსხა. გამგეობის სადავო 02.06.14წ. №02 217 ბრძანების გამოცემის შემდეგ საკრებულოს 25.07.2014წ. №38 დადგენილებით დამტკიცდა გამგეობის ახალი საშტატო ნუსხა, რომლითაც გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურს ეწოდა სამხედრო აღრიცხვის, განვევისა და მობილიზაციის სამსახური, ახალი საშტატო განრიგით სამსახურში მთავარი სპეციალისტის შტატის რაოდენობა გაზრდილია, შესაბამისად, მოსარჩელე უნდა იქნას აღდგენილი სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირი უფლებამოსილია მოითხოვოს იძულებითი განაცდური, გათავისუფლების აქტის ბათილად ცნობა ინვეეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 31.07.2015წ. №2/3/630 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა თ. ბ-ის საკონსტიტუციო სარჩელი და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონო გათავისუფლება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ინვეეს ზიანის სრული ანაზღაურების ვალდებულებას. კონსტიტუციის ხსენებული დებულება იმპერატიულად ადგენს მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას, მისი რეგულირების სფეროში ექცევა ნებისმიერი ზარალი, რომელიც გამონეულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების თანამდებობის პირთა ქმედებით. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული ზარალის სრული ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს არა კონკრეტული სუბიექტის მიერ წინასწარ დადგენილი ზღვრული ოდენობით, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირისათვის რეალურად მიყენებული ზარალის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულებას. შესაბამისად თ. ბ-ს იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო, კერძოდ, თანამდებობრივი სარგო, რომელიც ხელფასის შემადგენელი პრემიებისა და დანამატებისაგან განსხვავებით გაიცემა მოხელის ინდივიდუალური მახასიათებლების ან/და კვალიფიკაციის მიუხედავად, უნდა აუნაზღაურდეს სრული მოცულობით, კერძოდ სამსახურიდან განთავისუფლების პერიოდიდან სამსახურში აღდგენამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თ. ბ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება, ახალი გადაწყვეტილებით თ. ბ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს სრულად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. თ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 30.12.2014 წ. განჩინება და საქმეზე მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. თ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს. ბათილად იქნეს ცნობილი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 02.06.2014წ. №02217 ბრძანება „თ. ბ-ის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და განვევის სამსახურის მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“. თ. ბ-ი აღდგენილ იქნეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, განვევის და მობილიზაციის სამსახურში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე;
4. თ. ბ-ის მოთხოვნა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდეს. მოპასუხეს – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალოს აუნაზღაუროს თ. ბ-ს იძულებითი განაცდური – სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ფარგლებში

გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ბს-560-553(2კ-კს-15)

15 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე**

დავის საგანი: იძულებით განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ხ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში ქ. თბილისის მუ-

ნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა.

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 ოქტომბრის №2/42 ბრძანება თ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში;

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას თ. ხ-ის გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობებზე აღდგენა განუსაზღვრელი ვადით;

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას თ. ხ-ისთვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა, მისი თანამდებობაზე არ ყოფნის მთელი პერიოდისათვის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე;

4. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას თ. ხ-ისთვის მის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით თ. ხ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 ოქტომბრის №2/42 ბრძანება თ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების ნაწილში; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაევალა თ. ხ-ის გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაევალა თ. ხ-ისთვის არაუმეტეს 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების გადახდა; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას დაევალა თ. ხ-ისთვის მის მიერ განეული ხარჯების, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით შედგენისთვის 12 ლარის; ადვოკატის დახმარებისთვის განეული ხარჯის – 600 ლარის; მგზავრობის ხარჯის – 10 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ორივე მხარემ გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივლისის განჩინებით თ. ხ-ისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, გასაჩივ-

რებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგებლის 2009 წლის 9 ნოემბრის №01-3/101 განკარგულებით თ. ხ-ი დაინიშნა ქალაქ თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობის ქვედა ჩულურეთის ... უბნის სამსახურის (განყოფილების) უფროსის მოადგილის თანამდებობაზე სამი თვის გამოსაცდელი ვადით;

„ქ.თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-4 გადაწყვეტილებით ქ. თბილისის ტერიტორია დაიყო 10 რაიონად (გლდანი, დიდუბე, ვაკე, ისანი, კრწანისი, მთაწმინდა, ნაძალადევი, საბურთალო, სამგორი, ჩულურეთი) და შეიქმნა შესაბამისი ახალი 10 გამგეობა;

ქალაქ თბილისის ძველი თბილისის გამგეობის ქვედა ჩულურეთი, ... უბნის სამსახურის (განყოფილების) უფროსის მოადგილე თ. ხ-ი ქალაქ თბილისის ჩულურეთის რაიონის გამგეობის 2013 წლის 1 მარტის №2/51 განკარგულებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის საფუძველზე, გადაყვანილ იქნა ქალაქ თბილისის ჩულურეთის რაიონის ტერიტორიული ერთეულის – ქვემო ჩულურეთის უბნის სამსახურის (განყოფილების) ... – გამგებლის ... თანამდებობაზე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსის პირველი მოადგილის 2014 წლის 2 ოქტომბრის №10-6/14275265 წერილის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურს დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩულურეთის რაიონის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა დანიშვნის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადება. დასკვნის თანახმად, დაფიქსირდა მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის დროს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა, კერძოდ, ვინაიდან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურში მიიღება თანამდებობაზე დანიშვნით ან არჩევით, ხოლო 43-ე მუხლით დაცულია მოხელის უფლება, რომ მისი თანხმობის გარეშე დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ არ მოხდეს მისი გადაყვანა სხვა თანამდებობაზე და განსაზღვრულია დამსაქმებლის უფლება, გადაიყვანოს პირი ერთი პოზიციიდან მეორეზე მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისად, აუცილ-

ბელია მოხელის ახალ თანამდებობაზე დანიშვნის აქტში მითითებული იყოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე და 30-ე მუხლებით განსაზღვრული სამსახურში მიღების ვადა, რადგანაც კანონის ამ მუხლებითაა განსაზღვრული მოხელისათვის თანამდებობაზე დანიშვნით შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭება. დასკვნის თანახმად, განსახილველ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მხოლოდ 43-ე მუხლით მოხდა მოხელისათვის ახალ თანამდებობაზე განუსაზღვრელი ვადით შესაბამისი უფლებამოსილების მინიჭება, რითაც დაირღვა იმავე კანონის 21-ე და 29-ე მუხლების მოთხოვნები. 29-ე მუხლის თანახმად, 2012 წლის 13 აგვისტოდან პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. 30-ე მუხლი კი ამ შემთხვევისთვის გამონაკლისს არ უშვებს;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგებლის 2014 წლის 15 ოქტომბრის №2/42 ბრძანებით თ. ხ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე და 23-ე მუხლების მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს უფლება უშუალოდ მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში და თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში. აგრეთვე, ყველას აქვს შრომის სამართლიანი პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება, რაც გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მათ შორის, არ დაუშვას პირის შრომითი პირობების იმგვარად დადგენა, რომელიც სახელმწიფო სამსახურში პირის შრომის უფლებას არამართლზომიერად შეზღუდავს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით დადგენილია, რომ თ. ხ-ი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობის 2014 წლის 15 ოქტომბრის №2/42 ბრძანებით. გათავისუფლების ბრძანების საფუძველად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2014 წლის 7 ოქტომბრის დასკვნა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ „ქალაქ თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-4 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისის ტე-

რიტორია დაიყო 10 რაიონად (გლდანი, დიდუბე, ვაკე, ისანი, კრწანისი, მთაწმინდა, ნაძალადევი, საბურთალო, სამგორი, ჩუღურეთი) და შეიქმნა 10 რაიონის გამგეობა. ქალაქ თბილისის მერიას დაევალა გამგეობების რეორგანიზაცია და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება. რაიონის გამგეობების რეორგანიზაციის, ქალაქ თბილისის მერიის სისტემის გამართული და შეუფერხებელი საქმიანობის მიზნით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ქალაქ თბილისის რაიონების საზღვრების დადგენის და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 25 იანვრის №1-4 გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში შემავალი რაიონის გამგეობების რეორგანიზაცია, შტატების შემცირების გარეშე.

სააპელაციო სასამართლოს აზრით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც საბურთალოს რაიონის გამგეობაში რეორგანიზაცია განხორციელდა შტატების შემცირების გარეშე, საბურთალოს რაიონის გამგებლის დროებითი მოვალეობის შემსრულებელს ჰქონდა უფლება, ძველი თბილისის რაიონის გამგეობიდან მოხელე გადაეყვანა ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში. ამასთან, რეორგანიზაციის შემდეგ, მოსარჩელე ადრე დაკავებული თანამდებობის ანალოგიურ თანამდებობებზე გადაიყვანეს. მოსარჩელე რეორგანიზაციამდე ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობაში განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელე იყო. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნის საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. როდესაც დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, მოხელე შეიძლება გაათავისუფლდეს სამსახურიდან ამ კანონის 97-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან ძველი თბილისის რაიონის გამგეობის რეორგანიზაციას შტატების შემცირება არ მოჰყვოლია, რეორგანიზაცია მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი ვერ გახდებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად მიუთითა „საჯარო სამსახურის შესა-

ხებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის ანალიზით ირკვევა, რომ კონკურსი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ცხადდება და თანამდებობაზე, რომელსაც განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელე იკავებს, კონკურსის გამოცხადება დაუშვებელია. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ დაკავებული თანამდებობები არ შეიძლება გამხდარიყო ვაკანტური, შესაბამისად კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო უკვე შევსებულ თანამდებობებზე და მასში მონაწილეობა მიეღოთ განუსაზღვრელი ვადით ამავე თანამდებობებზე დანიშნულ მოხელეებს, რაც აშკარად უკანონო იქნებოდა; ამდენად, გაურკვეველია, კანონის რომელი მოთხოვნები დაირღვა რეორგანიზაციის შემდეგ მოსარჩელების ჩუღურეთის რაიონის გამგეობაში გადაყვანით, ან როგორ უნდა ემოქმედა ასეთ ვითარებაში გამგებელს.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ 2012 წლის 29 ივნისის №6611-რს კანონს, რომლითაც განისაზღვრა თანამდებობაზე დანიშვნისას კონკურსის ჩატარების სავალდებულობა, დადგენილი არ არის, უკუძალა არ მიენიჭებია, შესაბამისად, განუსაზღვრელი ვადით დანიშნულ მოხელეს აღნიშნული კანონის მოთხოვნები ვერ შეეხებოდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გამოდის, რომ იმ სამსახურებში, სადაც რეორგანიზაცია არ ჩატარდა, ყველა განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოხელე ჩვეულებრივ განაგრძობს მუშაობას, ხოლო იმ სამსახურებში, სადაც, გარკვეული გარემოებების გამო, საჭირო გახდა რეორგანიზაციის ჩატარება (შტატების შემცირების გარეშე), თანამდებობები უნდა გამოცხადებულიყო ვაკანტურად და მათ შესავსებად გამოცხადებულიყო კონკურსი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონის ამგვარი განმარტება მიუღებელია, ვინაიდან აშკარად უსამართლო და დისკრიმინაციულია.

რაც შეეხება თ. ხ-ის მოთხოვნას განაცდურის სრულად ანაზღაურებასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოპასუხეს უნდა დაევალოს თ. ხ-ისთვის 3 თვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტ თ. ხ-ის მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვე-

ტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მას უარი ეთქვა ადვოკატის მომსახურების ხარჯის სრულად ანაზღაურებაზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა და დადგენილად მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და საპროცესო ხარჯების ანაზღაურება, ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სახეზე იყო არაქონებრივი დავიდან წარმოშობილი ქონებრივი დავა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადვოკატის ხარჯების ანაზღაურების საკითხზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადების მოთხოვნაც.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოს გარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განუვლი ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი ფაქტობრივად განუვლი ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამგვარი მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მხარის მოთხოვნის საფუძველზე თვითონაც შეუძლია გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მხარის მიერ განუვლი ხარჯების ოდენობა, თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია. განსახილველ შემთხვევაში, საქმის სირთულისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ მოპასუხეს სწორად დააკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ადვოკატისათვის განუვლი ხარჯის ანაზღაურება 600 ლარის ოდენობით.

განჩინება საკასაციო საჩივრით ორივე მხარემ გააასაჩივრა.

თ. ხ-ი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით იძულებით განაცდურის ანაზღაურების გადამწყვეტილების აღსრულებამდე დაკისრებას. კასატორი თ. ხ-ი ასევე ასაჩივრებს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების განჩინებას (რომლითაც არ დადგინდა საქმის განხილვა დაჩქარებული წესით) და სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების შესახებ განჩინებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დასაბუთებულია კასატორის მოთხოვნა იძულებით განაცდურის სრულად ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება, რომელიც ადგენდა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს უნდა მიეცეს არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოხელე თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, როდესაც არსებობს გათავისუფლების აქტის ბათილობის საფუძველი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. კოდექსი განმარტავს იმ პროცედურულ დარღვევებსაც, რომლებიც შეიძლება აქტის ბათილად ცნობას დაედოს საფუძვლად; ამდენად, კანონმდებლობა პირის თანამდებობიდან გათავისუფლების აქტის ბათილობის ორი სახის საფუძველს გამოყოფს: 1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის მატერიალური საფუძველები – აქტი არ ემყარება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველს; 2. ფორმალური საფუძველები – აქტი გამოცემულია კანონით დადგენილი პროცედურული ნორმების არსებითი დარღვევით. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნ-

ქტში ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, საჯარო მოხელეთათვის განსაზღვრული გარანტიის პირობებში წარმოიშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი იმპერატიულად ადგენს მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას.

ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ ადმინისტრაციული აქტი თ. ხ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბათილადაა ცნობილი და ეს უკანასკნელი სასამართლომ დაკავებულ თანამდებობაზე აღადგინა. სასამართლო გადაწყვეტილება ამ ნაწილში კანონიერ ძალაშია შესული, შესაბამისად, დადასტურებულია თ. ხ-ის გათავისუფლების უკანონობა და ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საფუძველი, რაც მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც, მათ შორის – სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1982 წლის C 158 კონვენციის (Termination of Employment Convention) მე-10 მუხლი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს ანიჭებს უფლებას სასამართლოს მიერ მისთვის სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციაზე, ხოლო 1963 წლის რეკომენდაციის R 118 (Termination Of Employment Recommendation) მე-6 პარაგრაფი ითვალისწინებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებას მიუღებელ ხელფასზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

მოცემულ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება არ საჭიროებს მტკიცებულებათა დამატებით შეფასებას ან ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, ამდენად, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საჭიროება არ არსებობს და საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ხ-ს სრულად უნდა აუნაზღაურდეს იძულებით განაცდური თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

კასატორი ასევე ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს წინმსწრებ განჩინებებს: თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინებას, რომლითაც საქმის დაჩქარებული წესით განხილვა არ დადგინდა და სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადების თაობაზე ამავე სასამართლოს 2015 წლის 16 ივლისის განჩინებას.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს (მოსამართლეს) შეუძლია მხარის მოთხოვნით მიიღოს გადაწყვეტილება საქმის დაჩქარებული წესით განხილვის შესახებ. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რა საპროცესო ვადების შემცირების ხარჯზე შეიძლება მოხდეს საქმის დაჩქარებულად განხილვა.

აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმის დაჩქარებული წესით განხილვა დასაშვებია მხოლოდ მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ამასთან, საბოლოო გადაწყვეტილებას ამ წესით საქმის განხილვის თაობაზე იღებს სასამართლო. სასამართლოს შესაფასებელია, მხარის ინტერესების გათვალისწინებით, რამდენად არსებობს დაჩქარებული სამართალწარმოების განხორციელების საფუძველი. უარი ამ წესით საქმის განხილვაზე უნდა იყოს დასაბუთებული. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია აპელანტის შუამდგომლობაზე და არ შეუფასებია ამ ნორმის გამოყენების საჭიროება, მაგრამ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციაში საქმის განხილვა დასრულებულია, სააპე-

ლაციო საჩივრის წარმოებაში მიღების განჩინების გაუქმების ინტერესი არ არსებობს.

რაც შეეხება სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადებას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ ცხადდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. მოსამართლე უფლებამოსილია, სათათბირო ოთახში გაუსვლელად გამოაცხადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. თუ საქმე არსებითად რთული გადასაწყვეტია, გამონაკლის შემთხვევაში, მოსამართლე უფლებამოსილია, გადადოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადება გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს ერთი თვისა.

ამ ნორმის საფუძველზე, კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ გამოაცხადოს საქმის ზეპირი მოსმენის დასრულებისთანავე, არამედ გადადოს გონივრული ვადით, თუ საქმე რთული გადასაწყვეტია. ამ გარემოების შეფასება მინდობილია საქმის განმხილველ მოსამართლეზე/კოლეგიურ შემადგენლობაზე. სწორედ მათ უნდა შეაფასონ, რამდენად რთულ ფაქტობრივ ან სამართლებრივ პრობლემასთანაა დაკავშირებული კონკრეტული საქმე და რა დრო შეიძლება დასჭირდეს სასამართლოს გადაწყვეტილების მისაღებად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ ამ ნორმით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში იმოქმედა და საპროცესო კანონმდებლობა სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების გადადებით არ დაურღვევია, შესაბამისად, ამ ნაწილში კასატორის პრეტენზია დაუსაბუთებელია.

კასატორი შუამდგომლობს პროცესის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარ-

მომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

ამავე კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლოს გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის განეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად განეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი, სათაურის მიუხედავად, ითვალისწინებს პროცესის ხარჯების განაწილების წესს, რადგანაც ადვოკატის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების პრინციპი ამავე მუხლის პირველი ნაწილითაა განსაზღვრული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. ეს დასკვნა გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შინაარსიდან, რომლის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი შეიძლება დადგეს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის წარმოება მთავრდება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). ასეთ დროს სასამართლო შესაბამისი განჩინებით გადაწყვეტს პროცესის ხარჯების განაწილების საკითხს.

მოცემულ შემთხვევაში, თ. ხ-ი ითხოვს მოპასუხეს დაეკისროს საკასაციო ინსტანციაში განეული იურიდიული მომსახურების საფასურის – 2400 ლარის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ საკასაციო საჩივარს არ ერთვის ადვოკატის დახმარების საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ამ ხარჯის განევა არ დასტურდება და მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

კასატორი ასევე ითხოვს სასამართლოს გარეშე სხვა ხარჯების – საკასაციო საჩივრის და სხვა წერილობით მოთხოვნების

მომზადებაზე დახარჯული ცელულოზის ქაღალდის ფურცლების საფასურის, საკასაციო საჩივრის, თანდართული დოკუმენტების ასლების გადაღების ღირებულების და ა.შ მოპასუხისათვის დაკისრებას, მაგრამ საკასაციო საჩივარს ამგვარი ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულება არ ერთვის, შესაბამისად, კასატორის შუამდგომლობა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივლისის განჩინება მოპასუხისათვის თ. ხ-ის სასარგებლოდ არაუმეტეს 3 თვის იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. თ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს;

4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას თ. ხ-ის სასარგებლოდ დაეკისროს იძულებით განაცდურის – თანამდებობიდან გათავისუფლებიდან სამსახურში აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის კუთვნილი შრომის ანაზღაურების გადახდა;

5. დანარჩენ ნაწილში თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის
ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის
ანაზღაურება**

განჩინება

№ბს-764-750(კ-კს-14)

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. მ-ემ სარჩელით მიმართა წყალტუბოს მაგისტრატ სასამართლოს მოპასუხეების წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 მაისის №280 ბრძანების წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის – ა. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ სადავო ბრძანებაში მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული ბრძანება უკანონოა, ვინაიდან მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია დისციპლინურ გადაცდომას, კერძოდ: სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეულ შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას; დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეულ შექმნას და ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელის (ბრალეული ქმედება) ჩადენას. გასაჩივრებულ ბრძანებაში არსად არ არის მითითებული, რომ მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევას.

წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 18 ივნის-

სის გადაწყვეტილებით ა. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 2 მაისის №280 ბრძანება; ადმინისტრაციულ ორგანოს დავალა გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა საკითხის ხელახალი განხილვისა და ურთიერთმჯერების საფუძველზე.

სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ 2013 წლის დეკემბრიდან ა. მ-ე მუშაობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე და მის საკუთრივ სფეროში შედიოდა: სამხედრო აღრიცხვისა და განვების სამსახურის საქმიანობა, სამხედრო შეკრებები, სამხედრო განვების საკითხები, ტერიტორიული ორგანოს საქმიანობა, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან საქმიანობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხები, შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება, გარე ვაჭრობის რეგულირება, ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება გამგებლისათვის წარსადგენად საკურაციო დარგებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ, გამგებლისა და საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზება და კონტროლი. ასევე, გამგებლის სხვა დავალებების შესრულება და ანგარიშვალდებულება გამგებლის წინაშე. სასამართლომ მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე ასევე დადგინდად მიიჩნია, რომ ა. მ-ე ყოველთვის გამოირჩეოდა დისციპლინითა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებით.

სასამართლოს განმარტებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად: საკრებულოს თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებებს პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ; ამავე კანონის 39-ე მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებებს გამგებლის (მერიის) მოსამსახურეთა ნახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ამავე კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სასამართლომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე, 95-ე

და 96-ე მუხლებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას წინ უძღოდა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გარკვეული საქმიანობის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა გამგებლის მოადგილის – ა. მ-ის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების არაჯეროვნად შესრულების ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა-დადასტურებას. დადგენილია, რომ ა. მ-ეს ტელეფონით აცნობეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ. მართალია, ის გამოცხადდა საკრებულოში, თუმცა საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია და შესაბამისად, არც სხდომის ოქმი ჩაუბარებია. მას სურვილიც, რომ ჰქონოდა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებისა, აღნიშნული მაინც ვერ მოხდებოდა იმ მიზეზით, რომ სასამართლოს მოსაზრებით, კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოება სრულყოფილად არ ჩატარებულა, უფრო მეტიც, საერთოდ არ ჩატარებულა. სასამართლოს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, 1. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია: ა) გამოითხოვოს დოკუმენტები; ბ) შეაგროვოს ცნობები; გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს; დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი; ე) დანიშნოს ექსპერტიზა; ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები; ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს. ამავე კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) 29-ე მუხლის თანახმად, 1. კომისიის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარი მაინც. გადაწყვეტილების მიღება ხდება კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტით. თუ რამდენიმე კომისია იხილავს საკითხს ერთობლივ სხდომაზე, კენჭისყრა თითოეული კომისიისათვის ცალ-ცალკე ტარდება; 2. კომისიის სხდომაზე გადანაცვტილება მიიღება ღია კენჭისყრით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება. კომისიის გადანაცვტილებით, ცალკეულ განსახილველ საკითხზე შეიძლება ჩატარდეს ფარული კენჭისყრა; 3.

კომისიის სხდომაზე განხილული პროექტები შეიძლება მიჩნეულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განხილვისთვის მომზადებულად, არასაკმარისად მომზადებულად ან მოუმზადებლად; 4. კომისიის სხდომაზე განხილვა აგრეთვე კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებათა აქტუალური საკითხები, პეტიციები, მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები, თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებები, ინფორმაციები და შემონმებათა შედეგები; 5 კომისია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით იღებს რეკომენდაციებს, დასკვნებს, წინადადებებს, ხოლო ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით – განწყვეტილებებს.

სასამართლოს მოსაზრებით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ზემოაღნიშნული კანონისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის იმპერატიული მოთხოვნების დარღვევა და უგულებელყოფა, კერძოდ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის ოქმში მითითებულია, რომ სამანდატო, საპროცედურო, ეთიკისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომას ესწრებოდა თავმჯდომარე კ. ფ-ა, მოწვეული სპეციალისტი გ. თ-ი და ა. მ-ე. მიუხედავად იმისა, რომ ოქმში ფიქსირდება ა. მ-ისათვის გამგებლის წერილის არსის გაცნობა და განმარტება შესაბამისი არგუმენტების წარმოდგენის შესაძლებლობისა, კომისია უფლებამოსილი არ იყო მხოლოდ თავმჯდომარის მონაწილეობით განეხილა საკითხი, ასევე არ დალოდებოდა ა. მ-ის მხრიდან მტკიცებულებების წარდგენას და წერილის შედგენის დღესვე მიეღო სარეკომენდაციო გადაწყვეტილება საკრებულოს თავმჯდომარისათვის ა. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. სასამართლოს მოსაზრებით, კომისიის თავმჯდომარეს – კ. ფ-ს საკრებულოს დებულებით გათვალისწინებული წესით ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ ჰქონდა.

სასამართლოს განმარტებით, საყურადღებოა, ასევე, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის საქმიანობაზე კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებისას ამ სამსახურის წამყვანი სპეციალისტის – გ. ს-ის დასკვნას საფუძვლად დაედო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი და მე-4 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები. დებულება სამსახურის უფლებამოსილებებში მიუთითებს ამ სამსახურის უფლებას სამსახურებრივი გადაცდომების ჩადენის ფაქტებთან

დაკავშირებით, სამსახურებრივი შემომნმების ჩატარებას და სა-
თანადო დასკვნების წარდგენას. თუმცა იმისათვის, რომ აუდი-
ტისა და მონიტორინგის სამსახურმა მოქმედება დაიწყო აუ-
ცილებელია გადაცდომის არსებობა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე
მუხლის შესაბამისად: დისციპლინურ გადაცდომას წარმოად-
გენს: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებ-
ლობა ან არაჯეროვნად შესრულება; ბ) დანესებულებისათვის
ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოების საშიშ-
როების ბრალეული შექმნა; გ) ზოგადზნეობრივი ნორმების წი-
ნააღმდეგ ან მოხელისა და დანესებულების დისკრედიტაციის-
კენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), გა-
ნურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ.

სასამართლოს განმარტებით, მონიტორინგის სამსახურის
მოვალეობაა, ჯერ იპოვოს შეუსრულებელი სამუშაო, განუხორ-
ცილებელი დავალება და ამის შემდეგ გაარკვიოს ხელშემშლე-
ლი ფაქტორები და შეუსრულებლობაზე პასუხისმგებელი პირი.
მართებული არ არის, როცა რომელიმე პერსონის ირგვლივ ხდე-
ბა ფაქტობრივი გარემოებების მოძიება მის მიმართ გასატარე-
ბელი სადამსჯელო ღონისძიებებზე დასკვნის შესადგენად. სა-
სამართლოს განმარტებით, აუდიტისა და მონიტორინგის სამ-
სახური მოხელეთა ქმედებებზე ზედამხედველობის ორგანოა
და არა პერსონების მიმართ სადამსჯელო ოპერაციების გამა-
ტარებელი ორგანო. დებულების პირველი მუხლის მე-6 ნაწი-
ლის შესაბამისად: სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს
კანონიერების, საჯაროობის, საქართველოს მოქალაქეთა კანო-
ნიერი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მოსახლეო-
ბის წინაშე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და
თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების, საზოგადოებ-
რივი აზრის გათვალისწინების, თავის საქმიანობაში მოქალაქე-
თა მონაწილეობის პრინციპების დაცვით; სამსახურის მიზნებს
შორის უპირველესი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის
წინაშე არსებული რისკების დადგენა, რისკების მართვისათვის
შემუშავებული შიდა კონტროლის სისტემების, ფინანსური მარ-
თვისა და კონტროლის სისტემების ადეკვატურობისა და ეფექ-
ტიანობის გამოკვლევა და შეფასებაა. ამიტომ, სასამართლო მი-
იჩნევს, რომ ვიდრე აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური გამ-
გებელს წარუდგენს დასკვნებსა და რეკომენდაციებს, აუცი-
ლებელია უფრო სრულყოფილი და ყოველმხრივი მოკვლევის ჩა-
ტარება, უფრო მიზნობრივი სამუშაოს შესრულება, რათა სამ-
სახურის მიერ მიღებულმა დასკვნებმა მცდარი შეხედულება

არ შეუქმნან გამგებელსა და თვითმმართველი ერთეულის გადანაცვლებების მიმღებ პირებს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამგებელი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს; ამიტომ სასამართლოსათვის გაუგებარია, რატომ მიმართა გამგებელმა საკრებულოს მისი მოადგილის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის – სამსახურიდან გათავისუფლების მოთხოვნით. თუკი გამგებელი თვლიდა, რომ მას მოადგილე – ა. მ-ე არ წარუდგენდა დასკვნებსა და რეკომენდაციებს საკურაციო დარგებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, მას თავად შეეძლო გაეთავისუფლებინა მოსარჩელე თანამდებობიდან.

არც ეთიკისა და მონიტორინგის სამსახურს და არც საკრებულოს შესაბამის კომისიას ადმინისტრაციული წარმოების განხორციელებისას, არ გამოურკვევიათ ის ფაქტები და გარემოებები, ჰქონდა თუ არა ადგილი გამგებლის მხრიდან მისი მოადგილისათვის რაიმე მოთხოვნის დაყენებას და უგულბეღყოფილ იქნა თუ არა გამგებლის რომელიმე დავალება ა. მ-ის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, დავის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოიცა საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ასევე არსებითად არის დარღვეული მისი მომზადების კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის მიხედვით დავის გადაწყვეტლად აქტის ბათილად ცნობის საფუძველს წარმოადგენს.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. მ-ემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვე-

ტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. მ-ისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება და მისი შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 2 მაისის №280 ბრძანება; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას ა. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ა. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისთვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. ე.ი. მოხელე შეიძლება განთავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური გადაცდომისათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. ამავე კანონის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომისათვის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა. სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებულ ბრძანებაში მითითებულია, რომ ა. მ-ის თანამდებობიდან განთავისუფლება მოხდა მის მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო. ამასთან, განთავისუფლებამდე მის მიმართ არ მოქმედებდა და არ მოქმედებს არც ერთი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. მართალია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოხელე შეიძლება

გათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც, თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. თუმცა სადავო 2014 წლის 2 მაისის №280 გასაჩივრებულ ბრძანებაში არსად არ არის მითითებული, რომ მ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევას, აგრეთვე ბრძანების გამოცემას საფუძვლად არ უდევს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაძლებელი იყო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება, რადგან საქმის განხილვის დროს დადასტურდა, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი არ ჰქონია დისციპლინურ გადაცდომას, არც სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეულ შეუსრულებლობას, არც არაჯეროვნად შესრულებას და არც უხეშ გადაცდომას.

სასამართლოს განმარტებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 39-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გამგებლის (მერის) არყოფნისას, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას ან გათავისუფლებისას გამგებლის (მერის) მოვალეობის საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს გამგებლის (მერის) მოადგილე. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 22 აგვისტოს №16 წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მე-9 მუხლის თანახმად: 1. გამგებელს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი; 2. გამგებლის მოადგილეები გამგებლის მიერ სამუშაოთა განაწილებისა ან/და შესაბამისი სფეროს მიხედვით კურატორობენ გამგეობის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების მუშაობას; ხელს უწყობენ გამგებელს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში; 3. გამგებლის ერთ-ერთი მოადგილე გამგებლის მოვალეობას საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს ამ დებულების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 9 ოქტომბრის №620 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

2013 წლის 30 დეკემბრის №876 ბრძანებით განსაზღვრულია გამგებლის მოადგილის სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი. არც ერთი ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული აქტი აპელანტს არ ავალდებულებდა წერილობით წარედგინა გამგებლისათვის დასკვნები და რეკომენდაციები შესაბამის დარგში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. მით უფრო, საკანონმდებლო ნორმატიული აქტები არ შეიცავენ ასეთ დანაწესს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან გამოცემულ ბრძანებაში ადმინისტრაციული წარმოების მასალებში და არც სასამართლოში წარმოდგენილ სარჩელში არ არის წარმოდგენილი არც ერთი ოფიციალური წერილობითი მტკიცებულება, რითაც დადასტურდება, რომ ა. მ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის საკურატორო დარგში არსებული საქმიანობების არასრულყოფილად შესრულებას და ან შეუსრულებლობას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არ შესულა საჩივარი მოქალაქეთა და სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან ა. მ-ზე დაკისრებულ ფუნქციათა არაჯეროვანი შესრულების გამო. მას არ დადებია არც ერთი დისციპლინური სახდელი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისათვის ან საერთოდ შეუსრულებლობისათვის.

სააპელაციო პალატამ დადგინა, რომ ა. მ-ის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილედ დანიშვნის დღიდან, 2011 წლის ივლისიდან გათავისუფლების დღემდე არც ერთი დღე არ გაუცდენია სამსახური. რაც შეეხება ოპერატიულ თათბირებს, შესაბამის დღეებში იმყოფებოდა სამსახურში და ასრულებდა მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს. ოპერატიულ თათბირზე დაუსწრებლობის საკითხი შეთანხმებული ჰქონდა (მისი განმარტებით) უშუალო უფროსთან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელთან.

სააპელაციო პალატის განმარტებით, კანონით რეგლამენტირებული არ არის კონკრეტულად რა ითვლება სამსახურებრივ მოვალეობათა ისეთ უხეშ დარღვევად, რის გამოც მოხელეს სამსახურიდან შედარებით მსუბუქი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების გარეშეც პირდაპირ დაითხოვენ. ამასთან ერთად სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევას შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი დარღვევა, რომელმაც გამოუსწორებელი შედეგი მიაყენა სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობის, ანდა მოქალაქეების ინსტერესებს, ანდა საჯარო სამსახურის პრესტიჟსა და ავტორიტეტს. ასეთ ფაქტს კი ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოხელის სამსა-

ხურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანება წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემული უნდა იქნეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დაცვით. დადგენილია, რომ სადავო აქტის გამოცემის მომენტისათვის აპელანტის მიმართ არ მოქმედებდა დისციპლინური ზემოქმედების რაიმე სხვა სახის ღონისძიება და საქმის გარემოებები ადასტურებს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არ წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობის უხემ დარღვევას, რის გამოც სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო აქტი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სააპელაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს განთავისუფლების უკანონოდ ცნობა, განთავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ამავე კანონის 127-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხელეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით თვის განმავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკითხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელეს შეუძლია სასამართლოში მოითხოვოს ბრძანების, განკარგულების, გადაწყვეტილების ან მოქმედების ნაწილობრივ ან მთლიანად არაკანონიერად აღიარება. ამდენად, ა. მ-ის სარჩელი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს.

აქვე სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვერ გაიზიარებს აპელანტის – ა. მ-ის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის გათავისუფლების უფლება ჰქონდა მხოლოდ მუნიციპალიტეტის გამგებელს და არა საკრებულოს თავმჯდომარეს, კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ და „ნ“ ქვეპუნქტების თანახმად, გამგებელი (მერი) საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და თვითმმართველი ერთეულის

ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს; მ) საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს გამგეობის (მერიის) მოსამსახურეთა ნახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა და ვ) სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. ამავე კანონის 93-ე მუხლის თანახმად, მოხელე სამსახურიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც მისი სამსახურში მიღების უფლება აქვს. სასამართლომ ასევე მიუთითა ამავე კანონის 99-ე მუხლზე და აღნიშნული მუხლების ანალიზიდან გამომდინარე მიიჩნია, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელი კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს და გამგეობის სხვა მოხელეებს, მაგრამ ამავე დროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, გამგებლის (მერის) მიერ წარდგენილი წარდგინების შემთხვევაში უფლება აქვს გამგეობის (მერიის) თანამშრომლების ნახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. დისციპლინურ პასუხისმგებაში შედის მოხელის სამსახურიდან გათავისუფლება. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სადავო ადმინისტრაციულ აქტს ვერ განიხილავს, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ აქტს.

რაც შეეხება აპელანტის, ა. მ-ის მესამე მოთხოვნას – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს და განმარტავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალუ-

რად გამოცხადების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს, თუ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც ის ძალადაკარგულად აცხადებს. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-60 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამგეობის/მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამგებლის/მერის პირველ მოადგილესა და მოადგილეს უფლებამოსილებები უწყდებათ ახალი გამგებლის/მერის არჩევისას (უფლებამოსილების დაწყებისას). ანუ საქართველოს ადრე მოქმედი კანონის ფარგლებში დანიშნული გამგებლის/მერის პირველი მოადგილისა და მოადგილის უფლებამოსილების ვადა, ეს ვადა კი ავტომატურად წყდება ახალი გამგებლის არჩევისას, მისი უფლებამოსილების დაწყებისთანავე. დადგენილია და უდავო ფაქტობრივი გარემოებაა ის, რომ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ საქართველოს ყველა რაიონში არჩეულ იქნა ახალი გამგებელი, მათ შორის, წყალტუბოს რაიონშიც.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ახალი გამგებლის არჩევამ გამოიწვია გამგებლის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილების კანონისმიერი შეწყვეტა, რის შემდეგაც პირველი მოადგილისა და მოადგილეების დანიშვნა წარმოადგენს არჩეული გამგებლის დისკრეციულ უფლებამოსილებას. უდავოა ასევე ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს უკვე ამოქმედებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ახალი რედაქცია (კოდექსი). შესაბამისად, სასამართლო ვერ გაცდება თავის კომპეტენციის ფარგლებს და ვერ დაავალბებს არჩეულ გამგებელს ისეთი ქმედების განხორციელებას, რაც კანონიდან გამომდინარე მხოლოდ მის დისკრეციას განეკუთვნება. კერძოდ, კანონის ძალით უკვე უფლებაშენწყვეტილი პირის ხელახლა დანიშვნას. შესაბამისად, არ არსებობს ა. მ-ის სასარჩელო მოთ-

ხოვნის სამუშაოზე აღდგენის სამართლებრივი საფუძველი.

ა. მ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ა. მ-ის წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა; გაიცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას ა. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა წყალტუბოს გამგეობამ და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 2 მაისის №280 ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურების სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ბათილად ცნობა და ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ სადავო ბრძანებაში არსად არ არის მითითებული, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის უხეშ დარღვევას და ბრძანების გამოცემას საფუძვლად არ უდევს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 ნაწილი და აღნიშნულთან მიმართებაში განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 79-ე მუხლის შესაბამისად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. ამავდროულად კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად

მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშეც თუ იგი უხეშად დაარღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს. კანონი ზუსტ დეფინიციას თუ რა წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევას არ განმარტავს. იმას თუ რა წარმოადგენს სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევას, განსაზღვრავს დანესებულების ხელმძღვანელი. აღნიშნული ფაქტის შემთხვევაში კი დანესებულების ხელმძღვანელმა, როგორც გამგებლის 2014 წლის 2 მაისის №1745 წერილიდან ირკვევა მიიჩნია, რომ სამსახურებრივი მოვალეობების უხეში დაარღვევა თანამდებობრივი ინსტრუქციით განსაზღვრული დასკვნებისა და რეკომენდაციების წარუდგენლობა თავის საკურაციო დარგებში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ და ასევე ინიციატივების წარუდგენლობა საზედამხედველო სფეროების ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდასთან დაკავშირებით და მასზე დაკისრებული მოვალეობების უპასუხისმგებლოდ შესრულებაა. მართალია, ბრძანების დასაბუთებაში არ არის მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი, მაგრამ მითითებულია 79-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, რომელიც გულისხმობს თანამდებობის პირის სამსახურიდან გაათავისუფლებას ამ კანონის საფუძველზე. ამ კანონის საფუძველზე კი, თავისთავად გულისხმობს 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენებას (მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დისციპლინური პასუხისმგებლობის მოქმედების გარეშე, თუ იგი უხეშად არღვევს სამსახურებრივ მოვალეობებს). კასატორი ასევე მიუთითებდა, რომ არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, იმასთან მიმართებაში, რომ მონმეებმა დაადასტურეს, რომ მ-ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივი მოვალეობების განუხრელ შეუსრულებლობას. კასატორის განმარტებით, მუნიციპალიტეტის ყოფილმა საკრებულოს თავმჯდომარემ და თავმჯდომარის მოადგილემ დაადასტურეს სამსახურში მათი მუშაობის პერიოდში მ-ის მხრიდან დაკისრებული მოვალეობების განუხრელი შესრულება და არა იმ პერიოდში, როდესაც მის მიმართ იქნა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა. ასევე საქმის მასალებში ნათლადაა ასახული მოსარჩელის მიერ დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის შესახებ.

რაც შეეხება სარჩელის იძულებითი განაცდურის ნაწილში დაკმაყოფილებას, კასატორის განმარტებით, ასევე არამართებულია და მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 პუნქტზე, რომელიც ცალსახად მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე, ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტი მიუთითებს, რომ მოხელის მიერ განაცდური ხელფასი ამ კანონის 112-ე მუხლით დადგენილი ოდენობით არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მოხელეს აღადგენს სამსახურში. სხვა შემთხვევაში განაცდური არ ანაზღაურდება. სასამართლომ არასწორად გამოიყენა იძულებითი განაცდურის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების დასაბუთებისას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. მ-ის სამსახურში აღდგენის სამართლებრივი საფუძვლების არარსებობის გამო, კანონშეუსაბამოა ა. მ-ისათვის იძულებითი განაცდურის დაკისრება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 1 ივნისის №151 ბრძანებით ა. მ-ე დაინიშნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილედ 2 თვის გამოსაცდელი ვადით.

2014 წლის 2 მაისის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის №280 ბრძანებით გამგეობის მოადგილედ ა. მ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. მ-ისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა წყალტუბოს მაგისტრეტი სა-

სამართლოს 2014 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილება და მისი შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 2 მაისის №280 ბრძანება; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას ა. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ა. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაც საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია ა. მ-ეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინებით ა. მ-ის წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა; გაიცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაეკისრა ა. მ-ის სასარგებლოდ იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია იმსჯელოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე მხოლოდ წარმოდგენილი – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრის ფარგლებში, კერძოდ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 2 მაისის №280 ბრძანების ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდურის დაკისრების ანაზღაურების ნაწილში.

განსახილველი დავის საგანს ა. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 მაისის №280 ბრძანების კანონიერების დადგენა, სამუშაოზე აღდგენა და მთელი გაცდენილი პერიოდისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ა. მ-ის გათავისუფლების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 მაი-

სის №280 ბრძანების უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის შესახებ და მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

საკაცაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშედარების საფუძველზე. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა ზუსტად ყოფილიყო დადგენილი, ა. მ-ის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი დისციპლინურ გადაცდომას, ან რაში გამოიხატებოდა მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევა, საქმეში არ მოიპოვება არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ მის საკურატორო დარგში არსებული საქმიანობების არასრულყოფილად შესრულებას ან შეუსრულებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის აუცილებლობა, კერძოდ, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. დარღვევისა და გამოყენებული ზომის ადეკვატურობის თვალსაზრისით ბრძანების დასაბუთების მნიშვნელობა იზრდება მით უფრო მაშინ, როდესაც პირი სამსახურიდან თავისუფლდება დისციპლინური გადაცდომის საფუძველით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, იმასთან მიმართებაში, რომ მართალია, სადავო ბრძანების დასაბუთებაში არ არის მითითებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 99-ე მუხლის მე-3 პუნქტი, მაგრამ მითითებულია 79-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, რომელიც გულისხმობს თანამდებობის პირის სამსახურიდან გათავისუფლებას ამ კანონის საფუძველზე, „ამ კანონის საფუძველზე“ კი თავისთავად გულისხმობს 99-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევისათვის მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, თუ მის მიმართ უკვე მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ნებისმიერი სხვა ზომა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტი). საქმის მასალებით კი არ დასტურდება, რომ ა. მ-ის მიმართ სამსახურიდან დათხოვნის შესახებ სადავო აქტის გამოცემამდე გამოყენებული ყოფილიყო დისციპლინური ზემოქმედების რაიმე სახის ზომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებები ყოველმხრივ, ობიექტურად უნდა გამოეკვლია, რაც უზრუნველყოფდა მოსამსახურის ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ დაცვას, კადრების სტაბილურობის, როგორც საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპების შესრულებას. ადმინისტრაციული ორგანო

ვალდებული იყო შეეფასებინა და ემსჯელა იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი. მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ ისეთი სახის არსებით დარღვევას წარმოადგენს, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

რაც შეეხება კასატორის მეორე არგუმენტს ა. მ-ისათვის 3 თვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, იმ დროს, როდესაც ა. მ-ე არ იყო აღდგენილი სამსახურში აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს უნდა მიეცეს არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოხელე თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, როდესაც არსებობს გათავისუფლების აქტის ბათილობის საფუძველი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. კოდექსი განმარტავს იმ პროცედურულ დარღვევებსაც, რომლებიც შეიძლება აქტის ბათილად ცნობას დაედოს საფუძველად. ასეთ საფუძველად დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიიჩნევა სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“. ამდე-

ნად, კანონმდებლობა პირის თანამდებობიდან გათავისუფლების აქტის ბათილობის ორი სახის საფუძველს გამოყოფს: 1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის მატერიალური საფუძველები – აქტი არ ემყარება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველებს; 2. ფორმალური საფუძველები – აქტი გამოცემულია კანონით დადგენილი პროცედურული ნორმების არსებითი დარღვევით.

საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში“.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, საჯარო მოხელეთათვის განსაზღვრული გარანტიის პირობებში წარმოიშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი იმპერატიულად ადგენს მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. მათ შორის – სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1982 წლის C 158 კონვენციის (Termination of Employment Convention) მე-10 მუხლი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს ანიჭებს უფლებას სასამართლოს მიერ მისთვის სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციაზე, ხოლო 1963 წლის რეკომენდაციის R 118 (Termination Of Employment Recommendation) მე-6 პარაგრაფი ითვალისწინებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებას მიუღებელ ხელფასზე.

ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე,

რომ ადმინისტრაციული აქტი ა. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბათილადაა ცნობილი და, შესაბამისად, დადასტურებულია ა. მ-ის გათავისუფლების უკანონობა, რაც მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს, საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127.6 მუხლზე, რომელიც არ არის არაკონსტიტუციურად ცნობილი, მაგრამ განმარტავს, რომ ვინაიდან, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 12 სექტემბრის განჩინებით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას დაევალა ა. მ-ის სასარგებლოდ იძულებითი გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელოს არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ანაზღაურება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების ნაწილის დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის 16 სექტემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ნაწილშიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშეუსაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 და 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის
ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის
ანაზღაურება**

განჩინება

№ბს-756-742(კ-14)

17 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ლ. მურუსიძე, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა; იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ჩ-მა სარჩელით მიმართა ცაგერის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ და მოითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14 განკარგულებისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 მარტის №1/პ-028 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურებას.

მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა, რომ 2012 წლის 21 ნოემბერს დაინიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე. მისი სახელფასო განაკვეთი განისაზღვრა 2100 ლარით. 2014 წლის 6 მარტს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა განცხადებით მიმართეს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის – მ. ჩ-ის გათავისუფლების თაობაზე – დაკისრებული მოვალეობების არადაამაკმაყოფილებლად შესრულების საფუძველზე.

მოსარჩელის განმარტებით, 2014 წლის 6 მარტს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით მონვეულ იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2014 წლის 10 მარტს, 12:00 საათზე. 2014 წლის 6 მარტს გამოიძახეს თბილისში, რის გამოც გააფორმა მივლინება. მეორე დღეს, 7 მარტს გახდა ცუდად, მიმართა ოჯახის ექიმს და 2014 წლის 7 მარტიდან გავიდა ბიულეტენზე. როგორც კი მისთვის ცნობილი გახდა რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ განცხადებით მიმართა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოითხოვა სხდომის გადადება მის გამოჯამრთელებამდე, მიუხედავად ამისა 10 მარტს სხდომა მაინც ჩატარდა, რომელზეც განიხილებოდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი და რომელსაც ესწრებოდა მისი წარმომადგენელი, რომელმაც აცნობა მისი ავადმყოფობის თაობაზე და ასევე წარადგინა განცხადება სხდომის გადადების თაობაზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 მარტის №1/პ-028 ბრძანებით გათავისუფლდა ცაგერის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.1 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ცაგერის რაიონულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე – მ. ჩ-მა უარი თქვა სამსახურში აღდგენაზე.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 მარტის №14 განკარგულება და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 მარტის №1/პ-028 ბრძანება; ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის ანაზღაურება 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, დადგენილია, რომ მ. ჩ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14 განკარგულება, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩ-ის საქმიანობის არადაკმაყოფილებელი საქმიანობისათვის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 მარტის №1/პ-028 ბრძანების საფუძველზე, მ. ჩ-ი გათავისუფლდა თანამდებობიდან მისი საქმიანობის არაადამაკმაყოფილებლად შეფასების გამო.

რაიონულმა სასამართლომ საქმეში არსებული მასალების შეფასების საფუძველზე მიიჩნია, რომ მ. ჩ-ის მიმართ ადმინისტრაციული წარმოება არ ჩატარებულა სრული მოცულობით. დაინტერესებულ პირს არ მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო საკითხის განხილვაში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციული აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. მართალია, მოსარჩელისათვის ცნობილი იყო რიგგარეშე სხდომის მონაწილეობის შესახებ, მაგრამ იგი 2014 წლის 7 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე (№690536, ექიმი მ. ბ-ე). 2014 წლის 10 მარტს მ. ჩ-ის წარმომადგენელმა – თ. ა-მა საკრებულოს წარუდგინა მოსარჩელის განცხადება სხდომის გადადების თაობაზე, ვინაიდან, მას ავადმყოფობის გამო არ შეეძლო მასში მონაწილეობის მიღება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება ჰქონდა სამართლებრივი ურთიერთობა შეეჩერებინა დროებითი შრომისუნარობის დროს. აღნიშნული კანონის 89-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებას დროებითი შრომისუნარობის დროს. რაიონულმა სასამართლომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის საფუძველზე განმარტა, რომ საკრებულოს წევრების მოხსენებითი ბარათი №76, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული სამართლებრივი დარღვევის შესახებ დათარიღებულია 6 მარტით, მეორე დღეს 7 მარტს მოსარჩელეს გაეგზავნა წერილი, რათა წარმოედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია დასმულ საკითხებთან დაკავშირებით. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 7 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით მოსარჩელე იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, რის გამოც მან განცხადებით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს სხდომის გადადების თაობაზე, თუმცა 2014 წლის 10 მარტს, საკრებულოს თავმჯდომარის №1/პ-028 ბრძანებით მ. ჩ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან მისი საქმიანობის არაადამაკმაყოფილებლად შეფასების გამო ისე, რომ ამ უკანასკნელს ადმინის-

ტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა არ მიუღია, შესაბამისად, არ მიეცა საშუალება ესარგებლა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებით – თავი დაეცვა მის მიმართ წაყენებული ბრალდებებისაგან. რაიონულ სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა კანონდარღვევით. ასევე გასაჩივრებული აქტი არ შეიცავს წერილობით დასაბუთებას, რაც ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილით, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძველია.

სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით ასევე დადგენილი არ არის, თუ რაში გამოიხატება მოსარჩელის მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის სამართლებრივი დარღვევა, უფრო მეტიც, სასამართლოს სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე მოწვეულმა მოწმეებმა ვერ დაადასტურეს მ. ჩ-ის მიერ მისი საქმიანობის პერიოდში ჩადენილი სამართლებრივი დარღვევის ფაქტების სინამდვილე.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის სხდომაზე დასწრება ნიშნავს თვით მხარის მონაწილეობას საკითხის განხილვაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით. ამავდროულად მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი, რაც წარმოდგენილ საქმის მასალებში არ არის.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. სასამართლოს მთავარ სხდომაზე, მოსარჩელის წარმომადგენელმა უარი თქვა აღდგენაზე იმ მოტივით, რომ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ქ. ცაგერში არჩეულ იქნა გამგებელი. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. ჩ-ის თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა უკანონოდ, რის გამოც უნდა დაკმაყოფილდეს მოსარჩელის მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრი-

ვი აქტების ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

ამავე კანონის 112-ე მუხლის შესაბამისად, „სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე უფლებამოსილია მოითხოვოს გათავისუფლების უკანონოდ ცნობა, გათავისუფლების საფუძვლის შეცვლა და თანამდებობრივი სარგო. იძულებითი განაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს მიეცემა არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

2014 წლის 13 აგვისტოს ცაგერის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. ჩ-მა და მოითხოვა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 15 აგვისტოს განჩინებით მ. ჩ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის №3/2 გადაწყვეტილება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. ჩ-ის სასარგებლოდ განაცდურის 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობის დაკისრების ნაწილში მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა ცაგერის რაიონული სასამართლოს დასკვნები საქმის სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და დამატებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე განმარტა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებით პირის სამართლებრივი მდგომარეობის მოსალოდნელი, შესაძლო გაუარესების შემთხვევაში, კანონმდებელი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს დაინტერესებული მხარის არა მხოლოდ ჩაბმას ადმინისტრაციულ წარმოებაში, არამედ მისი

სავალდებულო მონაწილეობის უზრუნველყოფასაც. დაინტერესებული პირის მონაწილეობის სავალდებულოება განპირობებულია იმით, რომ მხარეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას მიეცეს შესაძლებლობა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება მისაღები აქტის მიმართ, ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია რათა თავიდან იქნეს აცილებული საკითხის ცალმხრივად გადაწყვეტა. აღნიშნული პრინციპი გამყარებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლითაც.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში მ. ჩ-ი იმყოფებოდა რა საავადმყოფო ფურცელზე და საკრებულოს თავმჯდომარისათვის განცხადებითაც ჰქონდა მიმართული არ მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში და იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც აუარესებდა მის სამართლებრივ მდგომარეობას, გამოეხატა საკუთარი მოსაზრება, წარედგინა მტკიცებულებები, დაეყენებინა შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, მით უფრო იმ დროს, როცა საკრებულოს წევრები არადაამაკმაყოფილებლად აფასებდნენ მის საქმიანობას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსაზრება, რომ მოსარჩელის წარმომადგენლის სხდომაზე დასწრება ნიშნავდა თვით მხარის მონაწილეობას საკითხის განხილვაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო ისეთი ფაქტები და გარემოებები, რომელიც არ იქნა სათანადო წესით გამოკვლეული. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე და 112-ე მუხლებზე და მიუთითა, რომ საქმის მასალებით დადგენილია, რომ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა უარი თქვა აღდგენაზე იმ საფუძვლით, რომ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ქ. ცაგერში არჩეულ იქნა ახალი გამგებელი. შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ჩ-ის თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა უკანონოდ, რის გამოც მართებულად იქნა დაკმაყოფილებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოსარჩელის მოთხოვნა ადმინისტრაციულ-სამართლებრი-

ვი აქტების ბათილად ცნობისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორი საკასაციო საჩივარში მიუთითებდა, რომ 2014 წლის 10 მარტს – მ. ჩ-ის გათავისუფლების ბრძანების მიღებისას საავადმყოფო ფურცელი წარმოდგენილი არ ყოფილა, ამასთან, რომც წარმოედგინა აღნიშნული არ შეიძლებოდა გამხდარიყო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის საფუძველი. მთავარი გარემოება, რაც ასევე გამორიცხავს სარჩელის საფუძვლიანობას, არის ასევე ის გარემოება, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ წარმოებას ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარე უზრუნველყოფილი იყო შესაძლებლობით მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში წარმომადგენლობის მეშვეობით. კასატორის მოსაზრებით, არამართებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-ე მუხლზე მითითება, ასევე არასწორია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილზე მოსარჩელის აპელირება, კასატორის განმარტებით, აღნიშნულ მუხლში საუბარია პირის დროებით შრომისუუნარობაზე, თუ იგი ავად გახდება სამსახურთან დაკავშირებით, ანუ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებიდან გამომდინარე ამ შემთხვევაში უნარჩუნდება თანამდებობა, რაც კონკრეტულ შემთხვევასთან არავითარ კავშირში არ იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის №1-150 ბრძანებით დაინიშნა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

№1-025 ბრძანებით მოწვეულ იქნა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 2014 წლის 10 მარტს, 12:00 საათზე; დღის წესრიგში იყო საკითხი: ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩ-ის საქმიანობის არადამაკმაყოფილებლად შეფასების გამო თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

2014 წლის 10 მარტს მ. ჩ-მა განცხადებით მიმართა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და იმის გამო, რომ იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე ითხოვა სხდომის გადადება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 მარტის რიგგარეშე სხდომის განკარგულების თანახმად, თანხმობა მიეცა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩ-ის საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი საქმიანობისათვის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 მარტის №1/3-028 ბრძანებით ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მ. ჩ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2014 წლის 10 მარტიდან მისი საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი შეფასების გამო.

2014 წლის 7 მარტიდან 14 მარტის ჩათვლით მ. ჩ-ი იმყოფებოდა საავადმყოფო ფურცელზე, დიაგნოზი – არტერიული ჰიპერტენზია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით მ. ჩ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 მარტის №14 განკარგულება და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 მარტის №1/3-028 ბრძანება. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის ანაზღაურება სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

საქმის მასალებით ასევე დადგენილა, რომ ცაგერის რაიონულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა უარი თქვა სამსახურში აღდგენაზე.

ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინებით მ. ჩ-ის განცხადება დაკმაყოფილდა; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის №3/2 გადაწყვეტილება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მ. ჩ-ის სასარგებლოდ 3 თვის განაცდურის ანაზღაურების დაკისრების შესახებ მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ცაგერის რაიონ-

ნული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით ცაგერის რაიონული სასამართლოს მიერ 2014 წლის 15 აგვისტოს გაცა სააღსრულებო ფურცელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის განჩინებით ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილია იმსჯელოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე მხოლოდ წარმოდგენილი – ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, კერძოდ, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 მარტის №14 განკარგულებისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 მარტის №1/პ-028 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში და იძულებითი განაცდურის დაკისრების ანაზღაურების ნაწილში.

განსახილველი დავის საგანს მ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 მარტის №14 განკარგულებისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 მარტის №1/პ-028 ბრძანების კანონიერების დადგენა, სამუშაოზე აღდგენა და მთელი გაცდენილი პერიოდისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას მ. ჩ-ის გათავისუფლების შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 10 მარტის №14 განკარგულებისა და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 10 მარტის №1/პ-028 ბრძანების უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის შესახებ და მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თა-

ობაზე.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. ჩ-ის გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №14, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მ. ჩ-ის საქმიანობის არაადამაკმაყოფილებელი საქმიანობისათვის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასებით, საქმის მასალების თანახმად ადმინისტრაციულმა ორგანომ ისე გაათავისუფლა მ. ჩ-ი თანამდებობიდან და ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიმართვის საფუძველზე ისე მიიჩნია მ. ჩ-ის საქმიანობა არაადამაკმაყოფილებლად, რომ მ. ჩ-ს არ მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის საფუძველზე განმარტავს, რომ ადმინისტრაციული წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოება წარმოადგენს პროცედურას – წესების ერთობლიობას, თუ რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობენ მისი მონაწილენი. ადმინისტრაციულ წარმოებაში პირის მონაწილეობა უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაინტერესებული პირის მოლოდინს, რომ მის მიმართ გამოიცეს კანონიერი და დასაბუთებული აქტი, არამედ მის უფლებასაც, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი მომზადების სტადიებზე, რათა ობიექტური ზეგავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც შესაძლოა მის მიმართ დადგეს.

ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილი ჩატარება ანუ მხოლოდ სათანადო პროცედურის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება დიდწილად განაპირობებს მის კანონიერებას, დასაბუთებულობასა და მიზანშეწონილობას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მ. ჩ-ს უნდა მისცემოდა საპროცესო უფლებებით სათანადოდ სარგებლობის შესაძლებლობა, მატერიალურ-სამართლებრივი უფლებების დაცვის მიზნით. ვინაიდან, ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი – მმართველობის განხორციელება კანონიერების პრინციპის საფუძველზე, ბოჭავს ადმინისტრაციულ ორგანოებს – მიიღონ კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება გულისხმობს არა მხოლოდ მის მატერიალურ-სამართლებრივ, არამედ ფორმალურ-სამართლებრივ სტანდარტებთან შესაბამისობას (ფორმალური და მატერიალური კანონიერება).

რაც შეეხება კასატორის მეორე პრეტენზიას მ. ჩ-ისათვის 3 თვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან მიმართებაში, აღნიშნულზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს უნდა მიეცეს არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოხელე თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, როდესაც არსებობს გათავისუფლების აქტის ბათილობის საფუძველი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. კოდექსი გან-

მარტავს იმ პროცედურულ დარღვევებსაც, რომლებიც შეიძლება აქტის ბათილად ცნობას დაედოს საფუძვლად. ასეთ საფუძვლად დასახელებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიიჩნევა სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“. ამდენად, კანონმდებლობა პირის თანამდებობიდან გათავისუფლების აქტის ბათილობის ორი სახის საფუძველს გამოყოფს: 1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის მატერიალური საფუძვლები – აქტი არ ემყარება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძვლებს; 2. ფორმალური საფუძვლები – აქტი გამოცემულია კანონით დადგენილი პროცედურული ნორმების არსებითი დარღვევით.

საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში“.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, საჯარო მოხელეთათვის განსაზღვრული გარანტიის პირობებში წარმოიშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი იმპერატიულად ადგენს მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. მათ შორის – სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)

1982 წლის C 158 კონვენციის (Termination of Employment Convention) მე-10 მუხლი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს ანიჭებს უფლებას სასამართლოს მიერ მისთვის სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციაზე, ხოლო 1963 წლის რეკომენდაციის R 118 (Termination Of Employment Recommendation) მე-6 პარაგრაფი ითვალისწინებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებას მიუღებელ ხელფასზე.

ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული აქტი მ. ჩ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბათილადაა ცნობილი და შესაბამისად, დადასტურებულია გათავისუფლების უკანონობა, რაც მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს, ამასთან, მ. ჩ-მა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, უარი თქვა აღდგენაზე იმ მოტივით, რომ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ქ. ცაგერში არჩეულ იქნა ახალი გამგებელი. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127.6 მუხლზე, რომელიც არ არის არაკონსტიტუციურად ცნობილი, მაგრამ განმარტავს, რომ ვინაიდან, ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 15 აგვისტოს განჩინებით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მ. ჩ-ის სასარგებლოდ 3 თვის განაცდურის ანაზღაურების დაკისრების შესახებ. ცაგერის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების მიზნით ცაგერის რაიონული სასამართლოს მიერ 2014 წლის 15 აგვისტოს გაიცა სააღსრულებო ფურცელი. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ნაწილშიც ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონშესაბამობის თაობაზე, შესაბამისად, სსსკ-ის 410-ე მუხლის თანახმად, არ არსებობს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408.3 და 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 22 სექტემბრის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ბს-683-675(2კ-15)

11 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 23 მაისს მ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2010 წლიდან 2014 წლის 23 აპრილამდე მუშაობდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... განყოფილების უფროსად.

2014 წლის 3 იანვარს სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში მ. მ-ის მიმართ, ამავე სამმართველოს ... სამსახურის უფროსის – ა. კ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა სექსუალური ძალადობის ფაქტს, რის შესახებაც, მოგვიანებით, ცნობილი გახდა სხვა თანამშრომლებისთვისაც. აღნიშნულის თაობაზე ზეპირი ფორმით ეცნობა ამავე სამმართველოს უფროსს ვ. წ-ეს. 2014 წლის 5 იანვარს ა. კ-ის მიერ სამმართველოს უფროსის – ვ. წ-ის თანდასწრებით მოხდა ფაქტის აღიარება, თუმცა ამ უკანასკნელის მხრიდან ამ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია. მომხდარის გამო ა. კ-მა გამოხატა ღრმა სინანული და მ. მ-ეს მოუხადა ბოდიში. ამასთან, განაცხადა, რომ ბოდიშს მოუხდიდა საჯაროდაც და დატოვებდა სამსახურს.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2014 წლის 6 იანვარს ა. კ-მა მ. მ-ის სამუშაო კაბინეტში, მის სამუშაო კომპიუტერში შეადგინა განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. 2014 წლის 9 იანვარს სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილისა და შემდგომ 10 იანვარს სამსახურის სხდომაზე ვ. წ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა მ. მ-ის მიმართ გამოხატულ აგრესიას, უსაფუძვლო შენიშვნებს და ბრალდებებს მის არაკვალიფიციურობაზე. ასევე, ვ. წ-ის მხრიდან არაერთხელ ჰქონდა ადგილი ფსიქოლოგიურ იძულებას, რომ მ. მ-ეს საკუთარი ნებით დაეტოვებინა სამსახური, ვინაიდან აღნიშნული ფაქტის გახმაურებით და ა. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლებით მას პრობლემები შეექმნებოდა მთავრობაში. იმავე წლის 13 იანვარს მოსარჩელემ წერილობითი განცხადებით მიმართა ვ. წ-ეს ა. კ-ის დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანოსთვის განცხადების გადაგზავნის თაობაზე. 2014 წლის 16 იანვარს აღნიშნული განცხადება გადაიგზავნა აჭარის ა/რ პროკურატურაში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2014 წლის 16 იანვარს ა. კ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო იმავე წლის 23 აპრილს თავად იქნა გათავისუფლებული დაკავებული თანამდებობიდან. მოსარჩელის განმარტებით, მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დაირღვა ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, მითითებული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილით ცალსახად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმი-

სათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები უგულებელყოფილ იქნა სადავო ბრძანების გამოცემისას. ადმინისტრაციულმა ორგანომ ყოველგვარი მოკვლევის გარეშე, ტენდენციურად და უპირობოდ დაადგინა ფაქტი, რომ მ. მე-2014 წლის 3 იანვარს იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში ა. კ-თან ერთად მაშინ, როცა იგი ახსნა-განმარტებაში მიუთითებდა, რომ 2014 წლის იანვრის თვეში გადიოდა მკურნალობის კურსს უშვილობასთან დაკავშირებით.

მოსარჩელის მითითებით, სამსახურიდან მისი გათავისუფლების საფუძვლად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73² მუხლის მე-6 პუნქტი, რომელიც მიუთითებს მოხელის ვალდებულებაზე, თავიდან აიცილოს ნებისმიერი ისეთი მოქმედება, რომელიც ზიანს მიაყენებს ან შელახავს დანესებულების ინტერესებსა და რეპუტაციას. საუბარია ასევე ამავე კანონის 78-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც მიუთითებს საჯარო მოხელის მიერ ისეთი სახის უღირსი საქციელის ჩადენას, რომელიც მიმართულია დანესებულების დისკრედიტაციისაკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №01-05/09 ბრძანების, 2014 წლის 13 მაისის №01-06/17 ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და მოპასუხისთვის სამი თვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ გასაჩივრებული აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 13 მაისის №01-06/17 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე იშუამდგომლა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის განჩინებით მ. მ-ის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 6 იანვრის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 13 მაისის №01-06/17 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ შ. ი-ე, ნ. ჯ-ე და ნ. თ-ა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №01-05/09 ბრძანება; აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; მ. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ამასთან, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განჩინებით მ. მ-ის შუამდგომლობა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებით თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. მ-ე 2006 წლიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... განყოფილების უფროსად. 2014 წლის 13 იანვარს მ. მ-ემ განცხადებით მიმართა ამავე სამმართველოს უფროსს – ვ. ნ-ეს და მოითხოვა 2014 წლის 3 იანვარს მის მიმართ, ამავე სამმართველოს ... უფროსის ა. კ-ის მიერ სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში ძალადობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირება და განცხადების შესაბამის ორგანოებში გადაგზავნა. აღნიშნული განცხადება გადაეგზავნა აჭარის ა/რ პროკურატურას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 20 იანვრის №01-05/01 ბრძანებით, ა. კ-ი პირადი განცხადების საფუძველზე, 2014 წლის 20 იანვრიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. 2014 წლის 3 იანვარს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სიუჟეტი მოამზადა ...-მა, ხოლო საინფორმაციო პორტალ ... -ზე, გაზეთ ... და ...-ზე გამოქვეყნდა სტატიები.

ბათუმის რაიონული პროკურატურის 2014 წლის 7 მარტის №13/08-14304 წერილით დადგინდა, რომ მ. მ-ის განცხადებაში და მასზე მოპოვებულ მასალებში ასახული ინფორმაცია არ შე-

იცავდა საქართველოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ცნობებს დანაშაულის შესახებ, რაც არ წარმოადგენდა გამოძიების ან/და კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველს, რის გამოც მას უარი ეთქვა გამოძიების დაწყებაზე.

2014 წლის 10 მარტს, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში ჩატარდა თათბირი, სადაც სამმართველოს უფროსმა თანამშრომლებს გააცნო აჭარის ა/რ პროკურატურიდან შემოსული წერილის შინაარსი მ. მ-ის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც დგინდებოდა, რომ მის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. 2014 წლის 3 იანვარს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სამმართველოს თანამშრომელთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტების დადგენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინსპექტირების სამსახურს დაევალა სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება. ამავე დღეს ინსპექტირების სამსახურს დაენერა ბათუმის რაიონული პროკურატურიდან შესული №13/08-14304 წერილი.

შპს „...“ მიერ 2014 წლის 12 მარტს გაცემული ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციით დგინდება, რომ მ. მ-ე 2014 წლის 12 მარტს იყო 12-13 კვირის ორსული. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინსპექტირების სამსახურის 2014 წლის 3 აპრილის №12 დასკვნის თანახმად, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში 2014 წლის 3 იანვარს მომხდარი ფაქტის ირგვლივ ჩატარებული იქნა სამსახურებრივი შემოწმება, რომლითაც დგინდება, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... განყოფილების უფროსმა მ. მ-ემ ჩაიდინა მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №01-05/09 ბრძანებით, მ. მ-ის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება და 2014 წლის 23 აპრილიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 13 მაისის №01-06/17 ბრძანების თანახმად, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, რომელსაც თან სდევდა შტატების შემცირება, გაფრთხილე-

ბულნი იქნენ თანამდებობიდან მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, ამავე სამმართველოს ადმინისტრაციული სამსახურის საჯარო მოხელეები.

სასამართლოს განმარტებით, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინსპექტირების სამსახურის 2014 წლის 3 აპრილის №12 ოქმის საფუძველზე ინსპექტირების სამსახურმა 2014 წლის 3 იანვარს მომხდარი ფაქტის ირგვლივ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება, ახსნა-განმარტებები ჩამოართვა სამმართველოს თანამშრომლებს და დაადგინა, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... განყოფილების უფროსმა მ. მ-ემ ჩაიდინა მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი, გათვალისწინებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა.

სასამართლომ დაადგინა, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №01-05/09 ბრძანებით, მ. მ-ის მიმართ გამოყენებული იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება და 2014 წლის 23 აპრილიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადანყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა, ზუსტად ყოფილიყო დადგენილი, მ. მ-ის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი დისციპლინურ გადაცდომას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებუ-

ლობის აუცილებლობა, კერძოდ, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების მიღების დროს დაეყრდნო სამმართველოს ინსპექტირების დასკვნას, რომელმაც გამოიკვლია 2014 წლის 3 იანვარს მომხდარი ფაქტი და დაადგინა, რომ სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ძალადობის მცდელობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ამასთან, დასკვნაში მითითებული იქნა, რომ აღნიშნული ინფორმაციის სოციალურ ქსელში გავრცელებამ გამოიწვია სამმართველოს ცალკეული თანამშრომლების დისკრედიტაცია და სამმართველოს რეპუტაციის შელახვა. ასევე, მიეთითა, რომ მ. მ-ე ხელოვნურად დაზავდა ურთიერთობას სამმართველოს ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, რამდენჯერმე უსაფუძვლოდ გააპროტესტა უფროსის მიერ მიცემული ელემენტარული დავალების შესრულება.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა ინსპექტირების დასკვნაში მითითებული გარემოებები, რომ მ. მ-ემ ინფორმაციის გავრცელებით ჩაიდინა მოხელისა და დანესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი და განმარტა, რომ მოსარჩელის მხრიდან ამგვარი ფორმით უკმაყოფილების და პროტესტის გამოსატყა ვერ აღიქმებოდა, როგორც დანესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი, რადგან თუ მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სამმართველოს შენობაში დაირღვა მისი უფლებები, უფლება ჰქონდა აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა სამმართველოს უფროსისათვის. რაც შეეხება, სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებას, სასამართლოს აზრით არც ეს ჩაითვლება დისკრედიტაციისკენ მიმართულ უღირს საქციელად, რადგან საქმეში წარმოდგენილი მტკი-

ცებულებებით არ დგინდება, რომ აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელა უშუალოდ მოსარჩელემ.

სასამართლოს განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადანაცვლების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. „აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ა/რ მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №53 დადგენილების მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის (ძველი რედაქცია) თანახმად, ადმინისტრაციული სამსახური ძირითად ამოცანებს ახორციელებდა მასში შემავალი შემდეგი განყოფილებების მეშვეობით: ა) საქმისწარმოების და საკადრო რესურსების მართვის განყოფილება; ბ) საორგანიზაციო განყოფილება; გ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება. მითითებულ დადგენილებაში, აჭარის ა/რ მთავრობის 2014 წლის 12 ივნისის №22 დადგენილებით შევიდა ცვლილებები, კერძოდ ადმინისტრაციული სამსახური ძირითად ამოცანებს ახორციელებს საჯარო მოსამსახურეებისა და მასში შემავალი შემდეგი განყოფილებების მეშვეობით: ა) საორგანიზაციო განყოფილება; ბ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება. ამდენად, ... განყოფილება გაუქმდა, შესაბამისად გაუქმდა აღნიშნული განყოფილების უფროსის საშტატო ერთეული და აღნიშნული განყოფილების ფუნქციების განხორციელება დაევალა სამმართველოს ... სამსახურის მთავარ სპეციალისტებს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. მ-ის სამსახურში აღდგენა შეუძლებელი იყო, ვინაიდან არ არსებობდა თანამდებობა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მისი სამსახურში აღდგენა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. აღნიშნული გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

ამასთან, გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე მისი შუამდგომლობის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 მაისის განჩინებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადანყვეტილებაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი. 2015 წლის 28 მაისს მ. მ-ემ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინებით აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სააპელაციო საჩივარი, მ. მ-ის შეგებებული სააპელაციო და კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადანყვეტილება და ამავე სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის განჩინება გადანყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადანყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადანყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინსპექტირების სამსახურის 2014 წლის 3 აპრილის №12 ოქმის საფუძველზე დადგინდა, რომ ინსპექტირების სამსახურმა 2014 წლის 3 იანვარს მომხდარი ფაქტის ირგვლივ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება, ახსნა-განმარტებები ჩამოართვა სამმართველოს თანამშრომლებს და დაადგინა, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... განყოფილების უფროსმა მ. მ-ემ ჩაიდინა მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი, გათვალისწინებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-

ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა. სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტიციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება) წარმოადგენს, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ. ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები: ა) შენიშვნა; ბ) გაფრთხილება; გ) არა უმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება; დ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან ჩამოშორება ხელფასის გაცემის შეჩერებით – არა უმეტეს ათი სამუშაო დღისა; ე) უფრო დაბალი თანრიგის თანამდებობრივ სარგოზე გადაყვანა არა უმეტეს ერთი წლისა; ვ) სამსახურიდან განთავისუფლება ამ კანონის საფუძველზე. დასახელებული ნორმების ანალიზის შესაბამისად, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი უფლებამოსილი იყო გამოეცა ბრძანება მ. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასაბუთება მ. მ-ის სარჩელის უარყოფის ნაწილში და აღნიშნა, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში ... სამსახურის ... თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია არის სამსახურის შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციონალური გარდაქმნა, რასაც შეიძლება სდევდეს დაწესებულების მთლიანი ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სტატუსის, დაქვემდებარების ან/და ფუნქციონალური დატვირთვის ცვლილება. ამ სახის რეორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, მოჰყვება თუ არა მას შტატის რაოდენობრივად შემცირება, შეიძლება ქმნიდეს მოხელის სამსახურში აღდგენაზე უარის თქმის საფუძველს, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზეა.

მ. მ-ის კერძო საჩივართან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსის 268-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოს შეეძლო მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაეცა გადაწყვეტილებები: მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებას შეიძლება გადამხდენილებისათვის მნიშვნელოვანი ზიანი მიეყენებინა, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდებოდა. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მ. მ-ის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო არა უმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, რაც შესაძლებელი იყო მიქცეულიყო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუმცა იმის გამო, რომ არ არსებობდა გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებით მხარისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ან გადაწყვეტილების აღსრულებლობის საფრთხე, სასამართლომ უარი თქვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა და გადაწყვეტილება მიიღო საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების უგულებელყოფით. გასაჩივრებული განჩინება საერთოდ არ შეიცავს მსჯელობას შეგებებული სააპელაციო საჩივრის მოტივებზე, არ არის გაქარწყლებული აპელანტის მოსაზრებები. სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ ერთი განმარტებით, რომ არ არსებობს მ. მ-ის ... თანამდებობაზე აღდგენის კანონიერი საფუძველი. კასატორის მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებული საჯარო მოხელის თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით დადგენილი აქვს განსხვავებული პრაქტიკა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის მანკიერ პრაქტიკაზე. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში რეორგანიზაცია გამოცხადდა მას შემდეგ, რაც მ. მ-ემ მიმართა სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების

დასაცავად.

კასატორმა – მ. მ-ემ ასევე მოითხოვა იძულებით განაცდურის ანაზღაურება მთელი მოცდენილი პერიოდისათვის და განმარტა, რომ ნორმა („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რომელსაც ემყარებოდა სასარჩელო მოთხოვნა, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი, რომლის მიხედვით მას უფლება აქვს, მოითხოვოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მთელი მოცდენილი პერიოდისათვის.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მათი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არის უსაფუძვლო, იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, რის გამოც ექვემდებარება გაუქმებას. სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების მსჯელობა და თავისი განჩინება არ დააფუძნა ისეთ არგუმენტებზე, რომლებიც განსხვავებული იქნებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაციისაგან. კასატორს მიაჩნია, რომ მათი სააპელაციო საჩივარი დასაბუთებული იყო და არ არსებობდა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. მ-ისა და აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საკასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 3 დეკემბრის განჩინებით მ. მ-ისა და აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაიწინა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწ-

მა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მ. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათ გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მ. მ-ე მუშაობდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... განყოფილების ... თანამდებობაზე. 2014 წლის 13 იანვარს მან განცხადებით მიმართა სამმართველოს უფროსს – ვ. ნ-ეს და მოითხოვა 2014 წლის 3 იანვარს მის მიმართ ამავე სამმართველოს ... სამსახურის უფროსის – ა. კ-ის მიერ სამმართველოს ადმინისტრაციულ შენობაში ძალადობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი რეაგირება. აღნიშნული განცხადება გადაეგზავნა აჭარის ა/რ პროკურატურას, რომელმაც დაადგინა, რომ მ. მ-ის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რის გამოც გამოძიება არ უნდა დაწყებულიყო. ამის შემდეგ სამმართველოში 2014 წლის 3 იანვარს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, თანამშრომელთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ფაქტების დადგენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინსპექტირების სამსახურს დაევალა სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება და გადაეცა ბათუმის რაიონული პროკურატურიდან შემოსული №13/08-14304 წერილი.

„აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ა/რ მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №53 დადგენილების მე-6 მუხლის 82-ე პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინსპექტირების სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს, სამმართველოს სისტემაში თანამშრომელთა სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეული შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების, დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების ბრალეული შექმნის და ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტიციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის (ბრალეული ქმედება) შესწავლა, განურჩევლად იმისა, სამსახურშია ჩადენილი თუ მის გარეთ, ფაქტის ან/და სამმართველოს მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმებისა და გამოვ-

ლენის მიზნით სამსახურებრივი შემოწმება (სამმართველოს სისტემის შესაბამის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან დოკუმენტაციის გამოთხოვა შესწავლის მიზნით, ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა ან გამოკითხვის აქტის შედგენა სამმართველოს სისტემის მოსამსახურეებსა და სამსახურებრივ შემოწმებასთან დაკავშირებულ მოქალაქეებზე და სხვა), შესაბამისი დასკვნის მომზადება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა.

აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ინსპექტირების სამსახურის 2014 წლის 3 აპრილის №12 ოქმის საფუძველზე დადგინდა, რომ ინსპექტირების სამსახურმა 2014 წლის 3 იანვარს მომხდარი ფაქტის ირგვლივ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება, ახსნა-განმარტებები ჩამოართვა სამმართველოს თანამშრომლებს და დაადგინა, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... განყოფილების უფროსმა მ. მ-ემ ჩაიდინა მოხელისა და დანესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი, გათვალისწინებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც ამავე კანონის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტისა და 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა.

განსახილველი დავის საგანს მ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №01-05/09 ბრძანების კანონიერების დადგენა, სამუშაოზე აღდგენა და მთელი მოცდენილი პერიოდისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას მ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №01-05/09 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშედარების საფუძველზე. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებას წარმოადგენდა ზუსტად ყოფილიყო დადგენილი, მ. მ-ის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი დისციპლინურ გადაცდომას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებულობის აუცილებლობა, კერძოდ, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. დასაბუთება წინ უძღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების მიღების დროს დაეყრდნო სამმართველოს ინსპექტირების დასკვნას, რომელმაც გამოიკვლია 2014 წლის 3 იანვარს მომხდარი ფაქტი და დაადგინა, რომ სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ძალადობის

მცდელობის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. ამასთან, დასკვნაში მითითებული იქნა, რომ აღნიშნული ინფორმაციის სოციალურ ქსელში გავრცელებამ გამოიწვია სამმართველოს ცალკეული თანამშრომლების დისკრედიტაცია და სამმართველოს რეპუტაციის შელახვა. ასევე მიეთითა, რომ მ. მ-ე ხელოვნურად ძაბავდა ურთიერთობას სამმართველოს ხელმძღვანელობასთან, კერძოდ, რამდენჯერმე უსაფუძვლოდ გააპროტესტა უფროსის მიერ მიცემული ელემენტარული დავალების შესრულება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართებულად არ გაიზიარეს ინსპექტირების დასკვნაში მითითებული გარემოებები, რომ მ. მ-ემ ინფორმაციის გავრცელებით ჩაიდინა მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი და განმარტა, რომ მოსარჩელის მხრიდან ამგვარი ფორმით უკმაყოფილების და პროტესტის გამოხატვა ვერ აღიქმებოდა, როგორც დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი, რადგან თუ მოსარჩელეს მიაჩნდა, რომ სამმართველოს შენობაში დაირღვა მისი უფლებები, ჰქონდა უფლება აღნიშნულის შესახებ ეცნობებინა სამმართველოს უფროსისათვის. რაც შეეხება, სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებას, სასამართლოს აზრით არც ეს ჩაითვლება დისკრედიტაციისკენ მიმართულ უღირს საქციელად, რადგან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ აღნიშნული ინფორმაცია გაავრცელა უშუალოდ მოსარჩელემ. ამასთან, აღნიშნული ინფორმაციის, მ. მ-ის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელების შემთხვევაშიც, იგი ვერ ჩაითვლებოდა დისკრედიტაციისკენ მიმართულ უღირს საქციელად, რადგან აღნიშნული ინფორმაცია მიმართული იყო სამმართველოს კონკრეტული თანამშრომლის და არა დაწესებულების რეპუტაციის შელახვისაკენ. სააპელაციო სასამართლომ ასევე სწორად მიიჩნია, რომ სამმართველოს თანამშრომლების მიერ მიცემული ახსნა-განმარტებები ვერ ჩაითვლებოდა უტყუარ მტკიცებულებად, ვინაიდან ისინი თავად იყვნენ საჯარო მოსამსახურეები, სამართლებრივ ურთიერთობებში იმყოფებოდნენ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოსთან და კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატავდნენ ამ ორგანოს ნებას. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის გარემოება, რომ მ. მ-ემ ინსპექტირების სამსახურს 2014 წლის 19 მარტს ახსნა-განმარტებაში განუცხადა, რომ იყო ორსულად, თუმცა აღნიშნული გარემოება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს არ იქნა გათვალისწინებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო

მიუთითებს, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებები ყოველმხრივ, ობიექტურად უნდა გამოეკვლია, რაც უზრუნველყოფდა მოსამსახურის ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ დაცვას, კადრების სტაბილურობის, როგორც საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპების შესრულებას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო შეეფასებინა და ემსჯელა იმის თაობაზე, არსებობდა თუ არა მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი. მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით გათვალისწინებულ ისეთი სახის არსებით დარღვევას წარმოადგენს, რაც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლით განისაზღვრა საჯარო სამსახურის ძირითადი პრინციპები, რომელთა სულისკვეთებით და გათვალისწინებით სახელმწიფოში უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები; ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის და კანონების უზენაესობის დაცვა მოსამსახურეთა მიერ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. სამოხელეო სამართალი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის კერძო ნაწილს და შესაბამისად სრულად იზიარებს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას საჯარო-შრომით ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების განხორციელებისას. აღნიშნული პრინციპი ბოჭავს გადაწყვეტილების მიმღებ საჯარო მოსამსახურეებს (მათ შორის თანამდებობის პირებს) მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით, ამავე კანონის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად აღიარებულია საჯარო მოსამსახურის ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვა.

საჯარო მოხელის სამართლებრივი დაცვის პრინციპი წარმოადგენს მისი უფლების დაცვის გარანტიას, რომ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ სამართლებრივი ინსტრუმენტებით და კანონის საფუძველზე განხორციელდება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აღჭურავს მოხელეს იმ უფლებებით და შეღავათებით, რაც ამ კა-

ნონით არის დადგენილი. ასევე აღნიშნული კანონი ადგენს განსაკუთრებულ უფლებებს მოხელის მიმართ, რომ ის განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე მოსამსახურისაგან, საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდში სწორედ ამ საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით იქნება დაცული, რომ კანონით გათვალისწინებული პროცედურებით იქნება განხილული როგორც მისი შრომითი მონყობის, დანიინაურების, აგრეთვე მისი გათავისუფლების საკითხიც.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებას მ. მ-ის სარჩელზე უარის თქმის – სამუშაოზე აღდგენის ნაწილში იმ მოტივით, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში ... თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა, ვინაიდან „აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ა/რ მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №53 დადგენილებაში 2014 წლის 12 ივნისს №22 დადგენილებით შევიდა ცვლილებები, კერძოდ, ადმინისტრაციული სამსახური ძირითად ამოცანებს ახორციელებს საჯარო მოსამსახურებისა და მასში შემავალი შემდეგი განყოფილებების მეშვეობით: ა) საორგანიზაციო განყოფილება; ბ) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ... განყოფილება გაუქმდა, შესაბამისად, გაუქმდა აღნიშნული განყოფილების უფროსის საშტატო ერთეული, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლებამდე ეკავა მ. მ-ეს. აღნიშნული განყოფილების ფუნქციების განხორციელება დაეკალა ადმინისტრაციული სამსახურის მთავარ სპეციალისტებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული დასკვნა არ გამომდინარეობს საქმის მასალებისა და მტკიცებულებების ობიექტური შეფასებიდან, ვინაიდან მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანება საერთოდ არ არის გამოცემული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე – რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო. როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სადავო ბრძანებით მ. მ-ე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა 2015 წლის 23 აპრილს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის გამო, ხოლო აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში რეორგანიზაცია შტატების შემცირებით გამოცხადდა რამდენიმე თვის შემდეგ. აღსა-

ნიშნავია ის გარემოება, რომ სადავო ბრძანება მ. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბათილად იქნა ცნობილი საქალაქო სასამართლოს მიერ, რაც სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების მიღებისას მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის იმპერატიული დანაწესი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოხელის გათავისუფლებამდე საქმის გარემოებათა ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის თაობაზე, რაც, თავის მხრივ, მუშაკის უფლებათა დაცვის გარანტიაა და უზრუნველყოფს მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი დაცვის, მოსამსახურეთა კადრების სტაბილურობას და ა. შ.

საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ სამსახურიდან გათავისუფლებაზე ან გადაყვანაზე გაცემული ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების არაკანონიერად აღიარების შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოხელე აღდგენილ უნდა იქნეს მხოლოდ გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს მ. მ-ის კასაციის მოტივს მის სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნულ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას დადგენილი აქვს განსხვავებული პრაქტიკა, კერძოდ, საჯარო სამსახურიდან გათავისუფლებული საჯარო მოხელის თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით. კასატორმა მიუთითა 2009 წლის 10 მარტის №ბს-1367-1325(კ-08) გადაწყვეტილებაზე, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „ადმინისტრაციულმა ორგანომ საკითხის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში პირის თანამდებობაზე აღდგენა გულისხმობს ზოგადად პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, ანუ პირის იმ თანამდებობაზე დაბრუნებას, საიდანაც გათავისუფლდა, თუმცა საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საშტატო ერთეულისათვის სახელწოდების შეცვლა არ წარმოადგენს საფუძველს იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენილად მიჩნევისათვის, რომ აღარ არსებობს საშტატო ერთეული. საშტატო ერთეული გაუქმებუ-

ლად ითვლება, როცა ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს ამგვარი შტატი, რომ ახალი საშტატო ერთეულით განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, რომ ამგვარი საშტატო ერთეულის დასაკავებლად სხვა კრიტერიუმები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული პირის მიერ (ასე მაგალითად, შტატი არ საჭიროებდა უმაღლეს განათლებას, მაშინ, როცა რეორგანიზაციის საფუძველზე ამგვარი შტატის დასაკავებლად უმაღლესი განათლება იყო საჭირო), ხოლო ის გარემოება, რომ პირის გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობა ამგვარი სახელწოდებით აღარ არსებობს, არ წარმოადგენს საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ფუნქციურად სხვა საშტატო ერთეული, რომელიც რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურაში, იმავე სახის უფლება-მოვალეობებით არ არის აღჭურვილი“.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ რეორგანიზაციის შედეგად გაუქმდა ... განყოფილება, შესაბამისად, გაუქმდა აღნიშნული განყოფილების უფროსის საშტატო ერთეული, რომელიც სამსახურიდან გათავისუფლებამდე ეკავა მ. მ-ეს, თუმცა აღნიშნული განყოფილების ფუნქციების განხორციელება დაევალათ ადმინისტრაციული სამსახურის მთავარ სპეციალისტებს, რაც გულისხმობს, რომ ფუნქციურად განყოფილების უფროსის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები, გადაეცათ მთავარ სპეციალისტებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. მ-ე ექვემდებარება სამსახურში უპირობო აღდგენას.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს მ. მ-ის კასაციის მოტივს იმასთან დაკავშირებით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 112-ე მუხლის მე-2 წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ იძულებით გაცდენილი პერიოდის შრომითი გასამრჯელო მოსამსახურეს უნდა მიეცეს არაუმეტეს 3 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/3/630 გადაწყვეტილებით საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოხელე თანამდებობაზე ინიშნება და თანამდებობიდან თავისუფლდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო მოხელის გათავისუფლების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, როდეს

საც არსებობს გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილობის საფუძველი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. კოდექსი განმარტავს იმ პროცედურულ დარღვევებსაც, რომლებიც შეიძლება აქტის ბათილად ცნობას დაედოს საფუძველად; ამდენად, კანონმდებლობა პირის თანამდებობიდან გათავისუფლების აქტის ბათილობის ორი სახის საფუძველს გამოყოფს: 1. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის მატერიალური საფუძველები – აქტი არ ემყარება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველს; 2. ფორმალური საფუძველები – აქტი გამოცემულია კანონით დადგენილი პროცედურული ნორმების არსებითი დარღვევით. საჯარო მოხელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტში ჩამოთვლილ სუბიექტთა მიერ ჩადენილი უკანონო ქმედების შედეგს. შესაბამისად, კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველობის ორგანოებს ეკისრება პირის უკანონოდ გათავისუფლების ყველა შემთხვევაში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტით, საჯარო მოხელეთათვის განსაზღვრული გარანტიის პირობებში წარმოიშობა გონივრული მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მოხელე უზრუნველყოფილია შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულების სანაცვლო ანაზღაურებით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი იმპერატიულად ადგენს მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას.

ზემოაღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციული აქტი მ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბათილადაა ცნობილი და ეს უკანასკნელი სასამართლოს მიერ ექვემდებარება დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენას, შესაბამისად, დადასტურებულია მ. მ-ის გათავისუფლების უკანონობა და ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის საფუძველი, რაც მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს. ამდენად, მ. მ-ეს უფლება აქვს,

მოითხოვოს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მთელი მოცდენილი პერიოდისათვის.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლება, მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, გათვალისწინებულია რიგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაც. მათ შორის – სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით; შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1982 წლის C 158 კონვენციის (Termination of Employment Convention) მე-10 მუხლი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ პირს ანიჭებს უფლებას სასამართლოს მიერ მისთვის სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციაზე, ხოლო 1963 წლის რეკომენდაციის R 118 (Termination Of Employment Recommendation) მე-6 პარაგრაფი ითვალისწინებს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის უფლებას მიუღებელ ხელფასზე.

რაც შეეხება აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს კასაციის მოტივებს იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა მისი სააპელაციო საჩივარი, საკასაციო სასამართლო მათ ვერ გაიზიარებს, ვინაიდან კასატორს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც გააბათილებდა მ. მ-ის კასაციის საფუძვლებს და სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს, რის გამოც მისი საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და დაკმაყოფილებას არ ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ქვედა ინსტანციის სამართლოების დასკვნები მ. მ-ის საჩივარზე – თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში უარის თქმის შესახებ, სრულიად დაუსაბუთებელია როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც მ. მ-ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინება მ. მ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის სრულად ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. მ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
5. მ. მ-ე აღდგენილ იქნეს აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ... მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე;
6. მოპასუხეს – აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დავალოს მ. მ-ისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამსახურში აღდგენის დღემდე;
7. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 15 ივნისის განჩინება მ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2014 წლის 23 აპრილის №01-05/09 ბრძანების ბაზაზე ცნობის ნაწილში;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ვადა

სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანების გასაჩივრების ვადის დაცვის საკითხი

განჩინება

№ბს-1233-1199(კს-10)

7 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობით: ნ. ნკვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სარჩელის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-ქემ სარჩელი აღძრა ქობულეთის რაიონულ სასამართლოში მოპასუხის – ქობულეთის რაიონის გამგეობის მიმართ და მოითხოვა ქობულეთის რაიონული გამგეობის 2004 წლის 27 ნოემბრის №108 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და ბავშვის მოვლისათვის 3 წლით უფასო შვებულების გაფორმება.

მოპასუხეს – ქობულეთის რაიონულ გამგეობას სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით შესაგებელი არ წარმოუდგენია.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. გ-ქის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქობულეთის რაიონის გამგეობის 2004 წლის 27 ნოემბრის №108 ბრძანება; მოსარჩელე ნ. გ-ქე აღდგენილ იქნა ქობულეთის რაიონის გამგეობის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების განყოფილებაში და მიეცა უფასო შვებულება ბავშვის მოვლისათვის 3 წლამდე.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ნ. გ-ქემ შესაგებლად მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, რომლითაც არ ცნო ქობულეთის მუნიციპალიტეტის

გამგეობის სააპელაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებულ
ლი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინებით ქობულე-
თის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივარი დაკ-
მაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქობულეთის რაიონული სა-
სამართლოს 2005 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება და ნ. გ-
ძის სარჩელის დაუშვებლობის გამო შეწყდა საქმის წარმოება,
რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

ნ. გ-ძე მუშაობდა რა ქობულეთის რაიონის გამგეობის გარე-
მოსა და ბუნებრივი რესურსების განყოფილების მთავარ სპე-
ციალისტად, იგი იყო საჯარო მოხელე და მის მიმართ ვრცელ-
დებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის
127-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, მოხელეს უფ-
ლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის გან-
მავლობაში გაასაჩივროს სასამართლოში სამსახურებრივ საკით-
ხებზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილე-
ბა, აგრეთვე მოქმედება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. გ-
ძემ ქობულეთის რაიონის გამგეობის 2004 წლის 27 ნოემბრის
№108 ბრძანება ჩაიბარა 2004 წლის 9 დეკემბერს, ხოლო სარჩე-
ლი ქობულეთის რაიონულ სასამართლოში შეიტანა 2005 წლის
14 იანვარს, რითაც დაარღვია ზემოაღნიშნული კანონით დად-
გენილი გასაჩივრების ვადა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაცი-
ული საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესა-
ბამისად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოე-
ბას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-25-ე მუხლებით
დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის
სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული
საფუძვლით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ
სტადიაზე. იმავე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, საქმის სა-
აპელაციო წესით განხილვისას დაუშვებლობის მოტივით საქ-
მის წარმოების შეწყვეტის საფუძვლების გამოვლენისას სასა-
მართლო იღებს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესა-
ხებ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაა-
საჩივრა ნ. გ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი მოტი-
ვით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, 2002 წლიდან მუ-
შაობდა ქობულეთის რაიონის გამგეობის გარემოსა და ბუნებ-

რივი რესურსების განყოფილებაში. 2004 წლის 1 მარტს გავიდა დეკრეტულ შვებულებაში, რის შემდეგაც აიღო კუთვნილი უფასო შვებულება სამი წლის ვადით. შვებულებაში ყოფნის დროს 2004 წლის 27 ნოემბერს გაათავისუფლეს სამსახურიდან, რის გამოც მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მისი სარჩელი და გაუქმდა ქობულეთის რაიონის გამგეობის 2004 წლის 27 ნოემბრის ბრძანება და აღდგენილ იქნა სამუშაოზე. ამავე გადაწყვეტილებით მიეცა უფასო დეკრეტული შვებულება სამი წლის ვადით.

სამსახურში აღდგენის მოთხოვნით არაერთხელ მიმართა ქობულეთის რაიონის გამგეობას, მაგრამ უშედეგოდ. 2010 წლის 16 აპრილს განცხადებით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს 2005 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილების აღსრულების გამო სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, მაგრამ ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2010 წლის 24 აპრილს გაუგებარი მიზეზით სააღსრულებო ფურცლის ნაცვლად ჩააბარა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება, რომელიც მას უკვე მიღებული ჰქონდა 2005 წელს. როგორც შემდგომ გაირკვა იგივე გადაწყვეტილება ხელმეორედ ჩაბარდა ქობულეთის გამგეობასაც, რამაც საშუალება მისცა გამგეობას კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გაესაჩივრებინა აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში იყო შესული 2005 წლიდან.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს არაკორექტული ქმედებით ხელმეორედ იქნა გადაწყვეტილება მხარისათვის გადაგზავნილი, რაც მოპასუხე მხარემ გამოიყენა და სააპელაციო საჩივრით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. აქედან გამომდინარე, მოპასუხე მხარეს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება არ ჰქონდა ვადის გასვლის გამო. ვინაიდან, დასაბუთებული გადაწყვეტილება მას ჩაჰბარდა 2005 წელს, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში იყო შესული, რითაც სააპელაციო სასამართლოს მიერ დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 266-ე მუხლი, 364-ე მუხლი, 369-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 374-ე მუხლი,

ვინაიდან, საქმის მასალებში არის მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მოპასუხე მხარეს გადაწყვეტილება ჩაჰპარდა 2005 წელს და რის გამოც სააპელაციო სასამართლოს საქმე განუხილველად უნდა დაეტოვებინა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ქობულეთის რაიონის გამგეობის 2004 წლის 27 ნოემბრის ბრძანება ნ. გ-ძეს ჩაჰპარდა 2004 წლის 9 დეკემბერს, სარჩელი კი წარადგინა 2005 წლის 14 იანვარს, რითაც გაუშვა გასაჩივრების ერთთვიანი ვადა, ვინაიდან, 2005 წელს ჯერ კიდევ არ იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი სარჩელის ფორმა და სასამართლოში სარჩელის შეტანა შესაძლებელი იყო ჩვეულებრივი განცხადების ფორმით (სასარჩელო განცხადება). როდესაც 2004 წლის 9 დეკემბერს ჩაიბარა ქობულეთის რაიონის გამგეობის ბრძანება ქობულეთის რაიონულ სასამართლოს მიმართა სასარჩელო განცხადებით ერთი თვის ვადაში, სადაც აღნიშნა, რომ სასამართლოს დამატებით ინფორმაციას და მტკიცებულებებს მიაწვდიდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ვერ ასწრებდა მტკიცებულებების შეგროვებას. დამატებით 2005 წლის 14 იანვარს სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულებები და განცხადება. სწორედ ამის გამო ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ მიიღო სარჩელი წარმოებაში, თუმცა ამ გარემოების დადგენამდე, პირველ რიგში დასადგენია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი, რის გარეშეც სხვა გარემოებებზე დავა და განხილვა შეუძლებელი იქნება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ნ. გ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინება სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და საქმე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააპელაციო საჩივრით განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა

იგი, დასაბუთებულია კერძო საჩივარში ჩამოყალიბებული არ-გუმენტები საპროცესო დარღვევების შესახებ, რაც სსსკ-ის 393-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელის აღძვრა არის დარღვეული ან სადავო უფლების სასამართლო გზით დაცვის საპროცესო საშუალება. ყოველ პირს აქვს უფლება საჯარო ხელისუფლებისაგან უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს უფლების დაცვისათვის სასამართლოში მიმართვის ფორმას – სასარჩელო განცხადების სახით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სასამართლო სასარჩელო განცხადების შემოსვლიდან ხუთი დღის განმავლობაში ამონმებს მის შესაბამისობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-179-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებთან და გამოაქვს განჩინება სარჩელის მიღების შესახებ. თუ სასამართლო გამოარკვევს, რომ სარჩელი სასამართლოში შეტანილია სსსკ-ის 178-ე და 179-ე მუხლებში მითითებული პირობების დარღვევით ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ხარვეზის თაობაზე და მოსარჩელს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად, ხოლო თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ.

სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღების სტადიაზე ამონმებს სარჩელის დასაშვებობის საკითხს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ნ. გ-ძეს ქობულეთის რაიონის გამგეობის 2004 წლის 27 ნოემბრის №108 ბრძანება ჩაჰბარდა 2004 წლის 9 დეკემბერს, ხოლო სარჩელი კი სასამართლოში წარადგინა 2005 წლის 14 იანვარს, რითაც გაუშვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანების გასაჩივრების ვადა, რის გამოც ნ. გ-ძის სარჩელზე ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 22-25 მუხლების საფუძველზე შეწყდა საქმის წარ-

მოება, შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით დასტურდება, ნ. გ-ძეს ქობულეთის რაიონის გამგეობის 2004 წლის 27 ნოემბრის №103 ბრძანება ჩაჰბარდა 2004 წლის 9 დეკემბერს, მან კი სასამართლოს განცხადებით მიმართა 2005 წლის 6 იანვარს ანუ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანების გასაჩივრების 1-თვიანი ვადის დაცვით, რის შემდეგაც სასამართლო ვალდებული იყო აღნიშნული განცხადების შემოსვლიდან ხუთი დღის განმავლობაში შეემოწმებინა მისი შესაბამისობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-179-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებთან და გამოეტანა განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე და მოსარჩელისათვის დაენიშნა ვადა მის შესავსებად, ხოლო თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში არ შეავსებდა ხარვეზს სასამართლო გამოიტანდა განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე, რასაც ქობულეთის რაიონული სასამართლოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ქობულეთის რაიონულმა სასამართლომ საპროცესო რეაგირების გარეშე დატოვა ნ. გ-ძის მიერ სასამართლოში 2004 წლის 6 იანვარს შეტანილი განცხადება და მოსარჩელემ როცა 2005 წლის 14 იანვარს სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს, 2005 წლის 14 იანვრის განჩინებით წარმოებაში მიიღო ნ. გ-ძის სარჩელი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. გ-ძის მიერ დარღვეული არ ყოფილა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 127-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანების გასაჩივრების 1-თვიანი ვადა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარის საპროცესო უფლებების არაკვალიფიციური რეალიზაციის პირობებში სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს საპროცესო ვალდებულებას – მიუთითოს მხარეს არასრულყოფილი საპროცესო დოკუმენტების წარდგენის თაობაზე და მისცეს ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგნორირებული იქნება ევროპული კონვენციით, საქართველოს კონსტიტუციით და კანონმდებლობით გარანტირებული ძირითადი უფლება – სამართლიანი სასამართლოს უფლების თაობაზე, რაც უპირველესად მოიცავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას. პირის მიერ საპროცესო უფლებებისა და ვალდებულებების არაკომპეტენტური გაგება

სამართალწარმოების საწყის სტადიაზე არ შეიძლება გახდეს მისი უფლებების დაცვის დამაბრკოლებელი გარემოება.

განსახილველ შემთხვევაში, ნ. გ-ძეს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ მიეთითა განცხადების არასრულყოფილად წარდგენის თაობაზე, არ მიეცა საპროცესო ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად და სწორედ ამ სასამართლოს მიერ საპროცესო მოვალეობის სათანადოდ არშესრულება სააპელაციო სასამართლომ სრულიად უკანონოდ, სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა, მეტიც, მოსარჩელის საპროცესო უფლების – სარჩელის აღძვრა – რეალიზაციის თარიღად მიიჩნია არა თავდაპირველი განცხადების (თუნდაც არაკვალიფიციური საპროცესო ფორმით), არამედ სარჩელის შეტანის თარიღი, რაც სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევის საფუძველი გახდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს საქმის გარემოებები და სადავო სამართალურთიერთობისათვის კანონის სწორი გამოყენება – განმარტების საფუძველზე საქმეზე უნდა დაადგინოს კანონიერი გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის მოტივები დასაბუთებულია და ექვემდებარება გაზიარებას, გასაჩივრებული განჩინება, როგორც კანონსაწინააღმდეგო, უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე, 399-ე, 412-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. გ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 ივნისის განჩინება სარჩელის დაუშვებლობის გამო საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ;
3. საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტის გასაჩივრების ვადა

განჩინება

№ბს-757-743(კ-14)

10 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძუ-
ლებითი განაცდურის ანაზრაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ე. ც-ემ 02.10.13წ. სარჩელი აღძრა მოპასუხეების: საქართვე-
ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამინისტროს გენერა-
ლური ინსპექციის მიმართ და აღნიშნა, რომ 2000 წლიდან 2011
წლის 18 მაისამდე მუშაობდა ... რაიონულ სამმართველოში უბ-
ნის უფროს ინსპექტორ-გამომძიებლად. 18.05.11წ. გაათავისუფ-
ლეს დაკავებული თანამდებობიდან, მისთვის უცნობია გათავი-
სუფლების სამართლებრივი საფუძველი. არაერთგზის მიმართა
... რაიონულ სამმართველოს, შს სამინისტროს გენერალურ ინ-
სპექციას, რათა განემარტათ მისი გათავისუფლების მიზეზები
და ჩაებარებიათ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ
ბრძანება, მაგრამ არც წერილობითი და არც სიტყვიერი განმარ-
ტება არ მიუღია. სზაკ-ის 54-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით
განთავისუფლების შესახებ ბრძანების ჩაუბარებლობის გამო
არ ჰქონდა საშუალება კანონმდებლობით დადგენილი წესით და
ვადაში გაესაჩივრებინა იგი სასამართლოში. მოსარჩელემ მო-
ითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გამოცემუ-
ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი გაცდენილი
პერიოდის ხელფასის ანაზრაურება 2475 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 09.11.13წ. განჩინებით ე.ც-ის სარჩელი მიღე-
ბულ იქნა წარმოებაში, ცნობილ იქნა დასაშვებად. სასამართლოს
სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სარჩელი, მოპასუხედ დაა-
სახელა საქართველოს შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმარ-

თველო. თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.12.13წ. განჩინებით ე.ც-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 28.05.14წ. განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა, შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოდან გამოთხოვილ იქნა მოსარჩელის მიმართ 14.05.11წ. შსს გენისპექციის მიერ მომზადებული №5680095 დასკვნის ამონაწერი, რომელშიც ასახულია ე.ც-ის მიერ სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების ფაქტი და მისი შეფასება. განჩინებით გამოთხოვილ იქნა აგრეთვე ადმინისტრაციული მასალები, რომლის საფუძველზე მომზადდა №5680095 დასკვნა. მასალების გამოთხოვის შემდეგ ე.ც-ემ მიმართა სასამართლოს დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით, რომელშიც აღინიშნა, რომ ბრძანება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ჩაბარდა 26.12.13წ. თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ჩაბარდა გენისპექციის დასკვნა. დასკვნის თანახმად, რომელიც საფუძველად დაედო ბრძანების გამოცემას, სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება გამოიხატა იმაში, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ... 13.02.11წ. მოძრავი „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომობილის მძღოლმა ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა და შეეჯახა ბიუსტს. დასკვნის მიხედვით, უნდა დაწყებულიყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო ე.ც-ემ დამრღვევის მიმართ 20.02.11წ. შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116.8 მუხლის შესაბამისად. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ავალდებულებდა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის დეფინიციის შესაბამისად ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევაში იგულისხმება წესის დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს სატრანსპორტო საშუალების მართვას, დარღვევას უნდა გამოენჯია სხვა პირის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად სხეულის დაზიანება მიიღო მძღოლმა და არა სხვა პირმა, საქმეში არსებული ცნობის მიხედვით, დამრღვევის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის შეფასებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე შემთხვევად. მოსარჩელე თვლის, რომ ყველა მოქმედება განახორციელა კანონის სრული დაცვით, კერძოდ: შემ-

თხვევის ადგილზე მისვლისთანავე გამოიკითხა სოფლის რწმუნებული, რომელიც უშუალოდ შეესწრო აღნიშნულ ფაქტს, შეადგინა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სქემა (ნახაზი), გამოკითხა დამრღვევი და შეადგინა შესაბამისი ოქმი. ამასთანავე დამრღვევის ალკოტესტით შემოწმება და შესაბამისი ოქმის შედგენა საქმეზე განახორციელა სამმართველოს თანამშრომლებმა, რომლის შესაბამისად დადასტურდა, რომ დამრღვევი პირი იმყოფებოდა ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ. საქმეში არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე, ზედამხედველ პროკურორთან შეთანხმებით, ჩათვალა, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ იყო და დამრღვევის მიმართ შეადგინა სამართალდარღვევის ოქმი.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 24.06.14წ. გადაწყვეტილებით ე. ც-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ გენინსპექციის დასკვნა შედგენილია კანონით გათვალისწინებული წესით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, დასკვნის შინაარსი შეესაბამება სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ-ის 276-ე მუხ.) და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ-ის 100-ე მუხ.) მოთხოვნებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ავტოავარიის ფაქტის დაფიქსირება და დასადგენი გარემოებების გამოკვლევა არ მოხდა სამართალწარმოების იმ წესით, რა წესითაც ხორციელდება მსგავს შემთხვევაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 15.08.14წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა ე. ც-ის სააპელაციო საჩივარი. „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის „დ“ და „მ“ ქვეპუნქტებზე მითითებით სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა გამოავლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევებში დაიწყოს გამოძიება და ამის შესახებ აცნობოს პროკურორს. პალატამ მიიჩნია, რომ ინსპექტორ-გამომძიებელმა ე. ც-ემ არ დაიწყო წინასწარი გამოძიება და შემოიფარგლა მხოლოდ მძღოლის მიმართ საჯარიმო ქვითრის შედგენით, მისი ხელმძღვანელის სახელზე დაწერილ პატაკში არ მიუთითა, რომ მძღოლი იყო დაცვის პოლიციის მუშაკი, ასევე დამალა მძღოლის სხეულის დაზიანების ფაქტი. პალატამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო სისხლის სამართლის კოდექსის 188.1 (ბიუსტის დაზიანების ნაწილში) და 276.2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები და შესაბამისად გამოძიების დაწყების საფუძველი. საგზაო-სატრანსპორ-

ტო შემთხვევის პოლიციის მუშაკის მიერ მოხდენა ადასტურებს აგრეთვე მისი მხრიდან იმ დროს მოქმედი „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 29.09.2010წ. №178 ბრძანების დარღვევას. „პოლიციის შესახებ“ კანონის 30.3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, შინაგან საქმეთა მინისტრის 04.01.13წ. №4 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდების“ საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სამხარეო სამმართველოს უფროსის მიერ სადავო ბრძანების გამოცემისას მართებულად იქნა გაზიარებული შსს გენინსპექციის 14.05.11წ. დასკვნა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა ე.ც-ის მიერ. კასატორი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა სზაკ-ის 95-ე მუხლის ვალდებულებები, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ არ აცნობა დაინტერესებულ მხარეს. კასატორი თვლის, რომ მომხდარი ფაქტი არ ავალდებულებდა მას აღედრა სისხლის სამართლის საქმე, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის თანახმად დაზარალებული უნდა იყოს სხვა პირი და არა თავად ის, ვინც ავტომანქანის მართვისას არღვევს მოძრაობის უსაფრთხოების ან ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესს. რამდენადაც არ არსებობდა სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება წარმოშობილა. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ სამხარეო სამმართველოს უფროსმა მართებულად გაიზიარა გენინსპექციის დასკვნა. დასკვნა არ ატარებდა სავალდებულო ხასიათს, ბრძანებაში არ არის მითითებული თუ რატომ იყო გამოყენებული მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ყველაზე მძიმე ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება. სზაკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიცა აქტი. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების შემთხვევაში დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქტის გამოცემისას.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ მან დამალა მ.ჯ-ას თანამდებობ-

რივი მდგომარეობა, მის მიერ შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის მასალებში, კერძოდ გამოკითხვის ოქმებში მითითებულია მ.ჯ-ას თანამდებობრივი მდგომარეობა. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებას იმის თაობაზე, რომ მან დამალა მ.ჯ-ას მიერ მიღებული მრავლობითი სახის დაზიანებები. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორს მითითებული ჰქონდა გამოკითხვის ოქმებში, რომლის თანახმად მ.ჯ-ა დამოუკიდებლად ჩაჯდა სასწრაფო დახმარების ავტომანქანაში და არანაირი გარეგანი დაზიანებები არ აღენიშნებოდა, მას გამოკითხვის ოქმში არ განუცხადებია რაიმე პრეტენზია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლის, სასკის 22-ე მუხლის თანახმად სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანება, განკარგულება, გადაწყვეტილება, აგრეთვე მოქმედება სასამართლოში საჩივრდება 1 თვის ვადაში. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრების ვადა აითვლება არა აქტის გამოცემიდან, არამედ გადაწყვეტილების ოფიციალური გაცნობიდან. ადმინისტრაციული აქტის იმ პირისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა, ვის მიმართაც არის იგი გამოცემული, კანონმდებლობის კატეგორიული იმპერატივია. გასაჩივრების ვადის ათვლა არ ხდება ოფიციალურ გაცნობამდე, სზაკ-ის 94.2 მუხლის თანახმად, დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას გასაჩივრების ვადა, რომლის დინება იწყება დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის გადაცემის ან გამოქვეყნების დღიდან. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ე. ც-ე სამსახურიდან გათავისუფლდა შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 18.05.11წ. №582492 ბრძანებით და არა გენინსპექციის დასკვნით. გენინსპექციის დასკვნა არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, იგი უშუალოდ, სხვა აქტის გამოცემის გარეშე, არ წარმოშობს უფლება-მოვალეობებს. ამდენად, სასამართლოში გასაჩივრებას ექვემდებარება სამმართველოს უფროსის 18.05.11წ. №582492 ბრძანება, შესაბამისად გენინსპექციის დასკვნის ჩაუბარებლობა შედეგად არ იწვევს ინდივიდუალური ად-

მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ, გურიის მთავარი სამმართველოს უფროსის 18.05.11წ. №582492 ბრძანების გასაჩივრების ვადის ათვლის შეჩერებას ან მის აღდგენას. მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი და საქმეში დაცული შს სამინისტროს გენინსპექციის 20.08.13წ. №163192, 31.10.13წ. №2160630, გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს 15.03.12წ. №339734 წერილები ეხება არა გათავისუფლების შესახებ ბრძანების, არამედ გენ.ინსპექციის დასკვნის ასლის გაცემაზე უარს. რაც შეეხება საქართველოს შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 18.05.11წ. ბრძანებას, ბრძანების მე-2 პუნქტი შეიცავს საგანგებო მითითებას იმის შესახებ, რომ ბრძანება უნდა გაეცნოს დაინტერესებულ პირს. სზაკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს დაინტერესებულ მხარეს ფოსტის მეშვეობით გადაუგზავნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს 29.04.14წ. შესაგებებელში აღნიშნულია, რომ ე. ც-ეს 20.05.11წ. №597980 წერილით ეცნობა შსს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ და გადაეგზავნა სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 18.05.11წ. №582492 ბრძანება. საქმეში დაცული მთავარი სამმართველოს 20.05.11წ. №597980 წერილით ე. ც-ეს ეცნობა შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 18.05.11წ. ბრძანებით შსს ორგანოებიდან დათხოვნის შესახებ, წერილს დაერთო ბრძანების ასლი. სზაკ-ის 54.4 მუხლის შესაბამისად აქტის ჩაბარებასთან დაკავშირებით დავის შემთხვევაში პირისათვის აქტის ჩაბარების მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება. საქმეში დაცულია შპს „...“ №000008 ქვითარი, გზავნილი №774. აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება გაგზავნა და არა ადრესატისადმი გზავნილის ჩაბარება. ამასთანავე, შსს გურიის პოლიციის დეპარტამენტის 26.11.15წ. №2633470 მომართვით წარმოდგენილი მასალების მიხედვით ე. ც-ემ 22.05.12წ. განცხადებით მიმართა გურიის მთავარ სამმართველოს, რომლითაც მოითხოვა მისი დათხოვნის შესახებ ბრძანების ასლი და ცნობა სამსახურის დროს დანიშნული ხელფასის შესახებ. ე. ც-ის 22.05.12წ. განცხადებაზე შედგა შსს გურიის სამხარეო სამმართველოს კადრების და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის 04.06.12წ. №713821 წერილი, წერილს თან დაერთო ე. ც-ის შსს ორგანოებიდან დათხოვნის ბრძანების ასლი. საქმეში დაცული საკანცელარიო ჟურნალის ჩანაწერებით დასტურდება, რომ ე. ც-ის განცხადებაზე პალუხი, თანდართული ბრძანებით, ე. ც-ემ ხელზე 04.06.12წ. ჩაი-

ბარა. ჩაბარება დასტურდება აგრეთვე ამონაწერით ელექტრონული პროგრამიდან. ამდენად დასტურდება, რომ მოსარჩელეს ჩაბარდა შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის სადავო 18.05.11წ. №582492 ბრძანება „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და საქართველოს შს ორგანოებიდან საქართველოს სამხედრო ძალების თადარიგში დათხოვნის შესახებ“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო ბრძანება მას სარჩელის აღძვრის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში 26.12.13წ. ჩაბარდა.

სადავო ბრძანების ტექსტში მითითებულია ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები, თუმცა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს ბრძანების გასაჩივრების წესის განმარტებას. სზაკ-ის 52.2 მუხლის თანახმად, აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ორგანოს შესახებ, რომელშიც შეიძლება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება, აგრეთვე მითითებას მისი მისამართის და საჩივრის წარდგენის ვადის შესახებ. აქტის აღნიშნული რეკვიზიტის არარსებობა არ ინეგებს აქტის ბათილობას, აღნიშნული ზრდის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადას, თუმცა არა უსასრულოდ. ამასთანავე, სადავო სამართალურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარისათვის აქტის ოფიციალურ გაცნობამდე ცნობილი იყო მისი სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტის შესახებ (მოსარჩელეს შეწყვეტილი ჰქონდა სამსახურებრივი ფუნქციების შესრულება, ის არ ცხადდებოდა სამსახურში, არ იღებდა ხელფასს), მას გააჩნდა ობიექტური შესაძლებლობა მიეღო ინფორმაცია გათავისუფლების შესახებ აქტის არსებობის, მისი შინაარსის შესახებ. გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 18.05.11წ. №582492 ბრძანების გამოცემის მოტივების, ფაქტობრივ გარემოებებთან მისი შესაბამისობის, მიღებული ზომის ადეკვატურობის მოტივების საკითხების გარკვევა, გენიპექციის დასკვნის გამოთხოვა შესაძლებელი იყო დავის სასამართლოში არსებითი განხილვის კვალდაკვალ. საერთო წესის მიხედვით გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება დაინტერესებული მხარისათვის გასაჩივრების უფლების გაცნობის ან გამოქვეყნების შემდეგ. ამასთანავე, სასკ-ის მე-12 მუხლის ანალოგიით გასაჩივრების ერთთვიანი ვადა არ ცდება აქტის გაცნობიდან ერთ წელს, ამ ვადის შემცირება შესაძლებელია აქტში შესწორების შეტანის შემთხვევაში, რასაც ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტის ოფიციალური ჩაბარებიდან (04.06.12წ.) ათვლის შემთხვევაშიც მოსარჩელეს გაცდენილი აქვს სადავო აქტის გასაჩივრების ერთწლიანი ვადა (სარჩელი აღიძრა 02.10.13წ.), რაც სასკ-ის 26¹ მუხლის თანახმად ქმნის სარჩელის დასაშვებობის პირობის დაცულობაზე მსჯელობის საჭიროებას, ვინაიდან გასაჩივრების ერთწლიანი ვადის დაცულობა სასკ-ის 22.3 მუხლის თანახმად არის სარჩელის დასაშვებობის პირობა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებს სარჩელის დასაშვებობაზე არ უმსჯელია, თუმცა აღნიშნულ საკითხს მოპასუხე თავის შესაგებელში აყენებდა. ამასთანავე სარჩელის დასაშვებობა, საპროცესო წინამძღვრების არსებობა საჯარო ასპექტთა რიგს განეკუთვნება და სასამართლო აღნიშნულის შესახებ მსჯელობს მხარეთა მიერ ამ საკითხის დასმის მიუხედავად. იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელი 02.10.13წ. არის აღძრული, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება სადავო ბრძანების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ერთთვიან ვადაში გასაჩივრება, სარჩელის დასაშვებობის პირობა, რაც სასკ-ის 26² მუხლის მიხედვით საქმის წარმოების შეწყვეტის პირობას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულთან ერთად, ე.ც-ის საკასაციო საჩივრის კასატორისათვის საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობის მოთხოვნის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო შეუძლებლად თვლის სასკ-ის 26¹ მუხლის საფუძველზე საქმის წარმოების შეწყვეტას, თუმცა სადავო ბრძანების გასაჩივრების ვადის გაცდენას განიხილავს მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დამატებით ფაქტორად.

დაუსაბუთებელია მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მას არ ეცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. საქმეში დაცულია გენინსპექციის რეგიონული სამმართველოს 27.03.11წ. ე. ც-ის გამოკითხვის ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტის გამოცემამდე ე. ც-ეს მიეცა თავისი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება. გენინსპექციის ფუნქციონალური დატვირთვიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მისთვის უცნობი იყო ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის შესახებ.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შსს გურიის სამხარეო სამმართველოს ... რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილის სახელზე შედგენილ 26.02.11წ. პატაკში ე. ც-ემ აღნიშნა, რომ ავარიაში მოყოლილ ავტომობილის მძღოლს სხეულის რაიმე სახის დაზიანება არ მიუღია მაშინ, როდესაც საქმეში დაცუ-

ლი მასალების მიხედვით მძლოლმა მიიღო სხეულის დაზიანებები, კერძოდ სახის არეში მრავლობითი ნაკვეთი ქრილობები, ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, გულმკერდის ტრავმა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა, რაც დასტურდება შპს „...“ მიღებული ჯანმრთელობის მდგომარეობის №279 ცნობით და მ. ჯ-ას ახსნა-განმარტებით. ე. ც-ის პატაკში არ აღინიშნა მძლოლის ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, თუმცა შ.ს. ... რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი ზ. ჯ-ე გამოკითხვის ოქმში აღნიშნავს, რომ მის მიერ ჩატარებული ალკოტესტის შედეგები აცნობა ე. ც-ეს, მასვე გადასცა შედეგნილი ოქმი. ე. ც-ემ პატაკში არ მიუთითა აგრეთვე ის გარემოება, რომ მძლოლი იყო დაცვის პოლიციის მუშაკი. პატაკში მითითებული არასრული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ე. ც-ემ მიიჩნია, რომ დანაშაულის ნიშნები არ იკვეთება და პროკურორის წინაშე იშუამდგომლა განცხადების ჩამონერა, რაც პატაკში არსებული, არასრული ინფორმაციის გათვალისწინებით, დაკმაყოფილდა.

09.10.2009წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100.1 მუხლის თანახმად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიებელი ვალდებულია დაიწყოს გამოძიება. განსახილველ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე ყოფილიყო პირის ჯანმრთელობის და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული რომელიმე დანაშაული. ე. ც-ის მტკიცება, რომ ზიანის მიმყენებელი და დაზარალებული სუბიექტი ერთიდაიგივე პირი იყო, რის გამოც არ არსებობდა გამოძიების დაწყების საფუძველი, არ ქმნის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების, სადავო აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივ საფუძველს, რადგან აღნიშნული დასკვნის გამოტანა შესაძლებელი იქნებოდა სათანადო საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, რასაც ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ მ. ჯ-ას ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ ავტომობილს თავად მართავდა, რის შედეგადაც მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობას მიაყენა ზიანი, არ ქმნიდა გამოძიების დაწყებაზე უარის თქმის პირობას, რადგან დანაშაულის ნიშნების არარსებობა გამოძიების ჩატარების შედეგად უნდა დამდგარიყო. გარდა ამისა არ იქნა დაცული აგრეთვე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 29.09.2010 წ. №178 ბრძანებით განსაზღვრული საგამოძიებო ქვემდებარეობის მოთხოვნები. ე. ც-ემ არ გაითვალისწინა სამართალდამრღვევის სტატუსი და ის გარემოება, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 29.09.2010წ. №178 ბრძანების დანართის („სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობა“) მე-2 პუნ-

ქტის მიხედვით პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე გამოძიებას აწარმოებს არა შინაგან საქმეთა ორგანოების, არამედ პროკურატურის გამოძიებელი.

ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არსებობდა გამოძიების დაწყების საფუძველი, ადგილი ჰქონდა აგრეთვე სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 29.09.2010წ. №178 ბრძანების დარღვევას. საკასაციო სასამართლო იზიარებს აგრეთვე სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი მოვალეობების დაუდევარ დამოკიდებულებას. „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მიხედვით პოლიცია თავისი ამოცანების განხორციელებისას მოვალეა გამოავლინოს, გამოიძიოს და აღკვეთოს დანაშაული („დ“ ქვეპუნქტი), სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყოს გამოძიება და ამის შესახებ აცნობოს პროკურატურას („მ“ ქვეპუნქტი). სადავო აქტის გამოცემის დროს საქართველოს შს მინისტრის 24.06.03 წ., №217 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობებისადმი დაუდევარი დამოკიდებულება წარმოადგენს დისციპლინური გადაცდომის სახეს. დისციპლინური გადაცდომის შინაარსი არ გამოორიცხავდა პასუხისმგებლობის სახით შს ორგანოებიდან დათხოვნის გამოყენებას (წესდების მე-3 მუხ.), რისი უფლება შს სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფროსს იმჟამად მოქმედი დისციპლინური წესდების დანართის, შს მინისტრის 22.02.2006წ. №240 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შსს ტერიტორიული ორგანოების ტიპიური დებულების“ 9.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით გააჩნდა. შესაბამისად, არ არსებობს სზაკ-ის მე-60¹ მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილობის პირობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ე. ც-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 15.08.14ნ. განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საკიბეპლი

1. სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლები	
სამსახურიდან გათავისუფლება სამსახურებრივი მოვალეობის უხეში დარღვევის გამო	3
რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება	21
2. კომპენსაციის სახით ერთდროული დახმარების ანაზღაურება	34
3. სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	55
დისციპლინური გადაცდომის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერება	67
იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	82; 127
სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	130
იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების ფარგლებში	147
სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	160; 181
სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება	194
4. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების გასაჩივრების ვადა	
სამსახურებრივ საკითხზე გამოცემული ბრძანების გასაჩივრების ვადის დაცვის საკითხი	217
თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტის გასაჩივრების ვადა	224

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 21 03
www.supremecourt.ge